პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი

# მეგალითური კულტურა საქართველოში

## მ ა ს ა ლ ე ბ ი

### არქაიკული მონუმენტალური ხელოვნების ისტორიისათვის

ფედერაცია — თბილისი
1938

წიგნი დამზადებულია საქართველოს ხელოვნების·
მუზეუმის (მეტეხი) თაოსნობით

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი შედეგია იმ ქვლევა-ძიებისა და დაკვირვებათა, რომლებსაც ამ მონოგრაფიის ავტორი აწარმოებდა საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილებში (თრიალეთი-წალკა, ჯავახეთი), ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ე.-ი. 1923 წლიდან მოყოლებული, როდესაც პირველად ალიძრა საკითხი ე.-წ. „მეგალითების" შესწავლის შესახებ, გოხნარის მეგალითური სადგომის ალმოჩენასთან დაკავშირებით.

---

## ПРЕДИСЛОВИЕ

Предлежащая работа—результат тех изысканий и наблюдений, которые автор сей монографии вел на территории Грузии, преимущественно в южных частях (Триалети-Цалка, Джавахети), в течение последних 15 лет, т.-е. начиная с 1923 года, когда впервые всплыл вопрос об изучении „мегалитов", в связи с открытием в Гохнари мегалитической стоянки.

---

## AVANT-PROPOS

Le travaille présent est le resultat des recherches et observations, lesquelles l'auteur de ce monographie introduit dans la Géorgie, exeptionnellement dans les parties du midi (Thrialethi-Tsalka, Djavaqethi), durant les dernière 15 années, c'est-à-dire de le commencement de l'année 1923, quand premierement surgit la question à etudier les monumens megalithiques en connexion de la decouverte d'habitations mégalithiques en Gohnari.

ნაშრომი ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო იბეჭდება შემოკლებული სახით. ხოლო ამითაა, სხვათა შორის, გამოწვეული ისიც, რომ მასში ვერ მოხერხდა მოთავსება ყველა იმ სურათებისა, რომლებიც სპეციალურად მისთვის იყო დამზადებული.

ავტორი გულითად მადლობას უძღვნის ყველა იმ დაწესებულებათა და პირთ, რომლებმაც ასე-თუ-ისე დახმარება გაუწიეს მას ამ წიგნის შედგენისა და ტექნიკურად გაფორმების საქმეში და რომლებიც მოხსენებულნი არიან თავთავის ადგილას.

# ნაკვეთი პირველი

## ზოგადი ცნობები

### I

### მეგალითების აღმნიშვნელი ტერმინები ქართულში

ტერმინი „მეგალითი“ კომპოზიტია, რომელიც ბერძნულიდან მომდინარეობს და „დიდ ქვა“-ს ანუ „დიდ ლოდ“-ს აღნიშნავს: μεγάς დიდი და λίθος ქვა, ლოდი [1].

ამ ტერმინით პირველ ყოვლისა აღინიშნება, ქვითკირის შენობებისათვის დაპირისპირებით, ნივთიერი კულტურის ის ნაშთები, რომლებიც აგებული ან აღმართულია **უკიროთ უზარმაზარ ქვათაგან** (ანდეზიტის ან ბაზალტისაგან), ჩვეულებრივად **ვულკანური წარმოშობის ქვათა გარემოში**, ე.-ი. ყველა ის, რაც, ბერძნულ მითოლოგიაში კარგად ცნობილ ცალთვალა დევ-გმირებთან დაკავშირებით, „კიკლოპურ“, resp. „ციკლოპურ“ ძეგლებადაც იწოდება ხოლმე [2], ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში კი *Երաստո* ერასტო || *Երաստու* ერასტუ უ რ ა რ ტ უ ლ'ის მნიშვნელობით[3].

ქართველი მემატიანენი, როგორც ეტყობა, კარგად ყოფილან ჩაკვირვებული საქმის ვითარებაში და ამის გამო მართებულადაც აღნუსხავენ ასეთი კატეგორიის ძეგლებს.

ასე, ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ლაპარაკობს რა „სპარსთა ერისთავ“ არდამის აღმშენებლობითს მოღვაწეობაზე ქართლში IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, აღნიშნავს, რომ მან, არდამ, „მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვით-კირითა. და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვთკირისა. ამის გამო დაისწავლეს [ქართველთა] ქვთკირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირით ზღუდე ციხესა არმაზისასა“, etc. [4].

არსებითად ლ. მ რ ო ვ ე ლ ი ს ამ ცნობას კრიტიკული შეფასებით იმეორებს თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ც, როდესაც, იმავე არდამის მოღვაწეობის დახასიათებასთან დაკავშირებით, ამბობს:

---

[1] ტერმინოლოგიის შესახებ საერთოდ იხ. S. R e i n a c h, Terminologie des monuments mégalithiques,—„Revue archéologique“ 1893, II.

[2] შდრ. ლიტერატურა კავკასიის „ციკლოპები“-ს შესახებ: В. М и л л е р, Кавказские предания о великанах, прикованных к горам,—Журнал Мин. Нар. Просв., 1883, январь. стр. 100—116, და Кавказские сказания о циклопах,—„Этногр. Обозрение“, 1890, № 1, стр. 25—43.

[3] იხ. Н. М а р р, Надпись Сардура II, сына Аргиштия, в Даш-Керпи на Чалдырском озере, Пгр. 1919, стр. 8.

[4] ქართლის ცხოვრება, გამ. მ. ბ რ ო ს ე ს ი (და ნ. მ ა რ ი თ), 23 = მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა, 10.

„იტყვიან ამისთვს, ვითარმედ ამან არდამ შემოზღუდა პირველად ქვთკირით ქალაქი მცხეთაჲ და შთამოზღუდა არმაზით ვიდრე მტკვრამდე მთაჲ იგი, რომელსა ჯერეთ მას ჟამსა მთა ქართლისასა ჰწოდა.

„იტყვიან, რომელ ჯერეთ ქვთკირითა არა იყვნეს შენებულნი ციხენი, გინა სხვაჲ რაჲმე სრულიად ივერიასა შინა, და ამან არდამმან შემოიღო ქვთკირისა შენობა. ძაგრამ რომელნიმე იტყვიან, ვითარმედ უწინარესვე იყო შენებულებანი ქვთკირითა და მთასაცა ზედა ქართლოსისასა აღშენებულ ციხენი და გოდოლნი და სხვათაცა ადგილთა ზემოჲსა და ქვემოჲსა ივერიისათა, ობელისკნიცა ნიშად წელთა გათლილთა მიერ ქვათაგან და კირითა აღშენებულნი. ხოლო ბომონნიცა კერპთა ბოჩისა, გინა სხვათა უძველესთა ღმრთად საგონებელთა და რომელთამე ადგილთა ციხენი. და ვინაჲდგან ამან უკუჱ არდამმან ყოველთა და უმრავლესთა ადგილთა ივერიისათა ამცნო ციხეთა და შენებულებათა სიმაგრეთასა ქვთკირითა ქმნაჲ, ამისათვის მიაწერეს მას შემომღებლობა ქვთკირთა ძველთა მატიანეთაგან ქართულთა“ [1].

ისტორიულ საქართველოს ფარგლებში ასეთი აგებულობის ერთ-ერთ ცნობილ ნაციხარ-ნაქალაქევთაგანს, როგორც ეტყობა, საკმაო საბუთი მიუცია ხალხისათვის, რომ ის „ქაჯებისაგან“ და არა ადამიანთა მიერ ნაშენად ეცნო, და ამიტომაც ამ ხალხს მის აღსანიშნავად სპეციფიკური სახელწოდებაც შეუთხზავს [2].

ზემოხსენებული ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს თხზულებაში გადმოცემულია, რომ როდესაც ლეგენდარული ქართლოსის არანაკლებ ლეგენდარულმა ძემ მცხეთოსმა „განუყო“ შვილთა თვისთა—სამთა გმირთა სახელოვანთა „ქვეყანა და ნათესავი მათი ყოველი“,—„ჯავახოსს მისცა ფანავრით-გან ვიდრე თავადმდე მტკურისა“, ხოლო „ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი, წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა-ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰური“ [3].

ამ გადმოცემაზეა, უთუოდ, აგებული ვ ა ხ უ შ ტ ი ს გეოგრაფიის ის ცნობა, რომელიც წუნდას ეხება: „ჯავახეთის მტკვარსა ზედა, სამკრეთისაკენ, კიდეზედ, არს წუნა, რომელი აღაშენა—ციხე-ქალაქი მტკიცედ შეზღუდვილი—ჯავახოს, მცხეთოსის ძემან. ამასვე

---

[1] ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულაად საქართველოჲსა, ქმნილი საქართველოს მეთცამეტის მეფის გიორგის-ძის თეიმურაზისაგან, საბ. 1848, გვ. 75.

[2] შდრ. Л. Меликсет-Беков, Крепость Каджети, — „Заря Востока“ 17/V. 1937 № 111=20/V. 1937 № 113.

[3] ქ. ც., I, ბროს., 20 = ქ. ც., თაყ., 7.

უწოდეს Ცური, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქაჯთა-ტუნი, და მერმე ეწოდა ქაჯთა-ციხე. იყო ქალაქი და ციხე და საერისთაო ერთმეფობამდე. არამედ აწ არღარა არს ქალაქი, განა ციხე არს[1].

გურიის აღწერაში ვახუშტივე წერს: „[ჩაქვის წყალზე] არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა ზენა შენი. აქუს გვირაბი კლდე გამოკვეთილი გზად"[2].

იგივე ვახუშტი ორბეთ-სამშვილდის აღწერისას აღნიშნავს, რომ ესე ციხე-ქალაქი „არს ფრიად მაგარი", და შემდეგ დასძენს: „სამხრით უდის ქცია, ჩდილოთ უდის ჭივჭავა. საშორისსა ზედა არს გარდაველებული, კრამით კრამამდე, ზღუდე განიერი და მაღალი. კვალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდაველებული, ეგრეთვე დიდ-როვანთა ლოდითა"[3].

ხოლო ბირთვისს ვახუშტივე იხსენიებს ვითარცა ციხეს, რომელიც, მისი სიტყვით, არის „კლდესა ზედა შენი და გარემო კლდეთა მოზღუდვილი ეჯ-ნახევარ ოდენ"[4].

ფარავნის რაიონში ცნობილ შაორის ციხეს ვახუშტი აგვიწერს შემდეგი სიტყვებით: „შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე, დიდროვნის ლოდითა ნაშენი"[5].

„დიდროვნითა ლოდითა"-ა აგებული (ვახუშტით), ორბეთ-სამშვილდესა და შაორს გარდა, აგრეთვე ჩხიკუთის „სამების" გარშემო არსებული ნაციხარი, რომლის აღწერასაც იგი წარმოგვიდგენს შემდეგი სიტყვებით: „ჩხიკუთის სამხრით არს ეკლესია სამება წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არამედ საკვირველი, რამეთუ დიდროანითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელ არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ... ძველად იწოდა გმირთ-ნაკვეთი და იყო ციხე, ხოლო აწ ეკლესია"[6].

ამ „გმირთ-ნაკვეთ"-ს ჰგულისხმობს, სხვათა შორის, ე.-წ. ბარათაანთ გუჯარიც, სადაც იგი იხსენიება „გმირთ-კვეთილ"-ად[7].

მაშასადამე, ორივე ტერმინი—როგორც „გმირთ-ნაკვეთი", ისე „გმირთ-კვეთილი" —ერთისა-და-იმავე პუნქტის აღსანიშნავადაა ნახმარი ორ სხვადასხვა წყაროში. ხოლო ისინი იმ მხრივ არიან საინტერესონი, რომ თავიანთი ბუნებით ქართულ შესატყვისს წარმოად-

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გამ. მ. ჯანაშვილისა, 218.

[2] იქვე, 222.

[3] იქვე, 57.

[4] იქვე, 61.

[5] იქვე, 55.

[6] იქვე, 61.

[7] Е. Такайшвили, Еще один из источников истории Грузии, царевича Вахушта, — „Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва", т. VIII, стр. 116.

გენენ ევროპულსა და რუსულს სამეცნიერო ლიტერატურაში ხმარებული ტერმინის „მეგალითური"-სას (mégalithique, мегалитический) გინა „კიკლოპური" || „ციკლოპური"-სას: თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ისინი სემანტიკურად ერთმანეთს სავსებით ვერა ჰფარავენ: „გმირთ-ნაკვეთი" || „გმირთ-კვეთილი" ნიშნავს იმას, რომ შესაფერი შენობები ხალხის რწმენით თითქოს ადამიანის ნაშენი კი არ უნდა იყოს, არამედ მეტაფიზიკური „დევ-გმირებისა", ისევე, როგორც ამ ცნების გამომხატველია ტერმინი „კიკლოპური" || „ციკლოპური". ხოლო „მეგალითური" საერთოდ უზარმაზარი ლოდებისაგან აგებულ შენობებს ჰგულისხმობს, დამოუკიდებლად „გმირების" ანუ „კიკლოპ" || „ციკლოპ"-ების მონაწილეობისა მათი აგების საქმეში.

„დიდ ლოდ"-სა და „დიდროვან ლოდებ"-ს იხსენიებს, სხვათა შორის, ვახტანგ VI-ეც თვის „დასტურლამალ"-ში, სახელდობრ იმ თავში, რომელსაც სათაურად აქვს: „თრიალეთის სოფლების სამზღურებისათვს"[1].

„გმირთ-ნასახლარ"-ს უწოდებს ხალხი, კერძოდ, ბაკურიან-თორის მიდამოში მიმობნეულ სხვადასხვა სახის მეგალითურ შენობებსაც; ხოლო „გმირთ-ნაციხარ"-ს ჰგულისხმობს ოსური „ვაძგუთემასიგ" (სამხრეთის გამოთქმით) || „ვაძგუთე მაშიგ" (ჩრდილოეთის გამოთქმით), აგრეთვე „გმირთ ნაშენ"-ს—„ვაძგუთე ამად"-ი, რომლითაც ცნობილია დიდი ლიახვის სათავეში, კადლასანის გადასავლამდე, ზილდეს პლატოზე, ს.ს. გალუათ-ყაუს, ხოძსა და ერმანს შორის მდებარე მეგალითური აგებულობის გრანდიოზული ნაციხარი:

„Наименование словом „Уйгуте" мы имеем (на плато Зильде) два раза",—აღნიშნავს ე. პ ჩ ე ლ ი ნ ა; და შემდეგ განაგრძობს: „Это в отношении пика „Уйгуте Машиг" и крепости Уйгуте Амад". Уйгуте и Гумирте в осетинском фольклоре не однозначащи, но представляют собою близкое одно другому понятие о грубой физической силе, о великанах, иногда людоедах и циклопах. По данным осетинского фольклора, до нартов в Осетии как северной, так и южной жили Уйгуте и Гумирте, являвшиеся коренными жителями этих мест"[2].

ამას გარდა, ე. პ ჩ ე ლ ი ნ ა აღნიშნავს იმასაც, რომ „относительно постройки Зильде Машиг имеется в Двалетии легенда: „Когда человек еще не был подвержен смерти, тогда был построен Зильде Машиг". В это время умирали только камни и растения. По этой легенде, камни в то время, как

---

[1] დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, გამ. პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს რედ., ტფ. 1880, გვ. 39.

[2] Е. П ч е л и н а, Крепость „Зильде Машиг",—„Советская Этнография" 1934 г. № 3, стр. 95, прим. 9.

ამ შემთხვევაში იაფეტური თეორიის მიღწევათაგან უაღრესად აღსანიშნავია ის, რომ თვით სახელწოდება "Ὅμηρος-იც ბრმა-დ ანდა ბრუცა-დაა განმარტებული (IV ს. ჩ. წ.-მდე ბერძენ მწერალ ე ფ ო რ ზ ე დაყრდნობით ითქმის[1]), რის გამო გარკვეულ ახსნა-განმარტებას პოულობს საქართველოს ფარგლებში ცნობილი არაერთი გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც „გომერ"—„გმირ"—„გუმირ"—„კუმირ"-თანაა დაკავშირებული (იგივეა სომხ. „გამირ"), მაგალითად: „გომარ-ეთ-ი", „კომურ-დო" (შდრ. სომხ. „გამირქ", „კუმაძრ" „გძუმრი"). ხოლო ბრმა || ბრუცა-ს ცნება თითქოს საფუძვლად უდევს მთის სახელწოდებას სამხრეთ-ოსეთში: „ბრუტსაბძელა", resp. „ბრუცსაბძელა"[3]; ისევე როგორც თვით „გომერ" || „ჰომერ"-ი წარმოგვიდგება მთისავე სახელწოდებაში აწინდელი ალბულაღის პირდაპირ და, მაშასადამე, „გმირთ-ნაკვეთ" || „გმირთ-კვეთილ"-ის მახლობლად.

კერძოდ, ბრუტსაბძელას სახელწოდების ახსნა-განმარტებას იძლევა თ ე ი მ უ რ ა ზ ი, როდესაც აღნიშნავს, რომ „ბრუტ-საბჱლი თქმულ არს საბზლად ციკლოპის ბრონტოსისად", და შემდეგ დასძენს: „იტყვიან ჯაჭვითა დაბმულსა მუნ ტარტაროზსა, რომელსა თანაცა შეკრბებოდეს წლითი-წლად დღესა ერთსა აღნიშნულსა დემონნი და გრძნეულნი კაცნი ყოვლისა კიდით ქუეყანისა და ჰყოფენ მისთანა დღესასწაულებასა და შესწირვიდენ მას მსხვერპლსა და მიიღებდენ სწავლასა საგრძნეულოსა კელოვნებისა მათისასა მისგან"[3].

საქართველოში, ისევე როგორც სომხეთსა და აზერბეჯანში, მრავალი ნაციხარ-ნაქალაქევია „ქოროღლი"-ს სახელწოდებით, რომელიც არსებითად ბერძნული „კიკლოპ" || „ციკლოპ"-ის, აგრეთვე „გომერ" || „ჰომერ"-ის შესატყვისს წარმოადგენს. ასე იწოდება, სხვათა შორის, რამდენიმე ნაციხარ-ნაქალაქევი „მეგალითური"-სა (სანთა, გიუმბათი) ანდა à la „მეგალითური"-ს (შაორი, აბული) ყაიდისა, რომელთაც არავითარი კავშირი ქოროღლისთან არა აქვსთ.

ხოლო თქმულება, რომელსაც ფარავნის მიდამოების დუხობორები გადმოგვცემენ, თითქოს ყაჩაღი ქოროღლი, რაშზე შემჯდარი, ერთი ციხიდან მეორეში (შაორი—აბული)[4] გადაფრინდებოდაო, მოგვაგონებს ჩვეულებრივ თქმულებებს გოლიათებზე, სხვათა შორის, სომხური ეპოსიდან ცნობილ თევა-თოროსზე, რომლისთვისაც მიუკუთვნებიათ ფრენის თვისება, ისე რომ მას ერთ დღეში შეეძლო გაფრე-

[1] Н. Марр. К толкованию имени „Гомер",—„Доклады Академии Наук", В 1924, стр. 2—5; შდრ. კრებული „Язык и литература" (изд. Рании), Лнгр. 1929.

[2] შდრ. К. Ган, Опыт об'яснения кавказских географических названий. Тфл. 1909, стр. 28 = C. Hahn, Ersler Versuch einer Erclärung kaukasischer geographischer Namen, Stuttgart 1910, 11 S.

[3] ისტორია დაწყებითგან ივერიისა, გვ. 8.

[4] ერთი მეორისაგან დაშორებულია 18 კილომეტრით.

ნა სომხეთის სხვადასხვა მხარეში და ქვეყნის დაცვის მიზნით ციხე-სიმაგრეები აეგო.

ჩვენ ვფიქრობთ, სრულებით შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ძველი ეძანის (აწინდელი ბირმაქსიზ-წალკის) მახლობლად მდებარე ყოფილ „ახალ-ქალაქ“-ს თურქულად „ტაშ-ბაშ“ და სომხურად „დაშ-ბაშ“ ეწოდა, რაც ქვა-თავა'ს, ქვის თავ'ს, თავის ქვა'ს აღნიშნავს, რამდენადაც ამ სახელწოდებით ცნობილი სოფლის თავზე არსებული ქვათა გროვა ძველად გამოუყენებიათ მეგალითური სისტემის ციხის ასაგებად[1].

„წალკის მაღლობისა და ალგეთის ხეობის შუა, 80-ურ მიმართულებით,—როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ბ. ყავრიშვილი,—მდებარეობს საკრისის მთა (1820,5 მეტრ.). ბატონიშვილი ვახუშტი ამ მთას ლაკვას სახელწოდებით იხსენიებს, მანგლელი რუსები კი მას, მისი შემადგენელი ყვითელი ქვა-ქვიშის გამო, Желтая гора-ს უწოდებენ; ამავე სახელწოდებით აღნიშნულია ეს მთა რუსულ რუკებზედაც. საკრისის მთის შესახებ ადგილობრივ ქართველ მცხოვრებთა შორის შერჩენილია ძველი თქმულება, რომ აქ, ალგეთის ხეობაში, საკრისის მთის ძირში, ამირანს დევთან ჰქონდა ბრძოლა, რომელშიაც ამირანმა გაიმარჯვა, ხოლო დევი კი ამ მთის იქით გადაისროლა. აქედან ადგილს „საკრივისი“ ან „საკრისი“ დაერქვაო. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ლაკვის მთის ძირში ალგეთის მარჯვენა ნაპირზე ნაჩვენებია სოფელი საკრისიც“[2].

ამ ცნობას არ ესაჭიროება არავითარი განმარტება, გარდა ერთი დამატებისა, სახელდობრ—რომ სწორედ ხსენებული საკრისის მთის გარემოშია მეგალითურ სადგომთა მთელი კომპლექსი, რომელიც შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1) ე.-წ. „ქალ-ქვა“ ანუ „ქვათა-რძალი“, რუსულად каменная невеста—თვით Желтая гора-ს იმ წვერზე, რომელიც მანგლისისკენაა მოქცეული, და მის მახლობლად, მთის ფერდობზე, ე.-წ. „ერატიპა“-ს ნაშთი; 2) მეგალითური ნაგებობანი ამავე მთის იმ ფერდობზე, რომელიც არხოტს დასცქერის; 3) მეგალითური უზარმაზარი ციხე-ქალაქი ამავე მთის იმ ფერდობზე, რომელიც ლაკვის-ხევს დასცქერის, მის გამოღმა, გოხნარის ხევიდან, და რომელსაც ადგილობრივი (მანგლელი) რუსები Медвежья балка-ს უწოდებენ; და 4) მეგალითური უზარმაზარი ქა-

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ტაშ-ბაშ,—გაზ. „ხრამჰესის დამკვრელი“ 1935 წ. № 35.

[2] ბ. ყავრიშვილი, თრიალეთის მხარისათვის. ოროგრაფია,—„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“. VIII, 1928, გვ. 302. შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით,—„ახალ სკოლისაკენ“ 1924 წ. № 2—3. გვ. 79; მისივე, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში,—„მნათობი“ 1925 წ. № 2, გვ. 220—221; მისივე, К археологии и этнологии Туальской Осии,—„Юго-Осетия“, I, Тфл. 1925, стр. 264.

ლაქი ლაბირინტებით, ლაკვის-ხევს გაღმა, ბედენის მთის კალთაზე, რომელსაც ადგილობრივი ქართველები „ლოდოვან“-ს უწოდებენ.

აქ ჩამოთვლილ სახელწოდებათაგან უაღრესად საინტერესოა „ლოდოვანი“, რომელსაც საფუძვლად უდევს ტერმინი „ლოდი“ და რომელიც მეგალითური აღნაგობის სადგომის აღმნიშვნელი აღმოჩნდა.

ხოლო „ლოდოვანი“-ს სიტყვა-სიტყვით თარგმანს წარმოადგენს თურქული „ტაშლ$_2$ხ“, resp. „დაშლ$_2$ხ“, რომლითაც ცნობილია მეგალითურივე სადგომი წალკის ს. ბეშთაშენს ახლოს.

მაშასადამე, „ლოდოვანი“ ის საუცხოო ტერმინია, რომლითაც აღინიშნება მეგალითური სისტემის ნაგებობა.

კიდევ ერთი სხვა ტერმინი, რომელიც პირობითად მეგალითური სისტემის ციხეს აღნიშნავს, არის ე.-წ. „ბროლის ციხე“.

ამ „ბროლის ციხე“-ს ჩვენ, პირველ ყოვლისა, ვპოულობთ ამირანის თქმულებაში:

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი;
გადიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი ალგეთისნი
(var.: მეათე არს ასურისი).
უცხო მთაში კოშკი ჰნახეს,
ანაგები ბროლის ქვისი
(var.: სალი კლდისა).
ძმებმა გარშემოუარეს,
ვერა ჰპოეს კარი მისი...[1]

ალგეთის ანუ ასურისის მიდამოს „უცხო“ მთაში ანაგებ კოშკად, რომელსაც ამირანის ლექსი „ბროლის ქვის“-ას უწოდებს და რომელიც, ამასთანავე, თითქოს მიუდგომელიც ყოფილა, უნდა ვიგულისხმოთ ან Медвежья балка-დ ცნობილი ნაციხარ-ნაქალაქევი ანდა ე.-წ. „ლოდოვანი“. მაშასადამე, „ბროლის ქვა“-დ ამ შემთხვევაში მეტაფორულად „მეგალითი“-ა ნახსენები, სწორედ ისე, როგორც, მაგალითად, გველაშაპის ხსენებასთან დაკავშირებით „ბროლის ციხე“-დ იწოდება მიუდგომელი ციხე აბესალომ და ეთერის თქმულებაში, მურმანი რომ აბესალომს მიმართავს შემდეგი სიტყვებით:

რას ჰკითხულობ, ცათა სწორო?
ცოლის ქება აუგია;
შენც გინახავს ბროლის ციხე,

---

[1] ამირანის ლექსი, პ. მირიანაშვილის გამ., 1913, გვ. 19; ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა, გამ. ზ. ჭიჭინაძისა, ტფ. 1896, გვ. 305—316; ხალხური სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, I, 168.

როგორ ცამდინ მაღალია...
ცხრა მაზლი კარებს ადგანან—
დალესილი ალმასია,
მამამთილი ერდოზე წევს,
გველაშაპის მყლაპავია[1].

სახელდობრ თუ რომელი „ბროლის ციხე“-ა ნაგულისხმევი აბესალომ და ეთერის თქმულებაში, ეს გამოურკვეველია. მაგრამ ამირანის ლექსის „ბროლის ქვა“ რომ იგივე Медвежья балка-ს ანუ „ლოდოვანი“-ს სადგომია, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა.

განსაკუთრებით საინტერესოა ტერმინები „კარკალი“, resp. „კარკნალი“, და „ქუა-ყრილი“.

ვ ა ხ უ შ ტ ი, აგვიწერს რა ტაბაწყურისა და ფარავნის ტბათა შორის მდებარე მთებს, აღნიშნავს, რომ „აქა არს კლდე ფიქალ-ფიქლად დაწყობილი, ვითარცა კაცთა ხელით დაწყობილი, და ნაშენი მთის ძირიდამ თხემამდე. არამედ არა შედგების კაცი, ნადირი თუ პირუტყვი, თრთის დაიძვრის დაბლიდამ მაღლამდე, და არა დაირღვევის. ესრეთი კლდე შანბიანსა ზედაცა არს მრავალი, არამედ აქა უმეტეს უცხო, უწოდებენ კარკნალსა“[2].

იგივე ვ ა ხ უ შ ტ ი დურნუკის აღწერისას ამბობს: „ასურეთისკევს ქვეით, სამხრით, არს დურნუკი. აქა არს კ[ა]რკნალი და დარანი დიდ-დიდნი. აგრეთვე მარნეულს“[3].

ხოლო ცხინვალს ახლოს მთაში მდებარე საბაწმიდის მონასტერზე საუბრისას ვ ა ხ უ შ ტ ი აღნიშნავს, რომ „მის ზეით, იმავ მთაში არს აღმოსავლეთისაკენ, ედაბნო, მაღალს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი ეკლესიით... აქა არს კარკალი, სადაც ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფხულს ჰყინავს, და ხმარობენ ზაფხულ ყინულად“[4].

„კარკალ“-ს უწოდებს ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ჯავახეთის ს. აბულთან ცნობილ იმ ქვათა გროვას, რომლის ქვეშეც მეგალითური სისტემის შენობებია დატანებული, უკეთ დამარხული[5], ხოლო ეს შენობები კატაკომბების შთაბეჭდილებას ახდენენ, სწორედ ისე, როგორც ასეთი „კატაკომბები“ დატანებულია წალკის ს. ავრანლუს ქვეშეც.

თვით ტერმინი „კარკალი“ წარმოებულია სიტყვიდან „კარ+კარ“—ის პროგრესიული დისიმილაციის შედეგად. ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა

---

[1] ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ. 1919, გვ. 35.

[2] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, 55.

[3] იქვე. 62.

[4] იქვე, 112.

[5] И. Р о с т о м о в, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, — „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, вып. XXV, 1898, отд. I, стр. 29.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გვიხსნის: „კარკალი—დიდი ქვავნარი“; „კარკალი—წყლტე კლდე (+სალი)“ [1]. ხოლო „კარ“, ნ. მ ა რ ი ს განმარტებით, იგივეა, რაც სომხური *կար* || *քար* და ბასკური har-kar, აგრეთვე ქვის კლდის მნიშვნელობით (შდრ. სომხ. *կար-կուտ* სეტყვა, სიტყვა სიტყვით ქვათა გროვა) [2]. რაც შეეხება ფორმას „კარკნალი“, იგი „კარკალი“-საგან უნდა იყოს წარმოებული შემდეგ სიტყვათა ანალოგიით: ვაშლნარი, მუხნარი, სახლნარი, რცხილნარი etc.

რაც შეეხება „ქუა-ყრილ“-ს, ეს მოხსენებულია ვახტანგ VI „დასტურლამალ“-ში, სახელდობრ იმ თავში, რომელსაც სათაურად აქვს: „თრიალეთის სოფლების სამზღურებისათჳს“ [3].

მიუხედავად იმისა, რომ „კარ“ || „ქარ“ სომხურში ქვა'ს აღნიშნავს, ხოლო სომხურივე *կար-կար* ქართ. „კარკალი“ ქვათა გროვა'ს, ნ. მ ა რ მ ა ისეთი მოსაზრება წამოაყენა, რომ ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს, სახელდობრ ბუმბერაზ-გოლიათისას: „Даже такой удвоенный термин, как арм. кар-кар 'куча камней'...,—ამბობს იგი,—имеет двойника в лице такого завещанного от доисторического населения Франции французам эпического типа как Gargantua 'исполин', своего рода 'Атлэнт', в материальной реальности 'гора'“ [4].

თვით ფრანგულ ტერმინ Gargantua-ს ახსნა-განმარტება მოცემულია ვ. ნ ი შ მ ა რ ე ვ ი ს მიერ, სხვათა შორის, კავკასური მასალების გათვალისწინებით: gar-gant || gar-gat—gar-gan—gar-gar—gar-gal—kar-kar—kar-kal, etc. ამასთანავე საინტერესოა თვით ფრანგული ლეგენდა Gargantua-ს შესახებ, სადაც, სხვათა შორის, კლდეთა ჩამოგორებაზეა საუბარი: „როცა გარგანტუას ტანისამოსს უკერავდნენ,—ვკითხულობთ ლეგენდაში,—თერძებმა ვერ მოისაზრეს, რომ ძაფის მაგივრად მაგარი კანაფის თოკი ეხმარათ. გარგანტუას დაერღვა ჯიბეები და ათი ათასი კლდე დასცვივდა გზაზე, სადაც დღესაც არიან ამართულნი და გამვლელ-გამომვლელნი მათი სიმშვენიერით სიამოვნებენ“-ო [5].

---

[1] ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი 1928, გვ. 162.

[2] Н. М а р р, Ossetica-Japhetica,—„Изв. Акад. Наук“, 1918, стр. 2092; его-же, Из Пиренейской Гурии,—„Изв. Кавк. Ист.-Арх. Инст.“, т. V, стр. 50; его-же, Яфетическая теория, Баку 1928, стр. 128=Избранные работы, т. II, стр. 106.

[3] დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, გვ. 39.

[4] Н. М а р р, Яфетическая теория, стр. 128= Избранные работы, II, стр. 106.

[5] ვ. ნ ი შ მ ა რ ე ვ ი, La légende de Gargantua,—„Яфетический Сборник“, IV, Лигр. 1926, стр. 166—204. შდრ. Gargantuae, Essai de mythologie celtique,—„Revie archéologique“, 1868, II, p. 172; ე. კ. მ—ი, დევ-გმირი გარგანტუა (ლეგენდა ფრანგულიდან),—„ჯეჯილი“ 1891 წ. № 4, გვ. 30.

„ქვა-კაცი“, resp. „ქვა-კაცა“, დღეის-დღეობით ჩვენ მიერ ფიქსირებულია ორი,—ორივე წალკის საზღვრებში; ერთი, შედარებით ძველი, ს. ს. ავრანლუსა და ყიზილქილისას შორის, მინდორში; მეორე კი, შედარებით გვიანდელი, ს. გიუმბათის ეკლესიის გალავანში დატანებული. ხოლო ჩვენ მიერვე ფიქსირებული „ჯვარიანი ქვები“ ორნაირია: ერთი—მენჰირ-ვეშაპოიდია, რომლის ფასადზე ქრისტიანულ ეპოქაში გამოუსახავთ ჯვარი; ასეთია წალკის ს. ჩოლაყთან ახლოს მდებარე „აჲ-კონსტანტინ“-ის ეკლესიაში მოქცეული სტელა, აგრეთვე ნაქალაქევ სამშვილდის ტერიტორიაზე არსებულ სომეხთა „მიძინების“ ეკლესიაში მოქცეული სტელაც[1]; მეორე კი—მენჰირია, რომელიც ამავე ქრისტიანულ ეპოქაში ჯვრად არის გადაქცეული, როგორიცაა, მაგალითად, ფარავნის მიდამოს ს. როდიონოვკას (ყოფილი თავფარავნის) ზევიდან, ქეჩუთის მთის კალთაზე და ქვემო წალკისა ანუ ყარაბულახისაკენ მიმავალი გზის პირას მდებარე ქვა-ჯვარა „ნაყოფიერების“ ემბლემით“[2].

ჯავახეთის ს. ს. მურჯახეთსა და განძას მახლობლად ალმართულ ქვებს ადგილობრივი ქართველები „ძუძუ-ქვა“-ს, resp. „ძუძუს-ქვა“-ს უწოდებენ, ხოლო სომხები *կաթ-քար*, რაც „რძის-ქვა“-ს ნიშნავს.

უთუოდ, ასეთი „ძუძუს-ქვა“ უნდა ყოფილიყო მცხეთის პირდაპირ და არაგვს გაღმა მდებარე ბორცვის-ჯვარხევაკ, რომლის ფერდობზე „ძუძუს-წყარო“-ა ცნობილი[3]. ხოლო თვით ე.-წ. „ჯვარი პატიოსანი“ ქრისტიანული დროის გადაფორმება უნდა იყოს წარმართულის „ძუძუს-ქვისა“, რომლის ანალოგიასაც დღემდე მოუღწევია მანგლისის პირდაპირ ალგეთს გაღმა მდებარე „მარიამჯვარ“-ზე, სადაც ე.-წ. каменная невеста=„ქვათარძალი“ (ქალქვა) ანუ, ოსების თქმით, „მამიდა“ ასვენია.

„ძუძუს წყარო“-ს შეხვედრა „ჯვარ-პატიოსან“-თან მცხეთაში და „ქვათარძალი“-ს შეხვედრა „მარიამჯვარ“-თან მანგლისში, რასაკვირველია, შემთხვევითი ხასიათისა არ უნდა იყოს, უკეთუ ჩვენ გავითვალისწინებთ მცხეთისა და მანგლისის ჯვრების როლს ძველად არა მხოლოდ ქართველთა, არამედ სომეხთა თვალშიაც[4] შემთხვევითი არ უნდა იყოს აგრეთვე ის, რომ „ჯვარი პატიოსანი“-ს კულტი მცხეთის ე.-წ. „სვეტი-ცხოველი“-ს კულტს ემთხვევა, რის გა-

---

[1] სამშვილდის ამ ქვას წარწერაცა აქვს 1054 წ. თარიღით. იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო ძხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, etc., ტფ. 1928, გვ. 28, შენ. 5.

[2] ამ ქვაჯვარას წარწერაცა აქვს და თამარ—დავით სოსლანის ემბლემა 1200—1208 წ.წ.

[3] შდრ. Л. Меликсет-Беков, Кахтубанский храм,—„Христ. Восток“, т. III, стр. 309 и прим. 2 там-же.

[4] ლ. მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით,—„ახალ სკოლისაკენ“ 1924 წ. № 2—3, გვ. 79—80.

მოც იბადება საკითხი, რაგვარი „სვეტი“ უნდა ვიგულისხმოთ ამ უკანასკნელის მიხედვით: ხისა, როგორც შესაფერ ლეგენდაშია (წმ. ნინოს ცხოვრებაში) ნაგულისხმევი, თუ ქვისა, როგორც ჩვენ პირადად გვგონია.

„ქვათარძალა“ ეწოდება, სხვათა შორის, დიდ ქვას „ქალის ფორმისას“, „გაცხოველება-გაცოცხლების მნიშვნელობის“ მქონეს, რომელიც მოიპოვება აჭის-წყლის ხეობაში ლეხაურის მახლობლად გურიაში. აქვე, აჭის-წყალზე, ძევს ე.-წ. „დევის-ქვა“, რომლის „მახლობლად გორაკზე ადგილს „დევის ნამუხლარი“-ს ეძახიან“[1].

პირდაპირ გასაოცარია, რომ „დევის ნამუხლი“ მცხეთის მიდამოშიცაა, „ჯვარი პატიოსანი“-სა, „ძუძუს-წყარო“-სა და „სვეტი-ცხოველი“ს სამყაროში, ისევე, როგორც იგი, დევის ნამუხლი, არის სამხრეთ ოსეთის ს.ს. გალუათ-ყაუს, ხოძსა და ერმანს შორის მდებარე მევალითური ნაციხარ-ნაქალაქევის სამყაროშიც“ [2].

ვ ა ხ უ შ ტ ს თავისი „გეოგრაფიის“ შესავალში, არსებითად ე.-წ. „წმ. ნინოს ცხოვრება“-ზე დაყრდნობით, როგორღაც ნათქვამი აქვს: „ვინაოგან [ქართველთა] იცნეს სამება ერთარსება ჭეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა“, „ამისთჳს, მიერ ჟამითგან, ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამის გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინაა“-ო[3]. ეს ცნობა ამ შემთხვევაში გამოსადეგია ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც იგი საშუალებას გვაძლევს ჩავუკვირდეთ ქიზიყში ჩაწერილ იმ ლეგენდას, რომლის თანახმად „ქალ-ქვა“ წმ. ნინოს მოწაფედაა გამოყვანილი[4]. გაცხოველება-გაცოცხლების კულტის ობიექტი „ქალქვა“ ნინოს მოწაფეა, რასაკვირველია, იმ ხაზით, რა ხაზითაც თვით ნინო ნათესავია წმ. გიორგისა, რომელიც „გველეშაპის“ დამძლეველია.

ანიტომაცაა, რომ პატივან—ვაკეს ლოდის შესახებ იგივე ვ ა ხ უ შ ტ ი სწერს: „პატივანს ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გარდააბრუნო, იქმნების უწვიმრობა“ [5]. აქ საჭიროა მოვიგონოთ, რომ ასეთივე თვისებით არიან აღჭურვილი საერთოდ ე. წ. „ქალქვა“-ნი—ძანგლისს, გურჯაანს და სხვ.

ამიტომაცაა აგრეთვე, რომ ს. განძას მახლობლად მდებარე ე.-წ. „ძუძუს-ქვა“-ს, რომელიც თევზ-ვეშაპის ფორმისაა, ადგილობ-

---

[1] დოც. იოსებ მეგრელიძის მიერ მოწოდებული ცნობის თანახმად.

[2] იხ. Л. Меликсет-Беков, К археологии и этнологии Туальской Осии, стр. 261 и прим. 30 там-же.

[3] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, 31.

[4] ქ—ელი, წერილი ქიზიყიდან,—„ივერია“ 1888 წ. № 9.

[5] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, 69.

რივი სომხები არა მხოლოდ *կաթ-քար* რძის-ქვა'ს უწოდებენ, არამედ აგრეთვე *Սուրբ Սարգիս*'ს, ე.-ი. წმიდა სარგის'ს (სურფ-სარქისს), რამდენადაც იგი იმ კულტის ობიექტად მიაჩნდათ, როგორიც არიან ბერძენ-ქართველთა შორის წმ. გიორგი, საკუთრივ კაპადოკიაში დიგენის აკრიტასი, სამხრეთ-სლავთა შორის მარკო კრალევიჩი, ხოლო რუსთა შორის ეგორ ზმეებორეცი, და სხვ.

ხოლო წალკის ს. ბურნაშეთის ეკლესიის გალავანში მდებარე მენჰირს (აყუდებულ ქვას) რომ ადგილობრივი სომხები *Սուրբ Գէորգ*, ე.-ი. **წმიდა გიორგი**'ს უწოდებენ, ამაში გასაკვირი არაფერია.

* * *

ამრიგად, ირკვევა, რომ „მეგალითების“ აღმნიშვნელი ტერმინები ქართულში ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, საქართველოში სხვადასხვა კატეგორიისაა, იმისდა მიხედვით, თუ რაგვარ „მეგალითურ“ ძეგლებს ჰგულისხმობენ ისინი.

ნაციხარ-ნაქალაქევთა და საერთოდ მონუმენტალურ ნაგებობათა აღსანიშნავად საისტორიო წყაროებსა, ხალხურ თქმულებებსა და ენობრივ ფაქტებში ცნობილია: 1) „გმირთ-ნაკვეთი“ || „გმირთ-კვეთილი“; 2) „გმირთ-ნაციხარი“ (=ოსური „ვაჟგუთე მასიკ“ || „ვაჟგუთე მაშიკ“), 3) „ლოდოვანი“ (= თურქული „ტაშლუხ“ || „დაშლუხ“), 4) „კარკალი || „კარკნალი“ (გარკვეულ შემთხვევებში მხოლოდ) 5) „ქოროღლი“ (გარკვეულ შემთხვევებში), 5) „ქაჯთა ტუნი“ || „ქაჯთა ქალაქი“ || „ქაჯთა ციხე“ || „ციხე ქაჯეთისა“ (პირობითად), 7) „ბროლის ციხე“ || [ციხე] „ბროლის ქვისა“ ანუ „სალი კლდისა“ (პირობითად).

ცალკეულ ნაშთთა ანუ მონოლიტთა აღსანიშნავად იმავე წყაროებში გვხვდება: 1) „ქვა-კაცი“ || „ქვაკაცა“, 2) „ქალ-ქვა“, 3) „ქვათა-რძალი“ || „ქვათა-რძალა“, 4) „ძუძუ-ქვა“ || „ძუძუს-ქვა“, 5) „რძის-ქვა“ (= სომხური *կաթ-քար*), 6) „თიქილ-ტაშ“ || „თიქმატაშ“ (თურქულადაა).

უკანასკნელ მწკრივს უნდა დაემატოს აგრეთვე „ქვა-ხვრელი“, რომელიც გამოქვაბულ'ს აღნიშნავს, და, თუმცა უფლისციხის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა მხარეზე, მდებარე სოფელსა და მღვიმის მონასტერს ეწოდება, მაგრამ არსებითად სომხ. *ծակ-քար*-ის (წაკქარ) და ავსტრალიელების „ერატიპა“-ს, ე.-ი. ბავშთა სულის ჭვის განაშთია.

## II

# მეგალითების შესწავლის ისტორია ამიერკავკასიასა და საქართველოში

მეგალითების შესწავლის ისტორიას ამიერკავკასიასა, საერთოდ, და საქართველოში, კერძოდ, აქვს თავისი ისტორია, რომლის ზოგადი მიმოხილვა სრულიადაც ინტერეს მოკლებული არაა; პირიქით, იგი აუცილებელიცაა ჩვენს ნაშრომში დასახელებული ფაქტებისა და ლიტერატურის გასათვალისწინებლად.

საიდანაც უნდა დავიწყოთ მეგალითების შესწავლის მიმოხილვა ჩვენში, ერთი რამ სავსებით აშკარაა, სახელდობრ: საკითხი ამ ძეგლების შესწავლის აუცილებლობაზე პირველად აღიძრა V საარქეოლოგიო ყრილობის (1884 წელს თბილისში ჩატარებულის) სათანადო წრეში, რომელმაც ა. ვ. კომაროვის პირით 16 მუხლისაგან შემდგარ ამოცანათა რიგში მე-11 მუხლად წამოაყენა მოთხოვნა: собрать сведения о мегалитических памятниках на Кавказе[1].

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. და თუ მაშინ არა, XX საუკუნეში მაინც ამ „მეგალითების" შესწავლის საქმეში ბრავალი მკვლევარი ჩაება როგორც სომხეთსა და ადრიბეჯანში, ისე ნაწილობრივ საქართველოშიც.

### 1. მეგალითების კვლევა სომხეთში

ამიერკავკასიის სახელმწიფო ერთეულთა შორის მეგალითებით ყველაზე მეტად სომხეთია მდიდარი, სადაც მათი შესწავლაც უკეთესად არის ჩატარებული.

ამას აუცილებლად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თვით მეგალითები პირველად შემჩნეული იყო სომხეთში ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში ცნობილი მოგზაურის A. Haxthausen-ის მიერ, რომელიც ხაჩატურ აბოვიანის ბიძასთან ერთად მოგზაურობის დროს შემთხვევით წააწყდა უზარმაზარ ქვებით მოფენილ ერთ ბორცვს და მოისმინა ხალხური გადმოცემა, თითქოს ეს ბორცვი ნადირ-შაჰის დროინდელი იყოს. გერმანელ მოგზაურს ეს ამბავი საეჭვოდ მიაჩნია და თავისი დამოკიდებულება ამ საკით-

---

[1] Труды Подготовительного Комитета V археологического съезда в Тифлисе, М. 1881, стр. VII.

ხისადმი გამოსთქვა შემდეგ სიტყვებში: Wir scheinen diese Steinhausen. älter zu sein; sie dürsten wol eher der Urzeit, jenen räthselhaften Kyklopenmauern, Hünenringen u. s. w. angehören [1].

1892 წელს ე. მელიქ-შაჰნაზაროვმა გამოაქვეყნა პატარა წერილი ზანგეზურის მხარის, სახელდობრ სისიანის, ს. ყარაქილისას მახლობლად მდებარე მეგალითური სადგომის შესახებ, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ყოშუნ-დაშ"; წერილს დართული ჰქონდა 1 ნახაზი [2]. ხოლო 1898 წ. ამავე სადგომს გაკვრით შეეხო ე. ლალაიანი ყოფ. ზანგეზურის მაზრის აღწერაში, აგრეთვე 1 ფოტოსურათის თანდართვით [3].

1911 წელს აკად. ნ. მარმა სამეცნიერო აკადემიის წლიურ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში თემაზე „კავკასია და სულიერი კულტურის ნაშთები" წარმოადგინა მის და აკად. იაკობ სმირნოვის მიერ 1909—1910 წ. წ. გეღამის მთებზე აღმოჩენილ „ვეშაპ"-თა ზოგადი აღწერა [4].

ხოლო ძირითადი გამოკვლევა როგორც თვით ნ. მარისა, ისე ი. სმირნოვისა იმავე ვეშაპების შესახებ, რეპროდუქციების დართვით, გამოქვეყნდა გაცილებით უფრო გვიან, ერთსადა-იმავე დროს რუსულ და ფრანგულ ენებზე, 1931 წელს [5].

1913—1914 წ. წ. ცნობილმა სომეხმა მწერალმა ატრპეტმა გამოაქვეყნა თავისი დაკვირვებანი ხუროთმოძღვარ თოროს თორამანიანთან ერთად და მისგან დამოუკიდებლადაც ნანახ შირაკის ციკლოპურ სიმაგრეთა შესახებ, 10 ფოტოსურათით [6].

1922 წელს ხუროთმოძღვარმა თ. თორამანიანმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „პრექრისტიანული სომხური ხუროთმოძღვრება", სადაც წარმოადგინა აღწერა რამდენიმე ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქევისა (ჰაჯი-ხალილ, ადიამან, ლაფლი, შაჰ-თაფა,

---

[1] A. Haxthausen, Transkaukasia, I, Leipzig 1856, S. 223—224 =А. Гакстгаузен, Закавказский край, I, Спб. 1857, стр. 216—217.

[2] Е. Мелик-Шахназаров, Кошун-даш,—„Сборник мат. для опис. местн. и племен Кавказа", вып. XIII, 1892, стр. 126—127. и прим. 9.

[3] *Ե. Լալայեան, Զանգեզուրի գաւառ, — «Ազգագրական Հանդէս», III, 1898, էջ 174.*

[4] Н. Марр, Кавказ и памятники духовной культуры,—„Изв. Акад. Наук," 1912, стр. 77—78=იგივე. Пгр. 1919, стр. 15—16.

[5] Н. Я. Марр и Я. И. Смирнов, Вишапы, Лнгр. 1931= N. Marr et J. Smirnov. Les vichapes, Lngr. 1931, 24 ტაბულის დართვით.

[6] *Ատրպետ, Շիրակի աշխատարեան (կիկլոպեան) ամրոցները,— «Ազգագրական Հանդէս», XXV, 1914, էջ 165—188.*

ლალა-იჩი, ჰორომ და სხვ.), რომელთაც იგი ურარტულს უწოდებს. სტატია უსურათოდ-უნახაზოდაა დაბეჭდილი[1].

ატრპეტისა და თორამანიანის მიერ აღწერილმა ზოგიერთმა ნაციხარ-ნაქალაქევმა, სხვათა შორის, ჩვენი ყურადღებაც მიიპყრო 1924 წელს, როდესაც ჩვენ სომხეთში ყოფნის დროს ვინახულეთ შემდეგი სადგომები: კოშის გზაზე მდებარე კოშკი (7. V), თალინის უზარმაზარი ნაციხარ-ნაქალაქევი (11. V) და ადამიანის ნაციხარი (14. V)[2]. ამათში პირველი (სურ. 1) დღემდე უცნობია ლიტერატურაში.



სურ. 1.

1924 წლიდან მოყოლებული. სხვადასხვა პირთა მიერ აღმოჩენილ იქნა არაგაწის (ალაგიოზის) და სევანის ტბის მიდამოებში მრავალი ახალი ობიექტი მეგალითური კულტურისა, ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევთა, დოლმენთა. მენჰირთა და ვეშაპთა სახით.

მეგალითური (ციკლოპური) შენობების დათარიღების საკითხში ზემოხსენებულ სომეხ მეცნიერთა (თორამანიანისა და სხვების)

---

1 *Թ. Թորամանեան, Նախաքրիստոնեական հայ ճարտարապետութիւնը,—«Բանբեր Էջմիածնի Գիտական Ինստիտուտի», I—II, Էջմիածին 1921—1922, էջ 207—225.*

2 Г. Чубинашвили. Из поездки по Армении.—„Заря Востока" 1924 г. № 611 (26. VII); ლ. მელიქსეთ-ბეგი. საქართველოს პირველი სამეცნიერო ექსპედიცია სომხეთში.—„ჩვენი მეცნიერება" № 13, 1924, გვ. 178—179.

მიერ წამოყენებულმა არასწორმა დასკვნებმა, რომლითაც მეგალითები ახალი ქვის ხანას (ნეოლითს) მიეკუთვნა, გამოიწვია მთელი რიგი კრიტიკული წერილები 1932—1933 წ. წ. განმავლობაში[1], აგრეთვე ერთი მონოგრაფია—აკად. ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ს ა[2]. ამ უკანასკნელ წერილებში, სხვათა შორის, განხილულია ციკლოპური შენობები არა მხოლოდ სომხეთში, არამედ აგრეთვე ადრიბეჟანშიც.

## დ. მეგალითების კვლევა ადრიბეჟანში

მეგალითები ადრიბეჟანში, სომხეთთან შედარებით, ნაკლებად არის შესწავლილი. ამას, რასაკვირველია, აქვს თავისი მიზეზი, რომელიც აკად. ი. ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ მ ა 1926 წელს შემდეგნაირად ახსნა:

„Все Закавказье в своем до-историческом прошлом, доходя до халдо-урартской эпохи, взаимно дополняет себя сведениями, получаемыми из различных мест, чуть-ли не от Черного до Каспийского моря, и, в частности, озеро Гокча едва ли было тем пограничным пунктом, который делил мир кавказского междуречья на явно противуположные и обособленные культурные центры; по крайней мере, хотя бы на одном примере, так называемых Арагацских кромлехов, связываются такие сейчас отдаленные друг от друга местности, как район Карса, южные склоны Арарата и Нухинский уезд Азербайджана. И, конечно, их соединял не Алагёз-Арагац со своими „мегалитами“; Армения сама была только одним из районов общего проявления сходных начал культуртворчества гораздо большего масштаба, и заслуга не ее, а ее научных работников в том, что эта культура в настоящее время связана с территориею Алагёзского района, хотя и связана случайно, только под'емом научного интереса в Эриванских ученых кругах, тогда как сходные памятники соседящих местностей еще не пробудили к себе внимания археологов[3].

---

[1] „Сообщения Госуд. Акад. ист. мат. культуры“ 1932 № 1—2, стр. 61—64. „Проблемы истории материальной культуры“ 1933 № 1—2, стр. 39—42, № 5—6; стр. 51—59.

[2] И. И. Мещанинов, Циклопические сооружения Закавказья (Известия Госуд. Акад. ист. мат. культуры, т. XIII, вып. 4—7], Лнг. 1932, стр. 1—105.

[3] И. Мещанинов, До-исторический Азербайджан и урартская культура,—„Известия О-ва обслед. и изуч. Азербайджана“, № 1, Баку 1926, стр. 9.

თუ უწინდელ მკვლევართა შემთხვევითს დაკვირვებებსა და შენიშვნებს განზე დავტოვებთ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეგალითების სისტემატურსა და გეგმიან შესწავლას ადრიბეჟანში ხელი მოჰკიდა ზემოხსენებულმა ი. ი. მეშჩანინოვმა თავისი თანამშრომლებითურთ. და აი, სწორეთ მათ ნაშრომებში ჩვენ ვპოულობთ ამათუიმ მასალას მეგალითების შესახებ [1]. ადრიბეჟანის ზოგიერთ ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევთა (ეილან-ტახტი, კალაქენდი და სხვა) დაწვრილებითი აღწერაც მოცემულია ი. ი. მეშჩანინოვის მონოგრაფიაში [2].

## 3. მეგალითების კვლევა საქართველოში

1891 წელს წალკაში წარმოებული არქეოლოგიური კვლევაძიების დღიურში ს. ავრანლუს მასწავლებელ ა. იოაკიმოვის მიერ, სხვათა შორის, აღნიშნულია: „Сел. Авранло. 25-го июля [1881 г.]. Возле циклопического строения[3] найдены мною кремневый наконечник стрелы и кремневая плита“ [4].

ფაქტიურად ეს პირველი მითითებაა არსებულს ლიტერატურაში ციკლოპური ანუ მეგალითური ნაგებობის არსებობაზე საქართველოს ტერიტორიაზე, რასაკვირველია, ქრონოლოგიურის საზომით აღებული.

ამ ლაკონიურ ჩანაწერს მოსდევს მთელი რიგი მითითებანი სხვა პირებისაც, სახელდობრ ივ. როსტომაშვილისა, ა. გრენისა და ე. თაყაიშვილისა.

ახალქალაქის უ. მაზრის არქეოლოგიურ აღწერაში ივ. როსტომაშვილს როგორღაც აღნიშნული აქვს, რომ მცირე აბულის ციხე „это поистине киклопическая постройка“ [5].

წალკის ს. წინწყაროს სკოლის მასწავლებელ სევასტიანე კორხანიდის 1903 წ. 22 აპრილის თარიღით ალ. გრენისადმი მიწერილ წერილში, სხვათა შორის, აღუთქვამს: „Служа в этом крае[6], весьма интересном в археологическом отношении, более четырех месяцев, я уже нашел, как мне ка-

---

[1] „Известия О-ва обсл. и изуч. Азербайджана“ № 2, 1926, стр. 49—50; № 3, 1926, стр. 117—118, 151—154.

[2] И. Мещанинов, Циклопические сооружения Закавказья, стр. 1—105.

[3] ხაზგასმა ჩვენია. ლ. მ. ბ.

[4] А. Иоакимов, Выписка из дневника археологических работ на Цалке,—„Известия Кавк. О-ва Ист. и Арх.“, т. I, в. I, Тфл. 1882, стр. 8.

[5] И. Ростомов, Ахалкалакский уезд в в археологическом отношении, стр. 25.

[6] ე.-ი. წალკაში. ლ. მ.-ბ.

жется..., в селении Гуния-кала остатки циклопических сооружений«[1]. ხოლო თვით ა. გ რ ე ნ ი დამსწრე ყოფილა იმისა, თუ როგორ გუნია-ყალაში прямо среди селения возвышался любопытный мегалитический памятник из огромных плит или скорее камней[2].

შედარებით უფრო გარკვეულ ცნობებს „ციკლოპურ" ნაციხარ-ნაქალაქევთა შესახებ იძლევა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ჩხიკვთის სამებისა[3] და წალკის ზოგიერთი სიძველის აღწერაში, რომელთაგან ნარდევანის ნაციხარზე საუბრისას, სხვათა. შორის, შენიშნავს: это — настоящая циклопическая постройка[4].

ამას გარდა, ლიტერატურაში (რუსულს, ქართულსა და ნაწილობრივ სომხურშაც) მოიპოვება აღწერა ს.ს. მურჯახეთისა და განძის „სვეტებისა", რომელთა რაობა და ფუნქციონალური მნიშვნელობა დიდ ხანს გამოურკვეველი იყო. ამათგან პირველი 1915 წლიდან მოყოლებული მოექცა აკად. ი. ს მ ი რ ნ ო ვ ი ს ა და აკად. ნ. მ ა რ ი ს ყურადღების არეში[5].

ასეთი იყო, საერთოდ, ჩვენი წარმოდგენა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენი წარმოუდგენლობა მეგალითებისა და მეგალითური კულტურის შესახებ 1923 წლამდე.

1923 წლის ზაფხულს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ ჩვენ მივლინებული ვიყავით საარქეოლოგიო კვლევაძიებისათვის ალგეთის ხეობაში. ამ მივლინების დროს შემთხვევით წავაწყდით გოხნარის ახლოს მდებარე ე.-წ. Медвежья балка-ს, რომელიც ჩვენ მიერ გამოცნობილი იყო როგორც ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქევი სათანადო ატრიბუტებით. ხოლო თვით ნაციხარ-ნაქალაქევი დაწვრილებით შესწავლილ იქნა 1925 წელს მოწყობილი ექსპედიციის დროს შემდეგი პირების თანამშრომლობით (ფოტოგრაფის გარდა): ხუროთმოძღვარი ნ. პ. ს ე ვ ე რ ო ვ ი და აწ განსვენებული გეოლოგი კ. თ ა თ ა რ ი შ ვ ი ლ ი.

გოხნარის Медвежья балка-ს მეგალითური სადგომის აღმოჩენას მოჰყვა მთელი რიგი მივლინებები საკვლევაძიებო ხასიათისა, ექსკურსიები და ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ მხარეებში, როგორიცაა თრიალეთ-

---

[1] А. Г р е н, Отчет по археологической поездке в Цинцкаро, —„Известия Кавк. Отд. Моск. Арх. О-ва", в. II, Тфл. 1907, стр. 26. Прим. Р е д а к ц и и.

[2] იქვე, стр. 44 и рис. там-же.

[3] Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. II, Тфл. 1905, стр. 14—15.

[4] Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тфл. 1913, стр. 36—37.

[5] დაწვრილებით ლიტერატურა ამ „სვეტების" შესახებ იხ. ამ მონოგრაფიის მესამე ნაკვეთის I თავში.

წალკა და ჯავახეთი, აღნიშნული დროიდან მოყოლებული დღემდე, როდესაც აღმოჩენილ ანუ შესწავლილ იქნა მრავალი ძეგლი მეგალითური ხასიათისა.

აქ ზედმეტია ყველა ამ მივლინებებისა და ექსკურსია-ექსპედიციების ჩამოთვლა, რამდენადაც მათი შედეგები მთლად წარმოდგენილია ამ მონოგრაფიაში. მაგრამ ზოგიერთს მათგანს მაინც დავასახელებთ, გარდა ზემოაღნიშნულის 1925 წლისას.

1. 1924 წ. შემოდგომით—ალბულაღის რაიონსა და წალკაში, მარტოოდენ.

2. 1924 წ. შემოდგომით და 1925 წ. ზაფხულს—სამხრეთ-ოსეთში, ადგილობრივ მუშაკებთან ერთად.

3. 1926 წ. შემოდგომით—ბაკურიან-თორის რაიონში, შ. ამირანაშვილთან ერთად.

4. 1929 წ. ზაფხულს—ჯავახეთსა და კვლავ წალკაში, ფოტოგრაფთან ერთად.

5. 1932 წ. ზაფხულს—ტაბაწყურის რაიონს, კვლავ წალკასა და „ლოდოვანს", პროფ. გ. ჩუბინაშვილთან ერთად.

6. 1932 წ. შემოდგომით—ალბულაღის რაიონში, მხატვარ ვლ. ზაალიშვილთან ერთად.

7. 1933 წ. ზაფხულს—გოხნარს, პროფ. შ. ამირანაშვილთან ერთად.

8. 1935 და 1936 წ. შემოდგომით—კვლავ წალკაში, ფოტოგრაფთან ერთად, როდესაც წარმოებულ იქნა გათხრებიც.

ამასობაში მეგალითების საკითხით დაინტერესდნენ სხვებიც, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს ამათუიმ ცალკეულ ძეგლის შესწავლასა და აღწერას, მაგ. ე. ა. გურკო-კრიაჟინმა — გოხნარისა, ასევე ელ. ხუციშვილმა, ხოლო გრ. შავგულიძემ—„ლოდოვანი"-სა. მხატვარმა ვლ. ზაალიშვილმა, ჩვენი მითითებების თანახმად, ინახულა წალკის მეგალითები, ნახაზების შესასრულებლად; ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის გამგემ ბოტანიკოსმა კოზლოვსკიმ შეაგროვა დიდძალი მასალა ბაკურიან-თორის მხარის ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევთა შესახებ; ე. გ. პჩელინამ აწარმოა ასეთივე მუშაობა სამხრეთ-ოსეთში, ხოლო ლ. მუსხელიშვილმა —აბასთუმან-ბოდოკლდეს მიდამოში. საქართველოში აღმოჩენილი „ვეშაპ"-„ვეშაპოიდები"-თ კი სპეციალურად დაინტერესდა აკად. ნ. მარი.

ყოველი მივლინებისა და ექსკურსია-ექსპედიციის შედეგად ჩვენ მიერ სათანადო დაწესებულებებში წაკითხულ იქნა მოხსენებები წინასწარი ანგარიშის სახით, რომელთაგან ზოგიერთი დაიბეჭდა კიდეც. ამ მოხსენებების ჩამოთვლაც აქ ზედმეტად არ მიგვაჩნია. მხოლოდ ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით აღვნუსხოთ მთელი ის ლიტერა-

ტურა, რომელიც წარმოიშვა 1923 წლის შემდეგ, პირველ ყოვლისა ჩვენივე ნაწერები, შემდეგ კი სხვა პირებისაც.

პირველ ყოვლისა, ვათავსებთ სიას იმ ჩვენი წერილებისას, სადაც მეგალითებზეა ლაპარაკი:

1. Введение в историю государственных образований Юго Кавказа [Caukasica I], Тифлис 1924, გვ. 46 (აღნიშნულია მეგალითების აღმოჩენის ფაქტი).

2. მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით. სახელმძღვანელოდ საზაფხულო ექსკურსიების მოსაწყობად, —„ახალ სკოლისაკენ“ 1924 წ. № 2—3, გვ. 77—79 (მოცემულია გოხნარის Медвежья балка-ს და Каменная невеста-ს აღწერა).

3. К археологии и этнологии Туальской Осии (Из материалов первой поездки в Юго-Осетию 17—31 октября 1924 г.,—„Юго-Осетия“, I, Тфл. 1925, стр. 258—271 (მოცემულია „ვაჲგუთე-მასიკ“ || „ვაჲგუთე-მაშიკ“-ის აღწერა, დაკავშირებით გოხნარის და წალკის სადგომებთან, აგრეთვე „ციკლოპური“ სისტემის შენობათა ტექნიკის საკითხის განხილვით).

ამის შესახებ იხ., სხვათა შორის, ოსური გაზ. „Xurzaerin“, ცხინვალს 1925 წ. 28. III № 9 (46).

4. ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში (საქართველოში ახლად აღმოჩენილი „ციკლოპიური“ შენობების გამო),—„მნათობი“ 1925 წ. № 2, გვ. 219—215 (მოცემულია ზოგადი აღწერა 8 სადგომისა: გოხნარის, ჩხიკვთის სამების, ტაშბაშის, ნარდევანის, ოზნის, ავრანლუს, გიუმბათის (უკანასკნელი 5 წალკაზე), და ვაჲგუთე-მასიკის).

5. Из материалов поездки на Цалку в 1924 г.,—„Известия Кавк. Ист.-Арх. Института“, т. IV, Тфл. 1926, стр. 133 (მოკლე ინფორმაცია).

6. Предварительный отчет о поездке в Гудамакарское ущелье и Юго-Ос[ет]ию летом 1925 г.,—იქვე, стр. 133—135 (განხილულია ე.-წ. „დევის-ბინები“ || „დევის-პინები“-ს საკითხი).

7. Предварительный отчет о поездке в Бакуриано-Торский район,—„Бюллетень Кавк. Ист.-Арх. Института“ № 1—3, Тфл. 1928, стр. 10, 16 (მოკლე ინფორმაცია ბაკურიანისა და ციხისჯვარის მეგალითური სადგომების შესახებ).

8. *Վրաց արվեստի Հայաստանի և հայերի մասին. Հատոր Ա. (Ն—ձր պար), Երևան 1934, էջ 15.*

9. თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის (ხრამჰესის მშენებლობის გამო),—„მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, ტფილ. 1934, გვ. 27—44 (მოცემულია, სხვათა შორის, მეგალითების, კერძოდ ვეშაპთა საკითხის განხილვა წყლის კულტთან დაკავშირებით).

10. К охране археологических памятников в районе строительства Храмгэс'а,—„ხრამჰესის“ დამკვრელი“=Ударник Храмгэс'а, 1935 г. 12.IX № 32 (ხრამჰესის რაიონში მდებარე ძეგლთა და, კერძოდ, მეგალითების დაცვის მოგვარებისათვის).

11. თიქმატაშ,—იქვე 24.IX № 33, ორი ფოტოსურათით: 1) თიქმა-ტაში ანუ თიქილ-ტაში (გვერდიდან) და 1) თიქმა-ტაში ანუ თიქილ-ტაში.

14. ტაშბაშ,—იქვე 6.X № 35, ერთი სურათით: „ტაშ-ბაშის მეგალითური კედელი (ციხის ნაშთი)“.

15. Армазни, Т. 1938, стр 19—20.

საქართველოს მეგალითებზე, ჩვენს მუშაობასთან დაკავშირებით, სხვებსაც უწერიათ, სპეციალურად ან გაკვრით; ასეთებია:

1. Xurzaérin, ოსური გაზეთი, 1925 წ. 28.III № 6 (46).

2. Отчет о деятельности Академии Наук СССР за 1925 г., Лнгр. 1926, стр. 204 (ინფორმაცია 1925 წ. ჩვენი ექსპედიციის შესახებ გოხნარს).

3. კ. თათარიშვილი, გოხნარის მიდამოების მოკლე ჰიდრო-გეოლოგიური მიმოხილვა,—„საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. III, 1927, გვ. 99—108 (ანგარიშია 1925 წ. ჩვენს ექსპედიციაში მონაწილეობისას გეოლოგიური კვლევაძიების ხაზით).

4. გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, ტფ. 1926. გვ. 7, 23 (№ 2—4 ქვეშ ზემოდაღნიშნული ჩვენი წერილების ბიბლიოგრაფიაა, მეგალითების შესახები მოსაზრებებითურთ).

5. იგივე, ქართული ხელოვნების ისტორია, იმავე ნაშრომის ხელახალი გამოცემა, ტფ. 1936, გვ. 5, 13 (შეუცვლელად).

6. В поисках следов доисторической культуры,—„Заря Востока“ 1925 г. 31.VII № 939 (მოკლე ინფორმაცია ჩვენ მიერ „ვაჲგუთე-მასიკ“-ის დაზვერის შესახებ).

7. В. А. Гурко-Кряжин, Город циклопов,—„Заря Востока“ 1926 г. 8.IX № 1271; გადაბეჭდილია კრებულში: Советское Закавказье. Справочная книжка на 1926—1927 г., Тфл. 1927, стр. 220—221 (გოხნარის ნაციხარ-ნაქალაქევის აღწერა).

8. В. А. Гурко-Кряжин, Циклопические сооружения Закавказья,—„Новый Восток“ № 15, Москва 1926 г., стр. 212—221 (წინა წერილის გადამუშავებული და გაფართოებული რედაქციაა, სადაც, სხვათა შორის, 213 გვ., შენ. 3, ჩამოთვლილია ჩვენი წერილები საქართველოს მეგალითების შესახებ).

9. В поисках мегалитической культуры,—„Заря Востока“ 1926 г. 8.X № 1596 (მოკლე ინფორმაციაა 1926 წ. ჩვენი ექსპედიციის შესახებ ბაკურიან-თორის მხარეში).

10. А. С. Памятники циклопических построек в Грузии, —„Красная Нива“ 1926 г. 21.XI № 47 (იგივე), 2 სურათით, რომელთაგან ერთში წარმოდგენილია ციხისჯვარის კრომლეხი, ხოლო მეორეში გოხნარის დოლმენი.

11. Zyldy moesyg, Çiclopty amad, — ოსური ჟურნ. „Fidioeg“. (ქადაგი), 1927, № 7—8, გვ. 62—65.

12. Г. Ф. Чурсин, Краеведческая экспедиция ЗКУ (письмо из Ахалкалаки),—„Заря Востока“ 1929 г. 9.VIII № 180 (მოკლე ინფორმაცია, სხვათა შორის, 1929 წლის ჩვენი ექსპედიციის მიღწევების შესახებ).

13. ე. ხუციშვილი, გმირთ-ნაკვეთი. პირველყოფილი ადამიანთა სამეფოში,—„დროშა“ 1929 წ. 18.VIII № 15, გვ. 14—15 (გოხნარის ნაციხარ-ნაქალაქევის ზოგადი აღწერა), ექვსი ფოტოსურათით: 1. „ჩასავალი მიწის ქვეშა ბინაში“, 2. „გმირთ-ნაკვეთ ქალაქის ერთ-ერთი ნაწილი“, 3. „მიწის ქვეშა ბინის კედელი“, 4. „პირველყოფილი ადამიანის ერთ-ერთი ბინა“, 5. „გმირთ-ნაკვეთი. საერთო მდებარეობა“, და 6. „ზღვა-გორახები“.

14. Н. Я. Марр и Я. И. Смирнов, Вишапы, Лнгр, 1931, стр. 10=N. Marr et J. Smirnow, Les vichapes, Lngr. 1931, p. 10 (ინფორმაცია ჩვენ მიერ აღმოჩენილი „ვეშაპ“-„ვეშაპოიდ“-ების შესახებ, თანახმად იმ მოხსენებათა, რომელნიც ჩვენ მიერ წაკითხულ იქნენ ЗКУ-ს მხარეთმცოდნეობითი კაბინეტის საჯარო სხდომაზე 1930 წ. 21.IV-ს, აკად. ნ. მარის თანადასწრებით, აგრეთვე ნაწილობრივ ГАИМК-ის სხდომაზე ლენინგრადში 1925 წ. 24.IX ამავე ნ. მარის თავმჯდომარეობით).

15. Н. Марр, Языковая политика яфетической теории и удмуртский язык, изд. Научно-Исслед. Института народов Советского Востока, М. 1931, стр. 109=„Избранные работы“, т. V, 1935, стр. 520 (იგივე).

16. И. Д. Чхиквишвили, Материалы по орнитофауне Джавахетии,—„Джавахетские материалы по изучению природных ресурсов Ахалкалакского нагорья“, Зак. Фил. Акад. Наук СССР, Тифлис 1933, стр. 305—306 (მოყვანილია, სხვათა შორის, 1929 წ. ჩვენი ექსპედიციის მარშრუტი).

17. შ. ამირანაშვილი, ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები, ტფ. 1934 (აქ დართულია სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ აღრიცხვაზე აყვანილ ძეგლთა სია, სადაც, სხვათა შორის, ნაჩვენებია: „გოხნარის... ციკლოპიური შენობები“, გვ. 37; „ხხიკვთაში... ციკლოპიური ციხე“, იქვე; ახალქალაქის ყოფილ მაზრაში „მურჯახეთის სვეტი—«ვეშაპით»“, გვ. 61. ამას გარდა, საქართველოს ნივთიერი კულტურისა და ხელოვნების შესახებ ლიტერატურის ჩვენებაში მოხსენებულია ის ჩვენი

ნაშრომები მეგალითების შესახებ, რომლებიც №№ 2—4-ითაა აღნუსხული და რომლებიც გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს წიგნშიცაა ნაჩვენები).

18. Е. Г. П ч е л и н а, Крепость „Зильде-Машиг“,—„Советская Этнография“, 1934, № 3, стр. 87—101, 4 სურათით, სადაც წარმოდგენილია: 1. Вид г. Уйгуте Машиг на плато Зильде, 2—пик Уйгуте Машиг, 3—План крепости Зильде Машиг, და 4 - Часть северо-восточной стены Зильде Машиг (ზოგადი ანგარიში 1930 და 1931 წ.წ. თავისი კვლევაძიებისა სამხრეთ-ოსეთში დაცულის ერთად-ერთის ციკლოპური ნაციხარისას).

რეცენზია ამ წერილზე იხ. „Советская Этнография“ 1936 г. № 5 6, стр. 488.

19. В. Н. Х у д а д о в. Мегалитические памятники Кавказа.—„Вестник древней истории“, I. М. 1937, стр. 195—215.

20. ს. ი. ჯ ა ნ ა შ ი ა, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე, —„ენიმკის მოამბე“, I, თბ. 1937, გვ. XXXII.

ზოგიერთი მასალა ისტორიული საქართველოს მეგალითების შესახებ გამოქვეყნდა ბოლო წლებში ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის გარეშეც.

ასე, მაგალითად, სომეხი მწერალი ა ტ რ პ ე ტ ი სომხურ ენაზე გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში „ჭოროხის აუზი“ მოგონებების სახით აგვიწერს იმ მეგალითებს (ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევთ, მენჰირ-ვეშაპებს), რომლებიც მას ნანახი ჰქონია ჭოროხის აუზსა და საერთოდ ლაზისტანში (ჭანეთში) წარსული საუკუნის 80-იან წლებში: იხ. *Ա տ ր պ ե տ, Ճորոխի աւազան [Ազգային Մատենադարան 118], Վիեննա 1929.*

ათაბაგეთის ხაზით საჭიროა აღინიშნოს შემდეგი პუბლიკაციები:

1. В. И. С т р а ж е в, К Азантскому дольмену (Археологическая разведка).—„Известия Абхазского Научного О-ва“, в. IV, Сухум 1926, стр. 125—127.

2. M. M. J v a s c e n c o, Beiträge zur Vorgeschichte Abchasiens. I. Eine neuentdeckte Dolmengruppe, — „Eurasia Septentrionalis Antiqua“, VII, Helsinki 1932, p.p. 98—112.

3. М. М. И в а щ е н к о, Исследование архаических памятников материальной культуры Абхазии, Тфл. 1935.

4. A. M. T a l l g r e n, Sur les monuments mégalithiques du Caucase occidental,—„Eurasia septentrionalis Antiqua“, IX, Helsinki 1934, p.p. 1—46.

* * *

**საქართველოს მეგალითების შესახებ სხვადასხვა დროს სხვადასხვა დაწესებულებებში ჩვენ მიერ წაკითხული მოხსენებების სია.**

1. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთის ხეობაში (საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 10.XII.1923 და КОМАО-ში 21.VI. 1924). დაბეჭდილია სხვა სათაურით. იხ. ზემოდ № 2.

2. К археологии и этнологии Туальской Осии (სამეცნიერო აკადემიის კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტში 18.X. 1924). დაბეჭდილია ამავე სათაურით.

3. Об экспедиции в Манглисский район 17--21 мая 1925 г. для изучения циклопического городища (იქვე 22.VI. 1925).

4. Об основных положениях разрабатываемой темы об этнической подоснове терминов, обозначающих у яфетических народов „циклоп", „великан", „титан", „герой" (იქვე 22. VI. 25).

5. По поводу работ о мегалитических сооружениях в Армении и о термине „огуз" (იქვე 29.VI. 25).

6. Об археологической экспедиции по Юго-Осетии (სამხრეთ-ოსეთის სამხარეთმცოდნეო ინსტიტუტში ცხინვალს 25.VII. 1925, აგრეთვე КИАИ-ში 3.VIII. 25).

7. Мегалитические сооружения в Грузии (ГАИМК-ის კავკასიისა და იაფეტური სამყაროს სექციის სხდომაზე ლენინგრადში 24.VI. 1925).

8. Предварительный отчет о поездке в Бакуриано-Торский район (სამეცნ. აკად. კავკასიის საისტ.-საარქ. ინსტიტუტში 7.XII.1926).

9. К классификации археологических памятников Юго-Осетии (ЗКУ-ს-თან არსებულს ოსეთის სამხარეთმცოდნეო წრეში 10.III.1929).

10. Археологические исследования в районе Триалет-Цалки, Джавахетии и Абоца. К проблеме вишапов и мегалитов (из результатов краеведческой экспедиции ЗКУ 1929 г.) (ЗКУ-ს სამხარეთმცოდნეო კაბინეტის საჯარო სხდომაზე 21. IV. 1930).

11. მეგალითების აღმნიშვნელი ტერმინები ქართულში (საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 17.V. 1931; გამეორებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის სექციის ღია სხდო-

მაზე 29.XI. 1932). ეს მოხსენებაა, რომ საფუძვლად დაედვა ამ მონოგრაფიის პირველი ნაკვეთის I თავს.

12. თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის (ტფილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ძველი ისტორიისა და ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრების გაერთიანებულ ღია სხდომაზე 26.V. 1933). დაბეჭდილია ამავე სათაურით.

13. Короглы в памятниках материальной культуры Грузии и Армении (სამეცნიერო აკადემიის აზერბეჯანის ფილიალის ისტორიის ინსტიტუტის ღია სხდომაზე ბაქოში 10.XII. 1936).

## III

## მეგალითების კლასიფიკაცია.

მეგალითების კლასიფიკაციის საკითხი ზოგად თეორიული ხასიათისაა, რომელიც, რასაკვირველია, ამ მონოგრაფიის გარეშე და წინასწარ უნდა ყოფილიყო გიხილული და ნათელყოფილი კარლ მარქსის მიერ მოცემულ მითითებათა საფუძველზე[1]. მაგრამ, რადგანაც მეგალითების კვლევის საქმეში ისეთი მოცულობითა და მასშტაბით, როგორც ჩვენ განვიზრახეთ, ჩვენ წინამორბედი საერთოდ არ გვყოლია, ამ საკითხის განხილვაც ჩვენვე გვიხდება, და მასზე პასუხს გავცემთ, რამდენადაც ძალა შეგვწევს.

ევროპულ ლიტერატურაში მეგალითების საკითხი ცოტად-თუბევრად ვრცლად განხილულია J. Fergusson-ის აწ მივიწყებულ გამოკვლევაში, რომელიც პირველად (1872) ინგლისურად გამოიცა[2], შემდეგ კი (1878) ფრანგულადაც[3].

გაცილებით უფრო გვიან ამ საკითხსვე ეხება J. Déchelette თავის ცნობილ თხზულებაში ფრანგულ ენაზე[4].

---

[1] კარლ მარქსი, კაპიტალი, ტომი პირველი, ტფ. 1930, გვ. 140—141 („რა მნიშვნელობაც დაშთენილი ძვლების აგებულებას აქვს მოსპობილ ცხოველთა ჯიშების ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს მოსპობილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად. ეკონომიურ ეპოქებს განასხვავებს ერთმანეთისაგან არა ის, თუ რა იწარმოება, არამედ როგორ, შრომის რა საშუალებებით იწარმოება").

[2] Rude stonc monumenls in all countries; Their age und uses. By James Fergusson. With two hundred and thipty-four illustrations. London 1872, 500 გვ.

[3] Les monuments mégalithiques de tous paus: leur âge et leur destination, par J. Fergusson, traduit avec des notes par Hamard, [Paris] 1878, 1 carte, 230 grav., LII+559 pp.

[4] Manuel d'archéologie préhistorique Celtique et Gallo-Romaine, par Joseph Déchelette, Paris: t. I, Archéologie préhistorique. 1908, Ch. III et IV; t. II, Archéologie Celtique ou protohistorique: prémiere partie, 1900, ch. II.

მეგალითების კლასიფიკაციას J. Fergusson-ი უძღვნის თავისი თხზულების II თავს, რომელიც წინასწარი მიმოხილვის (Preliminary Observations) ხასიათს ატარებს; აქ იგი მეგალითებს შემდეგ კატეგორიებად ჰყოფს: აკლდამები (Tumuli), დოლმენები (Dolmens), კრომლეხები (Circles), გასავალნი (Avenues) და მენჰირები (Menhirs)[1]. მას გამოყენებული აქვს მასალები შემდეგი ქვეყნების მიხედვით: მე-III თავში—ინგლისის, IV-ში—მცირე ინგლისის, V—ირლანდიის, VI—შოტლანდიის, VII—სკანდინავიისა და ჩრდილო გერმანიის, VIII—საფრანგეთის, IX—ესპანეთის, პორტუგალიისა და იტალიის, X—ალჟირისა და ტრიპოლის, XI—ხმელთაშუა ზღვის კუნძულებისა (მალტა, სარდინია, ბალეართა კუნძულები), XII—დასავლეთ აზიისა (პალესტინის, სირიის, არაბეთის, მცირე აზიის, ჩერქეზეთის, [სამხრეთ რუსეთის] სტეპის, კაბულის), XIII—ინდოეთის, XIV—ამერიკისა.

J. Fergusson-ის თხზულების ამ მოკლე შინაარსიდან ჩანს, რომ ავტორი თავის მიმოხილვაში გვერდს უხვევს ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველო-სომხეთ-ადრიბეჟანის მეგალითებს, ცხადია, იმ მიზეზის გამო, რომ უკანასკნელთ ვერ იცნობდა ანდა მათზე მას ცნობა არ მოეპოვებოდა.

არ იცნობს ამიერკავკასიის მეგალითებს J. Déchelette-ც, რომელიც ევროპაში მიმობნეულ ანალოგიურ ძეგლებს 6 ჯგუფად ჰყოფს (on peut répartir les monuments mégalithiques en six groupes principaux): 1. მენჰირები—„les menhirs (du bas—breton, men, pierre et hir, long)", ე.-ი. აზიდული ქვები ანუ ვერტიკალურად დაყენებული ობელისკები; 2. კრომლეხები--„les cromlechs (de crom, courbe et lec'h, pierre)", ე.-ი. მენჰირებისგან შედგენილი წრე, რომელსაც ინგლისელები stonc-circles უწოდებენო; 3. ალინემანი—„les alignements", ე.-ი. ქვათა მწკრივები ანუ ერთ ხაზზე აღმართული მენჰირების ჯგუფი; 4. დოლმენები და დახურული გასავალნი—„les dolmens et allées couvertes (de dol, table et men, pierre)", ე.-ი. მიწის ზედა ქვათა ყუთები და დახურული გასავალნი; 5. ტრილითები—„les trilithes, appelés jadis lichavens", ე.-ი. სამი ქვისგან შემდგარი სვეტები; და 6. ქვის ყუთები—„les cists ou coffres en pierres (stone—cistes, kistvaens)", ე.-ი. აკლდამები[2].

ამასთანავე საინტერესოა, რომ ამ კლასიფიკაციაზე J. Déchelette ლაპარაკობს თვისი თხზულების იმ ნაწილში, რომელშიც განხილულია ნეოლითის პერიოდის ძეგლები (Deuxième partie. Age de la pierre polie ou période néolitique).

---

[1] Rude stone monuments in all countries. by J. Fergusson, 29—60.

[2] Manuel d'archéologie préhistorique Celtique et Gallo-Romaine, par J. Déchelette, I, pp. 375—377.

რაც შეეხება რუსულს სამეცნიერო ლიტერატურას არქეოლოგიის დარგში, აქ საერთოდ დამკვიდრდა მეგალითების დაყოფა ციკლოპურ ნაგებობად, ერთის მხრივ, და დოლმენ-მენჰირ-კრომლეხებად, მეორეს მხრივ.

ამიტომაცაა, რომ უკანასკნელ ხანებშიც კი მ. მ. ივაშჩენკო აფხაზეთის არქაული ნივთიერი კულტურის ძეგლებზე საუბრისას, გვერდს უხვევს რა ციკლოპურ შენობებს, მეგალითებად ამ სამ ტიპს, ე.-ი. დოლმენებს, მენჰირებსა და კრომლეხებს, აღიარებს (как известно, мегалитические памятники, т.-е. дольмены, менгиры и кромлехи...)[1].

მეგალითების კლასიფიკაცია მეტად გაძნელებულია, სხვათა შორის, იმის გამოც, რომ ხშირად ე.-წ. ქვის ყუთი (აკლდამა) ვერ განირჩევა დოლმენისაგან ან პირუკუ. და ჩვენი არქეოლოგები სავსებით მართალნი არიან, როდესაც ისინი, ამიერკავკასიასა და, კერძოდ, ადრიბეჟანში გამოაშკარავებული ძეგლების დახასიათებასთან დაკავშირებით, საგანგებოდ ჩერდებიან ე.-წ. „ქვის ყუთისა“ და „დოლმენის“ ცნებათა გარკვევაზე, უკეთ რომ ვთქვათ, გამიჯვნაზე.

მთელი დედა-აზრი მათი დებულებისა ისაა, რომ ე.-წ. ქვის-ყუთი და დოლმენი ხშირად ერთმანეთისაგან ვერ განირჩევა; ამიტომ შესაძლებელია, რომ ქვის ყუთებიც მეგალითებში იქნეს მოქცეულიო[2].

ჩვენ პირადად გვგონია, რომ ე.-წ. „ქვის ყუთები“ (აკლდამები) შეიძლება მეგალითებს მიეკუთვნოს, მაგრამ ყველა კი არა, არამედ მხოლოდ გარკვეული ტიპისა.

ევროპული და რუსული ლიტერატურის გავლენას მეგალითების საკითხში ვერ ასცდნენ სომეხი მკვლევარნიც, რომელთა თანახმადაც „მეგალითები იყოფა 3 მთავარ ტიპად—მენჰირებად, კრომლეხებად და დოლმენებად“.

ფორმალური მომენტის გადაჭარბებამ მეგალითების კლასიფიკაციისა და დათარიღების საქმეში გამოიწვია სავსებით სამართლიანი კრიტიკა ნივთიერი კულტურის ისტორიის აკადემიის თანამშრომელთა მხრივ, აკად. ი. ი. მეშჩანინოვის მეთაურობით. ეს უკანასკნელი სწერს:

„Применение формально-типологического метода не только недостаточно, но и невозможно. Этот метод с необычайною легкостью и кажущеюся убедительностью заставит об‘единить воедино разностадиальные сооружения лишь по признаку внешнего сходства строительной техники. И, на-

---

[1] М. Иващенко, Исследование архаических памятников материальной культуры Абхазии, Тфл. 1935, стр. 9.

[2] „Известия О-ва обсл. и изуч. Азербайджана“, № 3, Баку 1926, стр. 117—118.

оборот, неизбежно, по тому же признаку, но уже различия кладки, раз'единит многое из того, что на самом деле окажется одностадиальным и синхроничным.

„Ведущим для нас должен быть общественный фактор и функциональная семантика памятника, т. е. его назначение, даваемое определенною общественною средою, а для этого нужно установить характер социального строя. Нельзя ограничиваться голым описанием внешних форм и типологиею... Необходимо выяснить, что они собою представляют, кем и для чего сооружены..."[1].

„Казалось бы, что это ясно само собою, но в том то и дело, что формально-типологический метод предпочитает считаться с внешнею формою вещи, а не с ее содержанием..."[2].

„...Классификация проводилась, да и проводится до сих пор, по типам, ими же она и хронологизируется. Иногда проводится географическая классификация, об'единяющая реслеровские находки в Гяндже или лалаяновские у Севана в отдельные статические комплексы, как будто бы названные районы пережили только один период. Иногда формальный анализ выделяет вещи по единично взятому признаку, по материалу, в результате чего получаются уродливые формы „каменного" века Армении, в который включаются солнечные круги кромлехи только потому, что они сделаны из камня и т. д."[3].

მეგალითების კლასიფიკაციის საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის ამოსაწურავად ჩვენ მიზანშეწონილად მოგვაჩნია აღვნუსხოთ აგრეთვე ის, თუ ამ მეგალითებს რა ადგილს უთმობენ ხელოვნების ისტორიაში ჩვენი ხელოვნებათმცოდნეები, რამდენადაც ისინი ანგარიშს უწევენ მეგალითების არსებობის ფაქტს.

პროფ. გ. ჩუბინაშვილის შეხედულება ამ საკითხზე გამომჟღავნებულია მის ცდაში საქართველოს ძველი ხელოვნების შესახები ლიტერატურის დანაწილებისას შემდეგ რუბრიკებად: 1. მეგალითური შენობები. 2. მეგალითური ძეგლები. 3. პალეოლითი და ნეოლითი. 4. ბრინჯაოს და რკინის ხანა[4].

---

[1] И. Мещанинов, Циклопические сооружения Закавказья, стр. 91, 93.

[2] იქვე, 94.

[3] იქვე, 95.

[4] გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, ტფ. 1926, გვ. 23—28 = მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, ტფ. 1936, გვ. 13—17.

პროფ. შ. ამირანაშვილს კი სათანადო ლიტერატურა დანაწილებული აქვს შემდეგ რუბრიკებად: პალეოლითი და ნეოლითი; მეგალითური კულტურის ძეგლები; ბრინჯაოს და რკინის ხანა; და სხვ.[1].

ამრიგად, გ. ჩუბინაშვილს მეგალითები ორ მთავარ დარგად აქვს ნახსენები, რომლებიცაა: მეგალითური შენობები და მეგალითური ძეგლები; მაშინ როდესაც შ. ამირანაშვილს ყველა ერთს ჯგუფში აქვს მოცემული: მეგალითური კულტურის ძეგლები.

* * *

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეგალითების, ისევე როგორც სომხეთისა და სხვა ქვეყნების ანალოგიური ძეგლების კლასიფიკაცია, ჩვენის აზრით, გაძნელებულია უმთავრესად იმის გამო, რომ არსებული დაყოფა ამ მეგალითებისა ციკლოპურ შენობებად და დოლმენებად, კრომლეხებად და მენჰირებად სავსებით ვერ ჰფარავს და ვერ ითვალისწინებს მეგალითების ყველა სახესა და ყველა ტიპს. ეს—ერთის მხრივ. მეორეს მხრივ კი, ასეთი დაყოფა ანგარიშს არ უწევს იმ ძეგლებს, რომლებიც ამ სახეთა და ტიპთა რთულ კომპლექსს წარმოადგენენ. ავიღოთ, მაგალითად, გოხნარის ნაციხარ-ნაქალაქევი მისი მიდამოებითურთ (ლოდოვანი და მარიამჯვარი), სადაც თავმოყრილია, კარკნალების გარდა, ციკლოპური ნაციხარი ზღუდითა და ცილინდრული კოშკებითურთ, დოლმენები და კულტის ობიექტები, როგორიცაა მარიამჯვარი, ერატიპას ნაშთი და სხვ. ხოლო ამ სადგომის ასეთი მრავალფეროვანობა მაჩვენებელია არსებობის ხანგრძლივობისა, პალეოლით-ნეოლითიდან მოყოლებული ფეოდალურ ფორმაციამდე. ესევე ითქმის ავრანლუს ნაციხარ-ნაქალაქევზე, რომელიც არტყია „პირველყოფილი“ ადამიანის გამოქვაბულებს და რომელშიც ქრისტიანულ ხანაში ე.-წ. აბიბოს მონასტერია მოქცეული; ან ს. ჩოლაყთან მდებარე აჲ-კონსტანტინი, სადაც თავმოყრილია ციკლოპური ზღუდისა და კრომლეხის ნაშთები, აგრეთვე ვეშაპოიდი ჯვარიან-ქვად გადაქცეული და ერატიპა.

ასევე ითქმის მონოლითების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია მენჰირებსა და ვეშაპ-ვეშაპოიდებში, რამდენადაც აქაც ერთსადაიმავე ობიექტს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფუნქცია ჰქონია მიკუთვნებული. და სრულიად გასაგებია, რომ თუ რომელიმე ქვა თავდაპირველად, ვთქვათ, ნეოლითის ხანაში, უბრალო მენჰირად, ე.-ი. სრულიად დაუმუშავებელ აზიდულ ქვად იყო მიჩნეული, შემდეგში, ვთქვათ, ბრინჯაოს ანუ ხალკოლითის ხანაში, გვაროვნულ-

[1] შ. ამირანაშვილი, ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები, ტფ. 1934, გვ. 73—76.

ტომობრივი კოლექტივების ჩამოყალიბებასთან ერთად, საკულტო ობიექტადაა გადაქცეული რომელიმე ცხოველის სახისა ან ცხოველის გამოსახულობით (ზოომორფიზაცია), შემდეგში იგივე ქვა შეიძლება ქვა-კაცად ანუ ქალ-ქვად (ქვათა-რძალად) ყოფილიყო გადაქცეული (ანტროპომორფიზაცია), ფალუსად ან ქვა-ჯვარადაც კი; ისევე, როგორც ე.-წ. „ქვა-ხვრელი" (=*ծակ-քար*) ერატიპად ანუ „სულთა ქვა"-დ არის გადაქცეული, თანამედროვე გაგებით კი „ცხენების დასაბმელ ქვა"-დ.

მეგალითების კლასიფიკაციის პირველი ცდა წარმოდგენილი იყო ჩვენ მიერ ЗКУ-ში წაკითხულ მოხსენებაში 21.V.1930, იმ სახით, რომ მეგალითურ ძეგლებს ჩვენ ვჰყოფდით 4 კატეგორიად: 1. პალეო ანუ არქაო-მეგალითური, 2) მეზო-მეგალითური, 3) ნეო-მეგალითური; და 4) ფსევდო-მეგალითური. პირველ ჯგუფს ჩვენ ვაკუთვნებდით კარკნალ-ნაპრალებს გოხნარს, დაშლეხს, აბულს და სხვ.; მეორეს—ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევთა უმეტეს ნაწილს; მესამეს—აბულის, შაორის, ტაბაწყურის კუნძულის და სხვ. სადგომებს; ხოლო უკანასკნელს—ციკლოპურ შენობათა ყაიდაზე აგებულ ახალი დროის შენობებს ყაურმას, ასფარას და სხვ.

მაგრამ ეს კლასიფიკაცია საქართველოს მეგალითებისა სწორი ვერ გამოდგა,—და მის სისუსტეზე აღნიშნულ სხდომაზე აკად. ნ. მ ა რ მ ა სავსებით სამართლიანად მიგვითითა,—უმთავრესად იმის გამო, რომ იგი (კლასიფიკაცია) ითვალისწინებდა მხოლოდ შენობებს და გვერდს უხვევდა დანარჩენი კატეგორიის ძეგლებს. გარდა ამისა, იგი მეტად აბსტრაქტულ ხასიათს ატარებდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეგალითების სტადიალური კლასიფიკაცია საჭირო და აუცილებელია იმ მიზნით, რომ ჩვენ მართებულად მოვნახოთ ქრონოლოგიური საფეხურები ანუ ჩარჩოები ამათუიმ ძეგლის წარმოშობისა და შემდგომი განვითარებისათვის საზოგადოებრივ ფორმაციებთან შეფარდებით, ე.-ი. სტადიალური თვალსაზრისით. მაგრამ ვშიშობთ, რომ აქაც ჩვენ ხელახალი აბსტრაქტული კლასიფიკაციის შემუშავებით, მეორე უკიდურესობამდე მივალთ. ამიტომაც, ერთადერთი გამოსავალი აბსტრაქტული სქემების თავიდან ასაცილებლად არის ფუნქციონალურ-სემანტიკური კლასიფიკაციის შემუშავება მეგალითების ყველა სახისა და ტიპის გათვალისწინებით.

თავისთავად ცხადია, რომ მეგალითები, ერთი ფრიად დამახასიათებელი ფორმალური მაჩვენებლის მიხედვით, ე.-ი. იმისა—ერთი ქვისგან შესდგებიან ისინი თუ არა, შეიძლება დაყოფილ იქნეს 2 მთავარ ჯგუფად: 1) **პოლილითური**—მრავალ ქვათაგან აგებული, და 2) **მონოლითური**—ერთი ქვით ანუ ერთს ქვაში წარმოდგენილი. **პირველ** ჯგუფს მიეკუთვნება: კარკნალები; ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევები; ზღუდეები; კოშკები; დოლმენები; ქვის-ყუთები (აკლდა-

მა-თაბუთები); ბლინდაჟები; კრომლეხები; დიოლით-ტეტრალითი; და სხვ. **მეორეს**—მენჰირები; ვეშაპ-ვეშაპოიდები; ქალქვა-ქვაკაცა; და ქვახვრელ-ერატიპა.

უკეთუ ამავე ობიექტებს ჩვენ გადავაჯგუფებთ მათი შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით, მაშინ ფორმალურის ნაცვლად მივიღებდით **ფუნქციონალურ-სემანტიკურ კლასიფიკაციას**, რომელიც საფუძვლადაა დადებული მეგალითების ორ ძირითად ჯგუფად დაყოფისათვის ამ ჩვენს მონოგრაფიაში: 1. უმეტეს შემთხვევაში პოლილითური—**საბინაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი**, ე.-ი. ადამიანის „სააქაო“ სადგომები—დოლმენები, და თავშესაფარავად და თავდაცვისათვის აგებული სიმაგრეები, ციხე-კოშკები, ზღუდეები, ბლინდაჟები და სხვ. (ბაზისური კატეგორია); და 2) უმეტეს შემთხვევაში მონოლითური—**კულტის ობიექტები**, როგორიცაა მენჰირები, ვეშაპ-ვეშაპოიდები, ქალქვა-ქვაკაცა, დიოლით-ტეტრალითი, ქვახვრელ-ერატიპა, ნაწილობრივ აგრეთვე დოლმენ-სამარხები (აკლდამა-თაბუთები), წინაპართა კულტთან დაკავშირებით (ზედნაშენთა კატეგორია).

# საბინაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი

## I

## კ ა რ კ ნ ა ლ ე ბ ი

ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქეები, საერთოდ, გვხვდება მხოლოდ იქ, სადაც, პირველ ყოვლისა, ბუნების პირობები ხელს უწყობენ მათ შექმნას; სხვანაირად რომ ვთქვათ; ასეთი ნაგებობანი ჩნდება ვულკანური წარმოშობის მთის ან ბორცვის წვერზე ანუ, უკეთ, ფერდობზე, სადაც თვით ბუნებას ქვებისათვის თავი მოუყრია (ანდეზიტი-დაციტი).

ასეთი ციხე-ქალაქები, რასაკვირველია, არ არსებობდა ე.-წ. „პირველყოფილი“ ადამიანის ხანას. მაგრამ ამ ხინაში თუ ადამიანი თვის სადგომად ანუ თავშესაფარად იყენებდა მიუვალსა და მიუდგომელს გამოქვაბულ-მღვიმეებს კლდეებში, მას შეეძლო გამოეყენებინა აგრეთვე ის გვირაბისებრი ნაპრალებიც, რომლებსაც იგი აქა-იქ თვით ქვათა გროვასა ანუ, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალით“, „ქუა ყრილ“-ში, ე.-ი. კარკნალში, წააწყდებოდა ხოლმე, და იყენებდა კიდეც ასეთებს ნადირ-მხეცთაგან თავშესაფარად, მეტადრე თუ მათ ახლოს წყალი მოიპოვებოდა. და აი სწორედ ამ „ქუაყრილ“-კარკნალებში შეიძლება ვეძიოთ მეგალითური ნაგებობათა, კერძოდ, დოლმენთა და ბლინდაჟთა **ჩანასახი ანუ პროტოტიპი.**

სადგომებად გამოყენებული ასეთი გვირაბისებრი ნაპრალები ბლომად მოიპოვება გოხნარის Медвежья балка-ში, ბედენის „ლოდოვან“-სა, ბეშთაშენის „დაშლუხ“-ში და სოფელ აბულის კარკნალში (გოხნარის კარკნალის ზოგადი სურათი იხ. ტაბ. I).

### 1. გოხნარის Медвежья балка.

ინჟენერ-გეოლოგი გ. წ უ ლ უ კ ი ძ ე, ლაპარაკობს რა ე.-წ. ყვითელი მთის (Желтая гора) ფონოლიტების შესახებ, მანგლისის პირდაპირ, ალგეთის გაღმა, აღნიშნავს შემდეგს (1887 წელს):

„Порода эта нашла себе выход на поверхность по широкой и длинной трещине, которая тянется на запад почти до Башкевского нагорного озера. Разрушаясь, она дает множество громадных глыб, которые, своим особен-

ным расположением, послужили к образованию целой группы пещерообразных, замкнутых пространств, в которых, по рассказам проводников, были находимы кости больших допотопных животных. Проникнуть в эти пещерообразные камеры, по большей части, не было возможности, а потому поневоле приходилось ограничиваться рассмотрением их извне, через имеющиеся отверстия. В одной такой, более доступной камере, мы нашли большую каменную бабу, до 5 пудов весом, из призматического фонолита, с проделанным в ней ушком, и некоторые другие предметы из той же породы"[1].

1925 წლის ჩვენი ექსპედიციის მონაწილე, აწ განსვენებული გეოლოგი ქ. თათარიშვილი, თავის საანგარიშო მოხსენებაში გოხნარისა და ე.-წ. Медвежья балка-ს (რომელსაც იგი „ლოდიან"-ს უწოდებს) მიდამოების ჰიდრო-გეოლოგიურ თვისებათა შესახებ, სხვათა შორის, აღნიშნავს:

„ლოდიანი 1500 მეტრით მაღალია ზღვის დონეზე... ლოდიანი საკრისის გაგრძელებაა, მხოლოდ მთა (ანამეზიტის კლდე) გატეხილა და მოზრდილი ნაწილი გადმონგრეულა და შექმნილა ერთგვარი დავაკება, სადაც ატმოსფერის აგენტებს სამოქმედო ასპარეზი გასჩენია, ანამეზიტის სვეტებისათვის თიხა-ნიადაგი მოუცლია და გატიტვლებული მზეზე გამოუჩენია. იგივე აგენტები ახლა ამ გატიტვლებულ კლდეებს სცემიან, ათასფრად გაუხეთქიათ და მიუნგრევიათ. პირვანდელი სვეტები ახლა მხოლოდ აქა-იქა სჩანს დამტვრეული ლოდებით გარშემორტყმული.

„ლოდიანს სიგრძე, აღმოსავლეთ-დასავლეთით, ორასიოდე მეტრი ექნება, ხოლო სიგანე ასიოდე მეტრი. სამხრეთის მხრივ ის ძნელი მისასვლელია, ხოლო დასავლეთის მხრივ შედარებით ადვილი და სწორედ ამ მხრივ სჩანს ამ ლოდებისაგან გაკეთებული, ხელოვნური, სქელი გალავანი. ლოდიანის ზოგან საკმაო ფართე ნაპრალებს და მის გარშემო ციყრილ-მოყრილ, უთვალავ, სხვადასხვა ზომის ლოდებისათვის ადამიანსაც მიუქცევია ყურადღება, ზოგან ნაპრალისათვის გან-და-გან ბრტყელი და ფართე ლოდი დაუფარებია სახურავად, ზოგან ბუნებრივად ამართული სვეტებისათვის ქვები მიუშველებია და ერთგვარი, გვირაბში შესავალი კარი გამოუყენებია. ზოგან იმავე ლოდებისაგან კედლები ოსტატუ-

---

[1] Г. Цулукидзе, Геологическое исследование в области речных долин Алгета и Храма,—„Материалы для геологии Кавказа", сер. I, кн. 1, Тфл. 1887, стр. 31—32.

რად ამოუყვანია, ლოდებით გადაუხურავს, და გამოსულა რაღაც გვირაბ-თავშესაფარი“ [1].

## 2. ე.-წ. „ყვითელი მთის“ ფერდობზე.

ე.-წ. „ყვითელი მთის“ (Желтая ґора-ს) იმ ფერდობზე, რომელიც ალგეთის ხეობისაკენაა მიქცეული, ე.-წ. „მარიამჯვარის“ $^{1}/_{2}$—1 კილომეტრის დაშორებით, აგრეთვე კარკნალია, შედარებით გოხნარის Медвежья балка-სთან პატარა ზომისა, სადაც აგრეთვე მოჩანს ნაპრალ-გვირაბები, ხოლო ადგილ-ადგილ ქვები ისეა გადმოლაგებული, რომ მღვიმე-გამოქვაბულების ყაიდის კამერები გამოსულა. იგიც „პირველყოფილი“ ადამიანის სადგომად გამოიყურება: თუმცა აქ ადამიანის ხელის ნამუშევარი გარკვევით ემჩნევა, მაგრამ არა იმზომ, როგორც Медвежья балка-ში.

## 3. ბეშთაშენის „დაშლჷხ“-ი.

„ბეშთაშენ“—ახალი სახელწოდებაა იმ სოფლისა, რომელსაც წინად „ბეშკენაშენ“ ეწოდებოდა. თვით ამ სახელწოდებას განმარტავენ როგორც თურქულს, ვითომდა **ხუთი** (ბეშ) ქვისაგან აგებულ ობიექტს ნიშნავდეს. „Название Бешташен означает по-татарски «пять камней», — სწერს ა. ნ. გრენი,—და განაგრძობს: „Жители говорили мне, что при переселении их туда они нашли в этой местности пять камней и потому и назвали так селение. Очевидно, тут был какой-нибудь менгир, или вообще мегалитический памятник“ [2].

ასეთი განცხადება თუ ფილოლოგიური ნაწილის მხრით კრიტიკას ვერ უძლებს, მეგალითზე მითითების მხრით სიმართლესთან მაინც ახლოს დგას, რამდენადაც ს. ბეშთაშენის მახლობლად, 1 კილომეტრის მანძილზე, ხევში მოიპოვება საკმაოდ დიდი მეგალითური სადგომი, რომელიც უმეტესად შემდგარია კარკნალისებრი ნაპრალ-გვირაბებისაგან, ნაწილობრივ კი ხელოვნურ ნაგებობათაგან დოლმენებისა და ბლინდაჟების ყაიდისა გალავნებითურთ.

## 4. ს. აბულის კარკნალი.

ეს კარკნალი მდებარეობს ს. აბულის ბოლოში, ახალქალაქისაკენ მიმავალი გზის მარცხნივ, ეკლესიის მახლობლად, მცირე აბულის კალთაზე. ამ კარკნალში შიგა-და-შიგ ნაპრალ-გვირაბებია, აგრეთვე

---

[1] კ. თათარიშვილი, გოხნარის მიდამოების მოკლე ჰიდრო-გეოლოგიური მიმოხილვა,—„საქართველოს მუზეუმის მოამბე“, III, 1926, გვ. 105—106.

[2] А. Н. Грен, Отчет по археологической поездке в Цинцкаро,—„Известия Кавк. Отд. Моск. Арх. О-ва“, вып. II, Тфл. 1907, стр. 43.

ბლინდაჟები. ამ სადგომს ი. როსტომაშვილი ასე აგვიწერს: „Здесь... на краю села—замечательная морена (каркали грузин), т.-е. масса беспорядочно друг на друга наваленных камней, происхождение которых приписывается ледникам и глетчерам". მაგრამ ი. როსტომაშვილს საეჭვოდ მიაჩნია კარკნალის წარმოშობა საყინულესა და გლეტჩერისაგან და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ აქ მიწისძვრის გამო ჩამონგრეულ კლდეებთანა გვაქვს საქმე, და ამიტომაც ამ კარკნალს სრულიად სამართლიანად აკუთვნებს იმ ობიექტთა რიცხვს, რომლებიც წარმოიშვენ от обвалов и разрушения скал во время землетрясений"[1].

ხოლო ი. როსტომაშვილს ვერ შეუმჩნევია ანდა დავიწყებია იმის აღნიშვნა, რომ ს. აბულის კარკნალში, დასახელებულ ნაპრალ-გეირაბთა გვერდით, ბლინდაჟებიც მოიპოვება, ე.-ი. ხელოვნურად აგებული მოგრძო გასავალ-„კატაკომბები", რომლებიც მიწისძვრის გამო ზევიდან ჩამონგრეულ კლდეთა ნამსხვრევების ქვეშ მოქცეულა.

გვრჩება მხოლოდ ის, რომ აღვნიშნოთ: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს IV საუკუნას რომაელი გეოგრაფიკასტორის მიერ Tabula Peutingeriana-შა ნაჩვენები Apulum იგივე „აბული" უნდა იყოს[2].

გარდა აღნიშნული ადგილებისა, კარკნალები მოიპოვება აგრეთვე ბედენის „ლოდოვან"-ს, სამხრეთ-ოსეთის „ზილდე-მასიკ"-ს და სხვაგან, მაგრამ იქ ადამიანის ნამუშევარი არ ჩანს, იმდენად არ დაშორებიან ისინი ბუნებრივ მდგომარეობას.

## II

## ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქევები

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ციკლოპური აღნაგობის ნაციხარ-ნაქალაქევებზე, უნდა გავითვალისწინოთ ის დებულება მათი დათარიღებისათვის, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ 1925 წელს წამოვაყენეთ და რომელიც თითქმის სავსებით ძალაში რჩება.

ჩვენ ვამბობდით:

„Вопрос [о датировке циклопических сооружений]... находится в тесной связи с проблемой датировки всех во-

[1] И. Ростомов. Ахалкалакский уезд в археологическом отношении, — „Сборник мат. для опис. местн. и племен Кавказа", в. XXV, 1898, отд. I, стр. 29.

[2] K. Müller, Itineraria Romana. Stuttgart, 1916, S.S. 653—654; შდრ. Я. Манандян, О торговле и городах Армении, Эривань 1930, стр. 121—122; *Հակոբ Մանանդյան, Հին Հայաստանի գլխավոր ճանապարհները, Երևան 1936, էջ 129—131.*

обще древнейших каменных сооружений т. н. „циклопической“ системы, как-то городищ, замков, дольменов, менгиров, кромлехов и пр... Указание начальной части Грузинских Летописей о том, что грузины впервые научились искусству строить „из камня на извести“ только лишь с IV в. до Р. Х., а до того не были знакомы с подобной техникой, конечно, не может иметь решающее значение при обсуждении вопроса о датировке наличных в Грузии „циклопических“ сооружений, ибо оно способно только установить terminus post quem non усвоения грузинами новых приемов в области строительного искусства и то только с условной датировкой. С другой стороны, не смешно ли говорить о наличии и живучести на Кавказе, как на юге—в бассейне Аракса, так и в центре—в бассейне Куры, „примитивных“ способов и навыков по строительному искусству как раз в то время, когда этот Кавказ, как установлено ныне по клинообразным надписям, находился под эгидой или в сфере политического и экономического влияния государства халдов, в центре каковoго государства крепостные сооружения, судя по дошедшим до нас постройкам той эпохи, возводились с применением самых усовершенствованных способов строительной техники, именно при помощи железных орудий, а сами Ванские цари, повелители халдов, с чувством собственного достоинства и, конечно, не без тона хвастовства, указывают на возведение ими тех или иных построек из 1432 [тесаных] камней (надпись Эримена, сына Русы) или даже 10.000 таковых-же камней (надпись Аргиштия, сына Менуи).

„Признание встречаемых на Кавказе, вообще, и в бассейне Куры и в Кавказских горах,—в частности, между прочим и в Осии, „циклопических“ сооружений урартскими или халдскими встречает основательное возражение, конечно, не потому, что, дескать, продвижение этих урартцев или халдов севернее Чалдырского и Севанского озер вплоть до большого Кавказа и далее пока еще не удостоверено эпиграфическими данными (клинообразными надписями), а только потому, что такие постройки налицо не только в Азии, в частности на Кавказе, но и в Европе, если не на всей поверхности земли, где только соответствующие природные факторы, т. е. материя в сочетании с условиями времени и пространства, благоприятствовали возникновению подобного „примитивного“ строительства, другими словами

говоря, во-первых, там, где ни о каком урартском или халдском влиянии и речи быть не может, и, во-вторых, тогда, когда этих последних [т. е. халдов], как экономически и политически сильной единицы, пожалуй, еще не было на сцене истории. И когда акад. Н. Я. Марр, отмечая „новые горизонты в вопросе о культурном движении халдов в кавказские страны", указывает, как „за северными склонами Кавказских гор, на юге России, всплывают памятники, вызывающие не без основания научно мотивированные суждения о халдском влиянии", и при этом предваряет, что „осторожность должна быть проявлена в отношении преждевременного усечения линии продвижения халдских завоеваний и халдской культуры в Кавказские горы", то с таким указанием еще можно бы мириться, раз одновременно с этим им, Марром, вовсе не затрагивается вопрос о принадлежности к той или иной культуре т. н. „циклопических" сооружений на Кавказе... Во всяком случае, одно уже то обстоятельство, что „циклопические" сооружения на Кавказе, в частности встречающиеся на Цалке и... в Осии, будучи по своим формам и размерам различных типов, по своей же технике и приемам построения принадлежат все-таки к одной и той-же системе, приводит нас к тому положению, что они, за очень редкими исключениями, в которых налицо наслоения позднейших эпох, относятся в общем к одной и той-же эпохе истории человеческого общества, хотя и различаются между собою по периодам. Это —эпоха, когда не заметно решительно никаких следов применения человеком в строительстве какого бы то ни было металла (железа, бронзы). А в зависимости от этого намечается положение, согласно которому оформление строительства на так сказать „циклопический" лад на Кавказе, вообще,... должно быть приурочено к эпохе не только ближайших веков до IV-го до Р. Х., каковой век отмечен „краеугольным" в Грузинских Летописях, но даже к славному периоду строительства халдов и Ванских царей в IX—VII в.в. до Р. Х.

„... Приписывать изобретение техники строительства на „циклопический" лад одному определенному народу или одной определенной расе... нет никакой необходимости, если мы станем на ту точку зрения, что подобная техника могла быть постигнута одновременно [и разновременно, независимо друг от друга] различными народами,

прошедшими определенные этапы „первобытного“ существования и достигшими одной и той-же ступени развития в соответствии, конечно, с однородными или тождествен-



სურ. 2.

ными географическими и хозяйственно-бытовыми условиями; тем более, что „мысль об искании до-исторической колыбели какого-либо народа в одном определенном месте отметается как пережиток библейского мировоззрения“.

„Что-же касается вопроса о том, каким загадочным образом „первобытные люди, стоя на самой низкой ступени умственного развития, не обладая почти никакими усовершенствованными приспособлениями“, ухитрялись воздвигать „такие величавые и могучие, сохранившиеся тысячелетиями, сооружения“, пользуясь „гигантскими, тысячепудовыми камнями“, другими словами говоря, „вопроса о технике постройки“, то таковой разрешается в пользу примитивного рычага, который, как полагают, уже был известен человеку палеолита и неолита...“

„Как бы то ни было, загадочное происхождение всякого рода „циклопических“ сооружений и величавый, прямо-таки потрясающий вид их породил впоследствии вокруг них массу легенд и сказаний, в которых они, эти сооружения, стали считаться делом рук не человеческих, а а разного рода „богатырей“ (богатырские хаты), „великанов“ (башни великанов), „дивов“ (сооружения дивов) и пр. и

потому стали относиться к ним с суеверным страхом и поклонением...".

„Нужно ли оговаривать, что и древнейшие обитатели Кавказа,... кто бы они ни были, не могли составлять и не составляли в этом отношении исключения среди всего человечества и, рано или поздно, должны были строить облеченные в поэтический покров „сказания" о так называемых „вишап"-ах (арм.) или „гвелашап"-ах (груз.), „кhадж"-ах (арм., груз.), „дэв"-ах (арм., груз.), „hскай"-ах (арм.), „гмир"-ах или „гумир"-ах (груз., ос.), „уойгута"-ах (ос.) и пр.[1].

აქ საჭიროა მხოლოდ ის დაემატოს, რომ ციკლოპური ნაგებობანი თუ ერთის მხრივ არსებითად განსხვავდებიან ქალდური (ურარტიელების) მიერ ნაშენ ციხეებისაგან (იხ. ვანის ციხის კედელი სურ. 2), მეორეს მხრივ, ისინი გარკვეულად განსხვავდებიან ისეთ შენობათაგან, როგორიც არიან, მაგ., გარნისის ტაძარი (I ს. ჩ. წ.[2]), ანდა არქეოპოლის-ნოქალაქევი და საერთოდ ბიზანტიური ეპოქის ნაგებობანი დასავლეთ საქართველოში (V—VI)[3].

ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქევები რომ, საერთოდ, წინ უსწრებენ ქალდების (ურარტიელების) შემოსევასა და ბატონობას ამიერკავკასიაში, სახელდობრ სომხეთში, ასეთ აზრს გამოსთქვამს აკად. ი. ი. მეშჩანინოვიც, რომელიც ამ შენობებს აკუთვნებს გვაროვნული და გვაროვნულ-ტომობრივი საზოგადოების რღვევის ხანას[4]: „Циклопические „крепости",—ამბობს იგი,—возникли в связи с появившимся рабовладельчеством, но, конечно, не они его создали; наоборот, „крепости" созданы уже наличным рабским трудом; следовательно, возникновение сооружений данного рода относится уже к периоду разложения родового строя".

ესევე ითქმის ამიერკავკასიის „ციკლოპურ" ნაგებობათა მსგავსება განსხვავებაზე ე.-წ. „კრეტა-მიკენის" კულტურის ობიექტებთან, თუნდაც მათ შორის ყველაზე უკეთესად დაცულ ტირინფის ციხე-დარბაზებთან, სადაც მაინცა-და-მაინც თლილი ან ოდნავად დამუშავებული ქვაა გამოყენებული (იხ. სურ. 3), და არა გაუთლელი კლდე-ლოდები, როგორც ჩვენებურ „მეგალითებში".

---

[1] Л. Меликсет-Беков. К археологии и этнологии Туальской Осии, стр. 266—271.

[2] „Из истории до-капиталистических формаций", Лнгр. 1935, стр. 635—654, и рисунки там-же.

[3] ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, III, 1936, tab. I—XIV.

[4] И. Мещанинов, Циклопические сооружения Закавказья, стр. 99.

მეგალითურ ნაგებობათა დათარიღების საკითხს გაკვრით შეეხო აგრეთვე პროფ. გ. ჩუბინაშვილი, რომელმაც ჩვენს დაკვირვებებზე დაყრდნობით გამოსთქვა შემდეგი:

„განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს თვით უძველესი ტიპის მეგალითური შენო-



სურ. 3.

ბები. რომელთა გამოკვლევას შეუდგა უკანასკნელ წლებში პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი. იგი აღნიშნავს, რომ ასეთი შენობები არსებობენ ქართველთა ტერიტორიის სხვადასხვა რაიონში; აღნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ შეიძლება მათი აგების დროისათვის დიდი დიაპაზონი იქმნას დადგენილი, მათი აგების დროს სრულიად არაა მოხმარებული ლითონის (რკინის, ბრინჯაოს) იარაღები; ე. ი. მათი აშენების ქრონოლოგიურ საზღვრად იგი სთვლის ვანის სამეფოს ხანას, ე. ი. IX საუკუნეს ჩვენი წელთაღრიცხვის წინათ. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ ეს აღმოჩენა საინტერესოა არა თუ მარტო „საქართველოს პრაისტორიულ და პროტოისტორიულ ხანათა შესწავლისათვის“, არამედ ეგრეთწოდებულ „ციკლოპურ სისტემის ყველა უძველეს შენობათა აგების დათარიღების“ საერთო პრობლემისათვისაც, ვინაიდან ეს მასალა სრულიად ახალ ჯგუფს უმატებს წინათ ცნობილ განცალკევებულ ჯგუფებს და შესაძლებელი ხდება ყველა ამ ჯგუფის ერთმანეთთან დაკავშირება“ [1].

[1] გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან. ტფ. 1920, გვ. 7 = მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, ტომი I, ტფ. 1936, გვ. 5.

# ა. ალგეთის ხეობა

## 1. გოხნარის Медвежья балка.

ეს არის ერთ-ერთი იმ უზარმაზარ ნაციხარ-ნაქალაქევთაგან ციკლოპური აღნაგობისა, რომლებიც დღემდე აღმოჩენილია საქართველოში (გოხნარი, ავრანლუ, სანთა, ზილდე-მასიკ). იგი მდებარეობს მანგლისის პირდაპირ, ალგეთის გაღმა, გზატკეცილით 18 კილომეტრისა და მოკლე გზით (მარიამჯვარით ან საკრისით) 10 კილომეტრის მანძილზე ამავე მანგლისიდან, ხოლო 1 კილომეტრის მანძილზე გოხნარიდან, ე.-წ. ყვითელი მთის (Желтая гора) ფერდობსა და პატარა წყალს შორის, ბორცვზე, რომელიც მხოლოდ ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრიდანაა მისადგომი.

მეგალითური კულტურის ეს სადგომი შესდგება ძირითადად საკმაოდ დიდი კარკნალისაგან, რომელსაც $^1/_4$ კვ. კილომ. არე უკავია და რომლის ცენტრში ყველა მხრიდან გარკვეულად მოჩანს უზარმაზარი სვეტისებრი მონოლითი (ტაბ. I). სადგომი შესდგება 3 ძირითადი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი ცენტრიდან აღმოსავლეთით ქვათა გროვას (ქუა-ყრილს) წარმოადგენს ნაპრალ-გვირაბებით; მეორე, ამავე ცენტრიდან დასავლეთით,—საკუთრივ ნაქალაქევს; და მესამე, ამ ნაქალაქევისაგან დასავლეთით,—არასწორ ოთხკუთხედის გეგმაზე აგებულ ნაციხარს. განსაკუთრებით გრანდიოზულია ნაციხარის აღმოსავლეთი ზღუდე, სხვათა შორის, იმის გამო, რომ მის ამოსაშენებლად გამოყენებულია ბუნებრივი კლდეები, რომელთაგან ერთი, სწორედ შუაში მდებარე, ორ წახნაგოვან (საფუძველში სამკუთხოვან) კონტრფორსს ემსგავსება (ტაბ. II). საინტერესოა აგრეთვე ნაციხარის სამხრეთი ზღუდე ცილინდრული კოშკებითურთ, რომლებიც ამფითეატრად ეშვებიან სამხრეთ მხარეს წყლისკენ. ხოლო სადგომის სამსავე ნაწილში მიმობნეულია ბლინდაჟები (ოთხიოდე), დოლმენები (ხუთიოდე), ნაპრალ-გვირაბები (უამრავი), სვეტისებური მონოლითები ვერტიკალურ მდგომარეობაში (ტაბ. III), აგრეთვე „ერატიპა"-ს ნაშთი.

ნაციხარ-ნაქალაქევს პატარა წყალი უვლის დასავლეთ-სამხრეთით. იგი მიუდგომელია ყველა მხრიდან, გარდა ჩრდილოეთ-დასავლეთისა, საიდანაც, როგორც ეტყობა, გზა ყოფილა გაყვანილი წყლისაკენ და მარიამჯვარისაკენ ე.-წ. ყვითელ მთაზე. ამიტომაც სრულიად გასაგებია, რომ ამირანის თქმულებაში, სადაც საუბარი ალგეთის (ვარიანტით: ასურისის) მთის კოშკზეა, რომელიც, ჩვენის აზრით, სწორედ ეს ნაციხარ-ნაქალაქევი უნდა იყოს, მაშ რატომაა სასხვათაშორისოდ ნათქვამი:

უცხო მთაში კოშკი ჰნახეს
ანაგები ბროლის ქვისი,
ძმებმა გარშემოუარეს,
ვერა ჰპოვეს კარი მისი[1].

ვარიანტით:

იქ რომ ერთი კოშკი იყო,
ანაგები სალი კლდისა,
სამი დღე-ღამე უარეთ,
ვერ უპოვეთ კარი მისა[2].

ანდა:

უცხოს მთაზე კოშკი ნახეს
ანაგები ბროლის ქვისი;
გაუარეს გარეგურგვლათ,
ვერ იპოვეს კარი მისი[3].

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, მთელ მეგალითურ სადგომს უკავია დაახლოებით $^1/_4$ კვ. კილომეტრი არე. ხოლო ნაციხარს შემდეგი ფართობი უჭირავს: სიგრძე ჩრდილოეთ კედლისა შიგნით 17 მეტრი, სამხრეთ კედლისა შიგნითვე 32 მეტრი, სიგრძით საშუალოდ (შიგნით) 45 მეტრი. კედლის სიგანე საშუალოდ 3 მეტრია.

აქ დართულ ტაბულებში მოცემულია მეგალითური სადგომის გეგმები: მთელი ტერიტორიის (ტაბ.IV) და ნაციხარის (ტაბ. V).

ერთში ნაჩვენებია შემდეგი ობიექტები: I. ნაციხარი; II. ნაქალაქევი; და III. კარკნალი. არაბული ციფრებით აღნიშნულია ცალკეული ობიექტები, მაგალითად:

1 სვეტისებური მონოლითი პირველი (მთავარი).
2. „ „ მეორე.
3. კონტრფორსული კლდე.
4. ბლინდაჟი პირველი.
5. „ მეორე.
6. „ მესამე (ნაშთი).
7. „ მეოთხე (იგივე).
8. დოლმენი პირველი.
9. „ მეორე.

---

[1] ამირანის ლექსი, პ. მირიანაშვილის გამოცემა, ტფ. 1913, გვ. 19;. შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი, გვ. 79; მისივე, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში, გვ. 220.

[2] ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა, გამ. ზ. ჭიჭინაძისა, ტფ. 1896, გვ. 305; შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში, გვ. 220.

[3] ამირან-დარეჯანიანი, 315—316; შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, იქვე, 221.

10. დოლმენი მესამე.
11. „ მეოთხე.
12. „ მეხუთე.
13. ცილინდრული კოშკები.
14. ნაპრალ-გვირაბი (გასავალი).

## 2. ბედენის „ლოდოვანი".

ბედენის მთის კალთაზე, ლაკვის-ხევის გაღმა, ხშირ ტყეში მდებარე ე.-წ. „ლოდოვანი" ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ სამყაროსი, რომელსაც ჩვენ ვაკუთვნებთ აგრეთვე გოხნარის Медвежья балка-ს, მარიამჯვარისა და „ყვითელი მთის" ფერდობის სადგომს.

ეს სადგომი, ტოპოგრაფიული მდგომარეობით შეპირობებული, რამდენიმე (ოთხიოდე) საფეხურისაგან შესდგება, რომელთაგან თითოეული ცილინდრული აღნაგობის შენობათა ლაბირინტს წარმოადგენს შიგნითი გასავალ-გამოსავალით. ლაბირინტების გარედან აქა-იქ დოლმენებიც მოიპოვება საკმაო რიცხვით. ეჭვს გარეშეა, რომ შენობები ძელით იქნებოდა გადმოხურული, ხოლო ზევიდან ლოდებით.

საფეხურებს შორის უკეთესად არის შენახული და დაცული პირველი (ქვედა).

აქ წარმოდგენილია მისი გეგმა, მოხაზული თანახმად გ. შავგულიძის მიერ ჯერ კიდევ 1925 წლის 18.VII შესრულებული ესქიზისა (ტაბ. XVIII в), რომელიც მან თავაზიანად მოგვაწოდა ჩვენ. მანვე მოგვაწოდა მეგალითური სადგომის აღწერა, რაც ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ:

„ლოდოვანი.

„1. ჩრდილოეთ-დასავლეთით ადგილმდებარეობა წარმოადგენს უქვო მიდამოს.

„2. დასავლეთით ლოდებია: ოთახები მოთავსებულია №№ 1—6, 10—12, სულ 9 ოთახი=1 ბინა; №№ 7 და 8—მეორე ბინა; № 9——მესამე ბინა; № 13, 14—მეოთხე ბინა; №№ 15—18—მეხუთე ბინა; №№ 19—22—მეექვსე ბინა.

„3. ამ შენობის სამხრეთით კიდევ არის 4 ოთახი გვირაბიანი; სამხრეთით ამ 4 ოთახს მიბმული აქვს ათამდე ოთახები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთით მთლიანათ შენახულია შესავლით სამხრეთიდან.

„4. კედლების სიმაღლე 2—4 არშინამდე.

„5. ნახაზში შავი სივრცეები აჩვენებენ კედლების სისქეს ოთახებს შუა.

„6. ნახაზი შენობები მდებარეობს მანგლისიდან სამხრეთით წალკის გზა-ტკეცილზე მდებარე გოხნარის პირველი დუქნის სამხრე-

თით 2 ვერსის მანძილზე ტყეში, მთის ჩრდილო კალთის ღრმაღელეში, სადაც წიფლის დიდი ხეებია.

„7. შიგ ოთახებში ამოსულა ზოგიერთში ხეები და ბალახები. „გრ. შავგულიძე. 18. VII.25 წ. ლოდოვანი".

**8. ჩხიკვთის სამება.**

ალბულაღის მახლობლად, ს. ჩხიკვთის თავზე, სადაც სამების წმ. გიორგის ცნობილი ეკლესიაა, მდებარეობს ციკლოპური ნაციხარი, რომელსაც XVIII საუკუნეში ვ ა ხ უ შ ტ ი, როგორც ზევით უკვე ვნახეთ, „გმირთ-ნაკვეთ"-ს, ხოლო ბარათაანთ გუჯარი „გმირთკვეთილ"-ს უწოდებს.

ეს ნაციხარი 1905 წელს ინახულა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა, და იგი მას ასე აღწერს:

„Вершина Самебы представляет продолговатую площадку, окаймленную с двух доступных сторон, с юга и востока, оградою, сложенною из больших каменных глыб без всякого цемента... Камни ее не принесены извне, а добыты на самой вершине Самебы. Она, как видно, была скалиста, и расчистив вершину, собранные камни нагромоздили с двух сторон, так как две другие стороны по своей крутизне не нуждались в защите. Правда, чтобы сдвинуть с места такие камни, нужна была большая сила, но это гораздо легче, чем поднять их на такую высоту"[1].

ამ აღწერას უნდა დაემატოს მხოლოდ ის, რომ ამჟამად „გმირთ-ნაკვეთ" = „გმირთ-კვეთილ"-ში ერთად-ერთი ზღუდეა ოდნავად დაცული, რომელიც დაშლის გზას ადგია. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ თვით სამების მთა ვულკანური წარმოშობისაა[2].

## ბ. მდ. ქციის აუზი

**4. სამშვილდე.**

ალბულაღის მიდამოებში, ალგეთის დაშორებით და უფრო ქციის მახლობლად, რამდენსამე პუნქტში ჩვენამდე მოუღწევია ცალკეულ მეგალითურ ძეგლს, როგორიც არის, მაგალითად: ე.-წ. Пьяный курган-ი და მისგან შორიახლოს, გზის პირად ოდესღაც აღმართული, ხოლო აწ წაქცეული მენჰირი; ასეთივე მენჰირი ალბულაღიდან სამ-

---

[1] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. II, Тфл. 1905, стр. 14—15 (ჩვენს სტატიაში „ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში", გვ. 222, შეცდომით ნაჩვენებია: вып. IV, 1913).

[2] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში, გვ. 222.

შვილდისაკენ მიმავალი გზის მარცხნივ პლატოზე; მენჰირი ჯვარიან-ქვად გადაქცეული, სამშვილდის ნაქალაქევის ტერიტორიაზე (სომეხ-



სურ. 4.

თა ეკლესიაში); ჩვენს მიერ ასე წოდებული „ტეტრალითი" იმავე სამშვილდეში; და სხვ.

ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ აქ, ალბულალის მიდამოებში და კერძოდ სამშვილდის ტერიტორიაზე, მაშასადამე ქციის აუზში, მეგალითური კულტურის მსხვილი სადგომი ყოფილა, რომელსაც ძირითადად ციხე-ქალაქის სახით, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

## 5. ტაშბაშ.

„ტაშბაშ“ || „დაშბაშ“, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, თურქული სიტყვაა, რაც ქვა-თავა, ქვის-თავი, თავის ქვა'ს აღნიშნავს. ასე ეწოდება სომეხთა სოფელს ზემო-წალკაზე, სადაც აწ ტაშბაშჰესი აშენდა, ბარმაქსიზ-წალკის მახლობლად (4 კილომეტრზე), სწორედ იმ კლდოვან ნახევარკუნძულზე, სადაც მდ. ქცია ღრმა ხრამში ვარდება. მისი ძველი სახელწოდება „ახალქალაქი“ ყოფილა, სწორედ ისე, როგორც ბარმაქსიზ-წალკისა „ეძანი“. აქ ყოფილა ოდესღაც საბარათიანოს მმართველთა და სპასალართა საჯდომი. აქ საინტერესოა ჯვარის რიგის ეკლესია რატ ერისთავთ-ერისთავის საუცხოო ასომთავრული წარწერით, ხოლო ეკლესიის წინ ემჩნევა ციკლოპური ზღუდის ნაშთი: როგორც ეტყობა, ციკლოპურ ციხეს მხოლოდ ეს ერთი ზღუდე ახლდა დასავლეთით (ტაბ. XIX), რამდენადაც სწორედ ამ მხრიდან იყო იგი მისადგომი, დანარჩენი მხრიდან კი მას უვლიდა ღრმა ხრამი დაქანებული კლდეებით [1].

აღნიშნული ზღუდის ანალოგია იხ. სომხეთში, სახელდობრ ჰორომის სადგომში (სურ. 4).

## 6. ნარდევანის „ყალა“.

ციკლოპური ნაციხარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ყალა“-ს უწოდებს, რაც ციხე'ს აღნიშნავს, მდებარეობს სოფლის ზემო ნაწილში, სამხრეთისაკენ, ფარავნის ტბისკენ მიმავალი გზის პირას. ამ ნაციხარის აღწერას ე. თაყაიშვილი იძლევა შემდეგი სიტყვებით: „Над селением (Нардеван) обширная крепость, построенная из больших рваных камней без цемента. Это —настоящая циклопическая постройка. В ней могут укрыться все жители селения. Камни крепости из черного вулканического туфа“ [2].

ნაციხარის ნაგებობა კვადრატული გეგმისაა, თითო კედლის სიგრძე 15 მეტრი, სისქე 2,5—3 მ. (ტაბ. XIV), ხოლო კედლის

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში, გვ. 222—223. მისივე, ტაშბაშ,—„ხრამჰესის დამკვრელი“, 1935 წ. 6 X, № 35, ზღუდის ფოტოსურათით.

[2] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. IV, Тфл. 1913, стр. 36—37.

მაქსიმალური სიმაღლე სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (მიწიდან) 4,5 — 5 მეტრს აღწევს[1].

### 7. ბეშთაშენის „დაშლ₂ხ"-ი.

„დაშლ₂ხ" || „ტაშლ₂ხ", როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, თურქული სიტყვაა, რაიც ლოდოვან'ს აღნიშნავს. ასე ეწოდება იმ საკმაოდ დიდ მეგალითურ სადგომს ს. ბეშთაშენის მახლობლად, 1 კილომეტრის მანძილზე, ხევში, რომელიც, კარკნალისებრ ნაპრალ-გვირაბებს გარდა, დოლმენ-ბლინდაჟისებურ ნაგებობათაგანაც შესდგება. ეს ნაგებობანი ადგილ-ადგილ ზღუდე-გალავნებითაც არიან შემორტყმული. უთუოდ, ერთ-ერთ პრიმიტიულ სადგომთაგანია ციკლოპურ ნაგებობათა შორის.

თურქული სახელწოდება, რომელიც ქართული „ლოდოვანი"-ს სიტყვა-სიტყვითი თარგმანია, იმის მაჩვენებელია, რომ იგი ამ ადგილის ძველი მოსახლეობისაგან მომდინარეობს, იმის ანალოგიით, როგორც ესევე სახელწოდება დღემდე შენახულია ბედენის კალთაზე ღრმა-ღელეში მდებარე სადგომისათვის.

იმავე ხეობაში, სადაც „დაშლ₂ხ"-ი მდებარეობს, აუარებელი გამოქვაბულებია, შესაძლებელია, პალეოლითის ადამიანის სადგომები.

### 8. ჩოლაყის „აჲ-კონსტანტინ"-ი.

ს. ჩოლაყის ახლოს მდებარე მთაზე ცნობილია ე.-წ. „აჲ-კონსტანტინ"-ი, ე.-ი. წმიდა კონსტანტინე. ასე ეწოდება ეკლესიას, რომელიც აგებულია მეგალითების სამყაროში: ჯერ ერთი, თვით ეკლესია თვისი ეგუტერითურთ აშენებულია იმ ადგილზე, სადაც მენჰირ-ვეშაპოიდი იდგა ცის ქვეშ, ხოლო ეკლესიაში მოქცეული ქვა ჯვარიან-ქვად იქნა გადამუშავებული; შემდეგ, ეს მენჰირი შემორტყმული ყოფილა კრომლეხით, რომლის ნაშთი ეკლესიის ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეშიღაა და ოდნავად იმჩნევა (ტაბ. XVII); ამას გარდა, აქ დაცულია ციკლოპური ნაგებობის გალავანი (ტაბ. XV—XVI, XVIIIa), რომელიც, რასაკვირველია, პირვანდელი სახისა არ არის, არამედ ძირითადად გადაკეთებულია. ხოლო გალავნის ერთ-ერთ ქვას „ერატიპა"-ს ფუნქცია აქვს მიკუთვნებული (ტაბ. XVI).

### 9. ხანთას „ქოროღლი".

ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქევი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ქოროღლი"-ს უწოდებს, მდებარეობს სოფლის ზემოდ, ჩრდილოეთით, მთის წვერზე და შუა სიმაღლეზე, დავაკებულ ფარ—

---

[1] შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში, გვ. 223.

თობზე (პლატოზე). მთის წვერზე ნაქალაქევის გვერდით ნასოფლარის კვალი ჩანს, რომლის ბოლოში პატარა ნიშია. ამ ნიშის მახლობლად აღმართული იყო „ერატიპა", რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად გადაავგორეს მთის უკანა მხარეს, ტბისკენ, სადაც ახლა გდია. ნაციხარი კი რამდენიმე ზღუდიდან შესდგება, თვითეული რამდენიმე მეტრის სისქედ.

ქვედა ნაციხარი მთის დავაკებულ ფერდობზე მდებარეობს ისე, რომ ყველა მხრიდან კლდეები არტყია, გარდა უკანა მხრისა, საიდანაც შეიძლება მასზე ასვლა. ხოლო ფართობი, რომელიც ნაციხარს უკავია, ერთიდაიმავე დონისა როდია: დასავლეთისკენ იგი უფრო მაღალია, ხოლო აღმოსავლეთისკენ დაქანებული. ნაციხარი ოთხკუთხედის გეგმისაა 3 ცილინდრული კოშკითურთ ჩრდილოეთის (უკანა) მხრიდან, რომლებიც ერთსადაიმავე ზომისა არ არიან (ტაბ. X). ზღუდეთაგან მეტნაკლებად დამაკმაყოფილებლად დაცულია ჩრდილოეთისა და დასავლეთისა (ტაბ. XI), ხოლო აღმოსავლეთისა და სამხრეთისა მთლად განადგურებულია. ოთხკუთხედის (ტაბ. XIIa)ზომა შიგნით შემდეგია: სიგრძე 30 მეტრი, სიგანე 14 მეტრი; კედლის სისქე 2,5—3 მეტრი. ცილინდრული კოშკების დიამეტრი 9 მეტრი, შიგნითი 2,7 მეტრი.

„ქოროღლი"-ს შესახებ გადმოგვცემენ შაბლონურ თქმულებას, ვითომც იგი „ყაჩაღ-ქოროღლი"-ს აშენებული იყოს, მაგრამ ეს, რასაკვირველია, შეცდომაა, რამდენადაც მე-XVI—XVIII ს. ს. ფანტასტიური ქოროღლი უხსოვარი დროის მეგალითური ციხის აღმშენებელი ვერ იქნებოდა. ესევე ითქმის ყველა დანარჩენ „ქოროღლი"-ს ციხეებზე, რომლებიც მეგალითური სისტემისა არიან.

### 10. გიუმბათის „ყალა".

ციკლოპური ნაციხარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ყალა"-ს უწოდებს, რაც ციხე'ს აღნიშნავს, მდებარეობს სოფლის ზემოდ, ჩრდილოეთით, მთის წვერზე. ამ ნაციხარის აღწერას ე. თაყაიშვილი,—რომელიც შიგ, როგორც ეტყობა, არ ყოფილა,—იძლევა შემდეგი სიტყვებით: „На горе видны развалины крепости из рваных камней без цемента"[1].

ნაციხარის ნაგებობა ოთხკუთხედი გეგმისაა (ტაბ. XII.в), ორწახნაგოვანი კონტრფორსებით სამხრეთით (საფასადო) და ჩრდილოეთით (უკან), რომელთაგან ერთი შუაშია, დანარჩენი ორი კი წვერებში (ტაბ. XIII); ხოლო შესავალი კარი სამხრეთ კედელშია აღმოსავლეთის კონტრფორსთან ახლოს. ოთხკუთხედის ზომა შიგნით შემდეგია: სიგრძე 17 მეტრი, სიგანე 8 მეტრი, კედლის სისქე 3 მეტრი[2].

ჩრდილოეთით ნაციხარს მიშენებული აქვს ფარეხი.

---

[1] Е. Такайшвили, op. cit., IV, 50.
[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი, op. cit., 223.

თვით სოფელში ყურადღებას იქცევს ეკლესიის გალავანი, რომელშიც დატანებულია: შესავალ კარების მარჯვნივ—„ვეშაპი“, და ცოტა მოშორებით „ქვაკაცა“ (ახალი დროის).

## 11. ოზნი=ჰუნია.

ს. ოზნიის ან, როგორც ადგილობრივ სომხები მას უწოდებენ, ჰუნიას თავზე, მთის წვერზე, მდებარეობს ციკლოპური ნაციხარი, რომელიც თითქმის სავსებით განადგურებულია: ოდნავადღა მოჩანს ზღუდის ნაშთი, რომელიც დაშლის გზაზეა [1].

ნაციხარი თითქოს ოთხკუთხედის გეგმისაა.

## 12. ავრანლუ=თეძი.

ს. ავრანლუს ანუ ძველი თეძის მახლობლად, მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, ღრმა ხეობაში, სანამ მდინარე ხრამიდან ზემო-წალკის ზეგანზე დაეშვება, მდებარეობს უზარმაზარი ნაციხარ-ნაქალაქევი ციკლოპური ნაგებობისა. თვით ნაქალაქევი, რომელიც მდინარეს დაჰცქერის ამფითეატრივით, 3 საფეხურიდან შესდგება: 1—მთის ძირში; 2—მთის ფერდობის შუა სიმაღლეზე პატარა დავაკებულ ადგილას; და 3—მთის წვერზე. ხოლო თვისი ასეთი აგებულობით ტოპოგრაფიასთან შეპირობებული, ეს ნაქალაქევი თალინისას მოგვაგონებს სომხეთში.

პირველი (ქვედა) საფეხური ანუ ტერასა შესდგება გრძელი ზღუდისაგან, რომელიც რკალისებრი გეგმისაა, მთაზე მიყუდებული (ტაბ. VIIIa), სიგრძით 100 მეტრამდე, სიმაღლით 3—4 მ., ზოგან 4,5 მ., სისქით 2—2,5 მ. მას აქვს ერთი კარი (ტაბ. VII) წყაროს მახლობლად, შემდეგი ზომისა: სიმაღლით, სისქითა და სიგანით 1,5 მ.; იგი გადახურულია უზარმაზარი ქვით, რომლის სიგრძეა 2,25 მ., სიგანე 1,5 მ. ამ ზღუდესა (ტაბ. VI) და მთას შორის მოგრძო ტერიტორიაზე ერთადერთი შენობაა, ისიც ქრისტიანული პერიოდისა, სახელდობრ, პატარა ეკლესია, რომელიც უკანასკნელ ხანშია (რევოლუციის წინ) განახლებული; იგი მიშენებულია ზედ კლდეზე, რომელშიც პაწაწა გამოქვაბულია (ქვაბი) გამოკვეთილი, ეკლესიასთან ჩრდილოეთ მხრიდან შეერთებული; ამ გამოქვაბულში ძლივძლივობით 2—3 კაცი თუ დაეტევა. ამ საეკლესიო კომპლექსის გვერდით, დასავლეთისკენ ზღუდის წვერამდე, მეტადრე ზღუდის შემდეგ, აუარებელი გამოქვაბულებია, ზოგი დაუმუშავებელი, ზოგი კი ოდნავად დამუშავებული.

მეორე (საშუალო) ტერასა, რომელიც მთის ფერდობის შუა სიმაღლეზეა, ოთხკუთხედის გეგმისაა, რამდენიმე მეტრის სიგრძისა

---

[1] შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, op. cit., 223.

და სიგანისა; იგი წარმოადგენს ნაციხარს, სადაც ახლა ავრანლუე-ლებს ბოსტანი გაუშენებიათ.

მესამე (ზევითი) ტერასა კი, რომელიც მთის წვერზეა, შედა-რებით უფრო დიდი ნაციხარია, ოთხკუთხედის გეგმისა; სიგრძით 25 მეტრი, სიგანით 18 მ.; კედლის სისქე 3—4 მ.. იგი თითქმის მთლად დაშლილია და განადგურების გზას ადგია.

ამ ნაციხარ-ნაქალაქევს ე. თაყაიშვილიც იცნობს, მაგრამ მას თითქოს პირველი (ქვედა) საფეხურის მეტი აქ არაფერი უნახავს. ამიტომაც ამ სადგომს იგი ასე ლაკონიურად აგვიწერს: „Вдоль скалы длинная ограда из нагроможденных друг на друга огромных камней“ [1].

პირველად ე. თაყაიშვილს [2], ხოლო შემდეგ არა ერთხელ ჩვენც [3] გამოგვითქვამს ის აზრი, რომ ეს სადგომი უნ-და იყოს ვახუშტის მიერ მოხსენებული როგორც „აბიბის მო-ნასტერი“. ასეთი იდენტიფიკაციისათვის გარკვეულ საბუთს იძლევა აბიბოს ნეკრესლის ცხოვრება, რომელშიც ნახსენებია ქალაქი რეხა ვითარცა მარზპანის რეზიდენცია ანდა დროებითი სადგომი, „ზენა-სოფელ“-ში. ხოლო ეს რეხა, ჩვენი განმარტებით, ავრანლუს ანუ თეძის მახლობლად მდებარე აწინდელი სოფელი რეხაა [4], და არა ქართლის ლეხურის ხეობაში მდებარე ს. რეხა [5]. ავრანლუს მიდა-მოების ანუ ზემო-წალკის რეხა ძველად ე.-წ. „საპიტიახშო“-ს სა-ზღვრებში შედიოდა, არა მხოლოდ ვახუშტის თანახმად, არამედ ტოპონიმიკურ მაჩვენებელთა მიხედვითაც, რამდენადაც აქ ფიქსი-რებულია ადგილისა და სოფლის სახელწოდება „საპიტახკი“ ქციის პარალელურს ხეობაში სამხრეთით. ხოლო „საპიტახკი“ ანუ რუსუ-ლი ტოპოგრაფიული რუკებით Забатагджа იგივე „საპიტიახშო“-ა.

---

[1] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, IV, 15.

[2] იქვე.

[3] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორი-აში, გვ. 223; მისივე, Из материалов поездки на Цалку в 1924 г.,—Изв. КИАИ, IV, 133; მისივე, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთე-ბისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის, გვ. 35—37.

[4] იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულ-ტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის, გვ. 35—37. *Լ. Մելիք-սեթ-Բեկ, Վրաց աղբյուրները Հայաստանի և հայերի մասին*, I, *12—15*.

იხ. М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II, стр. 51, пр. 2; პ. კარბელაშვილი, იერარხია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოზნი და მღვდელ-მთავარნი, ნ. I, ტფ. 1904, გვ. 35—36, შენ. 5.

### 13. წყურვეთი.

ავრანლუ-თეძის ზევიდან, ქციის ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, ს. ხანდოს სამხრეთით, ცნობილია ადგილი, რომელსაც „წყურვეთი“ [1] ან „სალირეთი“ [2] ეწოდება. აქ ჩვენამდე მოუღწევია გამოქვაბულთა კომპლექსს ქციის პირას, აგრეთვე ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევს პატარა და ბრტყელ ბორცვზე. უკანასკნელი შესდგება ზღუდეებისა და ცილინდრული კოშკებისაგან, რომლებიც განადგურების გზაზე არიან. როგორც ეტყობა, იგი გამოყენებული ყოფილა უკანკსკნელ საუკუნეებამდე, რამდენადაც აქ პატარა ნასაყდრევიცაა ქრისტიანული სასაფლაოთი, სადაც, სხვათა შორის, ყურადღებას იპყრობს ერთი ლოდი, რომელიც თითქოს ნა„ვეშაპ“არი უნდა იყოს.

## გ. ჯ ა ვ ა ხ ე თ ი

### 14. ტაბაწყურის კუნძული.

ტაბაწყურის || ტბა-აწყურის (ტბის-ყურის?) კუნძულზე, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ გაგრძელებას იმ ნახევარკუნძულისას, სადაც სოფელი ყზლქილისა მდებარეობს და ტექტონიკურ მოვლენათა წყალობით უნდა ჩამოშორებოდა წყლის ნაპირს, მოიპოვება მეგალითური სადგომის ნაშთი, რაც უმთავრესად ცილინდრული ყაიდის ნაგებობათაგან შესდგება უსახურავოდ (სახურავი ძელთაგან იქნებოდა შემდგარი ზევიდან ლოდებით გადმოხურული). ეს ნაგებობანი ლაბირინტებს წარმოადგენენ, მაგრამ არა ისეთ რთულს, როგორც ბედენის „ლოდოვან“-ში. კედლებიც ნაკლები სისქისაა: 1—2 მეტრამდე.

ამ სადგომის შესახებ ჰიდროლოგი ფ. ფ. კ ა ვ რ ი ჲ ს კ ი 1901 წელს სწერდა შემდეგს: „Недалеко от селения Кизиль-Килиса, на озере, находится небольшой, совершенно плоский остров, не выше $1^1/_2$ арш. выступающий из воды (и то осенью). Он состоит из груды крупных камней и на нем сохранились как-бы остатки старинных жилищ, в виде ям обложенных камнями. Единственными обитателями острова являются различные утки“ [3].

---

[1] ამ სახელწოდებას, უთუოდ, საფუძვლად უდევს ტერმინი „წყურ“ („ყურ“ || „კურ“) წყლის მნიშვნელობით, რომელიც თავს იჩენს აგრეთვე სხვაგანაც, მაგ.: 1) ქციის სათავესთან—„ტაბაწყური“ ანუ „ტბა-აწყური“ (და არა „ტბის-ყური“), აგრეთვე 2) „აწყური“.

[2] ეს სახელწოდება მოგვაგონებს „სალირაშენ“-ს ალჯეთის ხეობაში.

[3] Ф. Ф. Каврийский, Отчет о командировке для изучения р. Куры и озер Тифлисской губернии и Карской области,—„Вестник Рыбопромышленности“, орган И. Российского О-ва Рыболовства“, [Спб.] 1901 г. № 9, стр. 458.

## 15. ფარავნის ასფარა.

„ასფარა“ ძველი სახელწოდებაა იმ სოფლისა, რომელსაც აწ „ბობლიკან“ || „პუბლიკან“ ჰქვია, ფარავნის ტბის ნაპირზე. აქ ერთვერსიან ძველ რუკაზე აღნიშნულია ნაციხარი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი, უთუოდ, ციკლოპური სისტემისა უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მის ადგილზე, ძველ ნაგებობათა განადგურების შემდეგ, იგივე მასალა (დაუმუშავებელი მსხვილი ქვები უკიროთ) საქონლის ფარეხად (кутан) გადაუქცევიათ. ამრიგად, ამ პუნქტში ჩვენ გვაქვს მეგალითური ნაგებობის ახალი დროის გადაშენების ნიმუში.

ეჭვს გარეშეა, რომ ესევე სახელწოდება „ასფარა“ იგულისხმება „თავფარავნელი ჭაბუკ“-ის ხალხურ თქმულებაში, უკეთუ „ასფარა“-დ ვიგულისხმებთ ამავე ტბის ყრთ-ერთ დაძირულ კუნძულთაგანს, რომელთა შესახებ გადმოცემებს ჩვენამდე მოუღწევია.

თავისთავად ცხადია, რომ „თავფარავნელი ჭაბუკი“-ს ლეგენდა ხალხურ ლეგენდა-ბალადათა იმ ციკლიდანაა, რომელსაც, სხვათა შორის, სომხური „ახთამარი“ ეკუთვნის, რასაკვირველია, იმ ვერსიით, როგორც იგი ჩაწერილი და პოეტურად გაფორმებულია ოჰ. თ უ მ ა ნ ი ა ნ ი ს მიერ. ამ ბალადის დედა-აზრი რომანია ჭაბუკსა და ქალს შორის, რომელნიც ერთმანეთისაგან ზღვით || ტბით არიან დაშორებულნი, ისე რომ ერთი მათგანი წყლის განაპირას მცხოვრებია, მეორე კი კუნძულისა. სომხურ ბალადაში „ახთამარ“ კუნძულის სახელწოდებაა. კუნძულის სახელწოდებავე უნდა იყოს ქართული „ასფარა“, რომელიც ქართული ბალადის გარკვეულს ვერსიებში სხვადასხვანაირად იკითხება: ხან „ასპანა“ და ხან „გასპარა“.

მაგალითად, ერთში ვკითხულობთ:

მთაფარავნელი ჭაბუკი
ასპანას ქალსა ჰყვარობდა,
შუაში ერთი ზღვა ჰქონდა,
იმაში გასვლას ზარობდა.

მეორეში:

თავფარავნელის ჭაბუკი
ასპანას ქალსა ჰყვარობდა,
ზღვა ჰქონდა წინად სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა.

მესამეში:

ზემო-ქართლელი ჭაბუკი
გასპარას ქალსა ჰყვარობდა,
შუაზე დიდი ზღვა ედო,
გასვლასა არა ზარობდა[1].

---

[1] ხალხური სიტყვიერება, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედ., I, 428, 284; და სხვ.

ამ ვერსიაში რომ ფარავნის ტბაა ზღვად ნახსენები, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, ხოლო „თავ-ფარავანი“ აქ ტბას კი არ უნდა აღნიშნავდეს, არამედ ფარავნის ტბის თავში მდებარე სოფელს, ე.-ი. საკუთრივ ფარავანს ანუ აწინდელ როდიონოვკას, სადაც თამარ მეფის დროინდელ ნაგებობათ (ფუნდუკ—ქარვასლა, ეკლესიები, ჯვარიან ქვად გადაქცეული მენჰირ-ვეშაპი თამარის დროის წარწერითა და თამარ—დავით სოსლანის ემბლემით) მოუღწევიათ ჩვენამდე. ამიტომაცაა, რომ „თავფარავნელი ჰაბუკი“ს ბალადის ერთ-ერთ ვერსიაში თავფარავნის მაგივრად „თამარაშენი“ იხსენიება [1]; ხოლო ეს „თამარაშენი“ თითქოს ძველი სახელწოდება უნდა იყოს აწინდელი როდიონოვკასი ანუ თავფარავანისა (თამარის საპატიოდ წოდებულისა), ვიდრე აწინდელი სტალინირის (ცხინვალის) მახლობლად მდებარე სოფლისა, რაც კონტექსტით ვერასგზით ვერ იქნება გამართლებული.

## 16. ფოკა.

ე.-წ. „ჯავახეთის მტკვრის“ ანუ „ახალქალაქის მტკვრის“ ფარავნის ტბიდან გამოდენის ადგილს ცოტა ქვეით, მდინარის მარჯვენა ნაპირას, ბორცვზე, მდებარეობს ნაშთი ციკლოპური ნაციხარისა, რომელიც იგივე ძველი „ფოკა“ უნდა იყოს [2].

ამ ნაციხარზე ი. როსტომაშვილი 1898—1901 წელს სწერდა: „ციხე... ამჟამად წარმოადგენს მხოლოდ ნანგრევთა გროვას“ [3], ანუ იგივე რუსულად: „крепость на горе... ныне представляет лишь одну груду развалин“ [4].

1929 წელს ჩვენი იქ ყოფნისას ნაციხარი არ წარმოადგენდა სავსებით დანგრეულ სიმაგრეს, არამედ, ემჩნეოდა ზღუდის ნაწილები გარშემო თხრილითურთ, რომლებიც ყველაზე კარგად ჩრდილოეთ-დასავლეთ მხრიდან იყო შენახული. შიგადაშიგ ეტყობოდა აგრეთვე გადამუშავების კვალიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ის აზრი, თითქოს IV საუკუნის რომაელი გეოგრაფი კასტორის მიერ Tabula Peutingeriana-ში ნაჩვენები Pagas-ი იგივე „ფოკა“ უნდა იყოს [5].

## 17. ყაურმას „ყალა“.

ჯავახეთის ს. ყაურმას თავზე და ს. ეშტიას წინ, კონუსებრ მთაზე, მდებარეობს ნაციხარი, რომელსაც ადგილობრივ „ყალა“

---

[1] ხალხური სიტყვიერება, I, 33.
[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1914, გვ. 322.
[3] „მოგზაური“ 1901 წ. № 4, გვ. 312.
[4] И. Ростомов, Ахалкалакский уезд, стр. 108.
[5] K. Müller, Itineraria Romana, 653—654. Я. Манандян, О торговле и городах Армении, стр. 121—122, 129—131. *Հակոբ Մանանդյան, Հին հայաստանի գլխավոր ճանապարհները, 129—131.*

ციხე-ს უწოდებენ. იგი ძირითადად ციკლოპური ნაგებობისა ყოფილა, მაგრამ იმდენადაა გადაკეთებული, რომ მისი პირვანდელი სახე უკვე ძნელად გამოსარკვევია, მით უფრო რომ მისი უმეტესი ნაწილი უკვე ცხვრის ფარეხად არის გამოყენებული.

### 18. ბულდაშენი.

ე.-წ. ბულდაშენის ანუ ორლოვკას პაწაწა ტბის ნაპირზე ოდნავად იმჩნევა ნაშთი ციკლოპური ნაციხარისა, რომელსაც ი. როსტომაშვილი 1898 წელს შემდეგი სიტყვებით აგვიწერს: „На самом берегу озера, на возвышенном бугорке, есть следы существовавшей крепости с двойными стенами и рвом кругом. Длина площади внутри крепости достигает до 10-ти саженей, расстояние же от одной крепостной стены до другой— до трех саженей. Крепость, видно, была построена из огромных камней“ [1].

### 19. ხვანჩალის „სილნახ“-ი.

ე.-წ. ხვანჩალის ტბის აღმოსავლეთ ნაპირას ბორცვზე ჩვენამდე მოუღწევია ციკლოპური ალნაგობის 2 ნაციხარს, რომელთა შესახებაც ე. ლალაიანი 1895 წელს სწერდა: „[ხვანჩალის] ტბის აღმოსავლეთ ნაპირას ბორცვზე ორი სიმაგრის ნანგრევებია, რომელთაგან სამხრეთისას ეწოდება სილნახ [2]. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არაფერი იციან ამ სიმაგრეების შესახებ, ისტორია კი სდუმს მათ შესახებ“ [3]. ი. როსტომაშვილი 1898 წელს ამ ნაციხართა შესახებ სწერდა: „На восточном берегу этого (Хванчалинского. ლ. მ.-ბ.) озера доныне существуют развалины двух крепостей: диаметр одной из них, более восточной, достигает до 23-х саженей; она имеет ров, наполнявшийся водой, как видно, из озера; другая крепость длиною в 9—10 саженей, но с весьма толстыми стенами (достигает до 2-х саженей). Последняя построена на маленьком возвышении у берега озера, а внизу с юго-восточной стороны возвышенности заметно было и поселение, следы которого хорошо видны и теперь“ [4].

---

[1] И. Ростомов, op. cit., 56.

[2] *Սղնախ* ხილნახ არცახ-ყარაბაღში საზოგადო სახელია ციხე-სიმაგრის აღსანიშნავად. ლ. მ.-ბ.

[3] *Ե. Լալայեան, Ջաւախք, 131.*

[4] И. Ростомов, 55.

ხუთვერსიან ძველ რუკაზე ორივე ნაციხარი ნაჩვენებია „Р. Кр.“ და „Р. Д. Крцанис“-ის სახით. ამათგან შედარებით დაცულია პირველი, რომელსაც ე. ლ ა ლ ა ი ა ნ ი „სილნახ“-ს უწოდებს (ტაბ. XXI). იგი არსებითად ციკლოპური აღნაგობისაა, მაგრამ ოდნავად გადაკეთებული. ნაციხარის გარდა, ბორცვის ფერდობზე იმჩნევა ნასოფლარის ნაშთიც.

## 20. მადატაფა.

მადატაფის ტბის ნაპირზედაც ციკლოპური ნაციხარის ნაშთია, რომელსაც ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი 1898 წელს შემდეგი სიტყვებით აგვიწერს: „В 2—3 верстах от хутора Колмыковой, на берегу Мадатапинского озера, есть остатки старинной крепости. Длина ее достигала до 10-ти саженей, ширина до 5-ти аршин. Стены, заметно, были массивные, толстые, но вследствие того, что лицевые камни сняты духоборами для постройки своих изб, крепость развалилась и ныне представляет одну груду мелкого камня по окружности фундамента. Крепость стояла у самого берега озера и с суши охранялась четырьмя рвами, наполнявшимися водою, вероятно, из озера“ [1].

## 21. სარო (?).

ჯავახეთის ს. საროს მახლობლად მდებარე 3 ნაციხართაგან ერთი თითქოს ციკლოპური აღნაგობისა უნდა იყოს, თუმცა ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს ა [2] და ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს [3] დაწვრილებითს აღწერათაგან ეს, სამწუხაროდ, არ ჩანს, და ჩვენც პირადად დღემდე საშუალება არ გვქონდა დაგვედასტურებინა სინამდვილე.

# დ. ბაკურიან-თორის რაიონი

## ბაკურიანი.

აქ ციკლოპური სისტემის ნაგებობანი გვხვდება, პარველ ყოვლისა, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, სადაც ისინი გაბნეული არიან სხვადასხვა კუთხეში, როგორც ნამსხვრევები ოდესღაც დიდი სადგომისა; აქ გარკვევით იმჩნევა ოთხკუთხედისა და ცილინდრუ-

---

[1] И. Р о с т о м о в, 56.

[2] И. Р о с т о м о в, Ахалкалакский уезд, стр. 101—104 = „მოგზაური“ 1901 წ. № 5, გვ. 403—406.

[3] Е. Т а к а й ш в и л и,—„Материалы по археологии Кавказа“, XII, стр. 19—21.

ლი გეგმის კედლები, აწ ხშირი ტყით გარშემორტყმული. ასეთივე ნაგებობანი მიმობნეულია ბაღის ტერიტორიის გარეშე, მთის ფერდობებზე.

### 23. ციხისჯვარი.

ყოფილი „ფერმის“ ტერიტორიის გარეთ, ტყის მახლობლად, მდებარეობს უზარმაზარი ციკლოპური ნაქალაქევი, რომელიც შესდგება მრავალ ზღუდეთაგან (ტაბ. XX), მენჰირისა და კრომლეხისაგან; შემდეგში შიგ აუგიათ პატარა ეკლესია, რომლისთვისაც გამოუყენებიათ მეგალითები, კერძოდ ერთი მონოლითი, რაზედაც წარწერილია (ასომთავრულად): „იოანე ნათლისმცემელი“.

### 24. საკოჭავი და სხვა ადგილები.

ეჭვს გარეშეა, ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქევები ბაკურიანთორის რაიონში, აღნიშნულ პუნქტებს გარდა, კიდევ ბევრგან მოიპოვება, მაგ. ბორჯომის მიდამოებსა და საკოჭავში და სხვაგანაც, მაგრამ მათზე ჩვენ აქ არ ვჩერდებით, ვინაიდან ცნობები მათ შესახებ პირადად შემოწმებული არ გვაქვს.

## ე. სამხრეთ-ოსეთი (დვალეთი)

### 25. „ზილდე-მაშიგ“.

„ზილდე-მაშიგ“ ეწოდება იმ ნაციხარს, რომელიც მდებარეობს ე.-წ. ზილდეს პლატოზე, დიდი ლიახვის სათავეში, კადლასნის გადასავლამდე, ს.ს. გალუათ-ყაუს, ხოძსა და ერმანს შორის, „ვაძგუთე მასიგ“ ანუ „ვაძგუთე მაშიგ“-ად წოდებული უზარმაზარი კლდის გვერდით. ნაციხარი მდინარის მარცხენა ნაპირიდან ამჟამად დაჰსცქერის მთელს არემარეს. მას უკავია მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი დასახელებული ზეგანისა (პლატოსი), რომელსაც რამდენიმე კვ. კილომეტრის ფართობი უჭირავს.

ნაციხარი მორგვლო-სამკუთხედის გეგმისაა (ტაბ. VIIIв), და დაცულია მხოლოდ ნაწილობრივ: სამხრეთი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი კედლები. შედარებით უკეთესად მოუღწევია ჩრდილოეთ კედელს (ტაბ. IX), სადაც შესავალი კარიც ჩანს. ციხის შიგნით დიამეტრი დაახლოებით 30 მეტრია, კედლის სიგანე საშუალოდ 3 მეტრამდე[1].

ამ ნაციხარს ე. პჩელინა შემდეგი სიტყვებით აგვიწერს:

„Зильде Машиг представляет собою... площадь, заваленную глыбами андезито-дацитов, огражденную сравни-

[1] Л. Меликсет-Беков, К археологии и этнологии Туальской Осии, стр. 264—266. ср. 259. ლ. მელიქსეთბეგი, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში, გვ. 224.

тельно невысокой крепостной каменной стеной... Кладка стены Зильде Машиг состоит из 2—3 рядов камней по способу осетинской сухой кладки без признаков каких бы то ни было связующих растворов, с заполнением промежуточного пространства между глыбами более мелкими обломками той же каменной породы. Камни стены не имеют никаких признаков тески или подправки их и сложены с максимальным использованием их природных свойств. Широкие и плоские стороны камней, являющиеся результатом их естественного раскола, обращены к внешним сторонам стены. Угловые же части этих камней уложены внутрь стены. Поэтому стена Зильде Машиг как в наружной своей части, так и обращенная к ограждаемому ею пространству имеет более или менее ровную поверхность.

„Кладка стены Зильде Машиг тождественна обычной кладке осетинских жилищ и хозяйственных построек из камня этого района. Разница только в гораздо большем размере камней, служащих материалом для Зильде Машиг.

„Камни стены Зильде Машиг были повидимому передвигаемы и укладываемы при помощи рычага, которым работают здесь на постройках и в настоящее время...

„Сверху стена Зильде Машиг не покрыта ничем и являет собой ясную картину способа ее кладки. Высота стены Зильде Машиг почти везде одинакова. Она равняется в среднем около 3 м. Размер камней, из которых сложена стена, 1 м.—1,05 м., но есть и очень большие камни, почти равные по ширине и высоте, но меньше по толщине. В плане Зильде Машиг представляет собою неправильную, несколько вытянутую в своей юговосточной части окружность. Причем стена ограждения охватывает площадь не кольцом, а полукружием, оставляя всю западную часть площади без стены, замененной линией естественного обрыва, являющегося берегом Большой Лиахвы.

„В северной части стены Зильде Машиг имеется впадь внутрь. Кроме этого входа никаких других входных отверстий не имеется. Вход имеет высоту 1, 5 м., ширину 1 м. Толщина стены в этом месте 2,8 м. Перекрытие входного отверстия сделано по типу архитрава. Обе стены входного отверстия почти гладкие, но без подтески камней..."[1].

---

[1] Е. Пчелина, Крепость „Зильде Машиг",—„Советская Этнография", 1934 г. № 3, стр. 88.

ამასთანავე ე. პჩელინა გამოსთქვამს თავის მოსაზრებებს ამ ნაციხარის დათარიღების შესახებ:

„... Исследуя Зильде Машиг, надо притти к выводу, что она не является крепостью обычного южно-кавказского „циклопического типа" „крепостей-поселений", где можно было подолгу отсиживаться от подступившего врага вместе со всем скотом.

„В Зильде Машиг отсутствует вода, растительность. Внутри ее, за крепостную стену, нельзя вогнать главное богатство населения—скот. Плато Зильде непроходимо, за исключением коз, для мелкого и крупного рогатого скота, не говоря о лошадях. В Зильде Машиг нет никаких остатков сооружений для жилья человека или скота, нет следов какой бы то ни было дороги к крепости для скота, хотя бы со стороны обрыва с русла Большой Лиахвы, откуда можно было бы при усилии перегнать стада к крепости, тогда как в окрестностях Зильде Машиг через россыпи каменника имеются остатки таких дорог.

„Повидимому, постройка Зильде Машиг начата по какой-то внезапно появившейся нужде в укреплении в совершенно недоступном месте. Причина этой внезапности исчезла, Зильде Машиг брошено недостроенным и, утратив свое прямое назначение, перестало существовать для двалетцев. Застройка новыми боевыми и жилыми башнями в Двалетии пошла, как и прежде, по родовым ущельям, по новым отселкам размножившегося рода, но не крепостями, для почвления которых здесь необходимы были феодальные отношения, а не родовой строй, хотя бы и в стадии разложения"[1].

„ზილდე-მაშიგ"-ის კვალიფიკაცია, როგორც ფეოდალურ ეპოქაში ნაჩქარევად აგებული ციხისა, რომელიც, ამასთანავე, თითქოს მოკლებული იყო ადამიანის სადგომის მნიშვნელობას, ძალიან ზერელედაა დასაბუთებული ე. პჩელინას მიერ. ჯერ ერთი, რა ფეოდალურ ციხე-სიმაგრეზე შეიძლება საუბარი და თანაც იმ ქვეყნისათვის მიკუთვნებით, რომელსაც სრულიად არ გაუვლია ფეოდალიზმის ხანა. მეორე, განა ნაჩქარევად შეიძლებოდა ისეთი უზარმაზარი სიმაგრის აგება, როგორიცაა „ზილდე-მაშიგ"-ი. და მესამე, განა ადამიანს ვერ შეეძლო ეცხოვრა ციხის გარშემო ქვათა გროვის ტერიტორიაზე და მის ქვევით მდინარის პირად ხე-ტყით აგებულ სახლებში, რამდენა-

[1] იქვე. 92.

დაც ეს მხარე ტყით მდიდარი იყო, რის ნაშთებს ახლაც მოუღწევიათ ჩვენამდე.

ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ზილდე-მაშიგ“-ი არა როგორც ციხე-სიმაგრე, არამედ როგორც ციხე-ქალაქი უნდა მიეკუთვნოს პრეფეოდალურ ეპოქას, გვაროვნულ-ტომობრივ საზოგადოებას.

## ვ. რ ა ჭ ა

### 26. კუნეთის წყაროსთან.

ონის მახლობლად, კუნეთის წყაროსთან (რაჭაში) მდებარეობს ციკლოპური ნაციხარი, რომელიც ჩვენ პირადად ჯერ არ გვინახავს.

ამ სადგომის გარდა, დასავლეთ საქართველოს ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევთა შესახებ ჩვენ საერთოდ ცნობები არ მოგვეპოვება.

## ზ. ლაზისტანი (ჭოროხის აუზი)

### 27. ჭოროხის აუზი.

ჭოროხის აუზში და, კერძოდ, ხალხალ-პარხალის ხაზზე, — ა ტ რ პ ე ტ ი ს თქმით, — სხვადასხვა ადგილას მოიპოვება ციკლოპური ნაგებობანი: ზღუდეები, ნაციხარნი და სხვ.; ამათგან ზოგიერთი, მაგ. ბალჩავანი, ფუძეებადაა გამოყენებული ქრისტიანული საკულტო შენობებისათვის [1].

## III

## ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევთა ტრანსფორმაცია კლასობრივ საზოგადოებაში

ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქევები ძირითადად მიეკუთვნება გვაროვნულსა და გვაროვნულ-ტომობრივ საზოგადოებას, ან მისი რღვევის ხანას, ყოველ შემთხვევაში, ამა-თუ-იმ ქვეყნის განვითარების წინაკლასობრივ ფორმაციას.

ამასთანავე, ასეთ ნაციხარ-ნაქალაქევთა გვერდით, საქართველოში მოიპოვება ისეთი სადგომებიც, რომლებიც ციკლოპური ნაგებობის სისტემისაგან გარკვეულად დაშორებულნი არიან, მაგრამ ფეოდალური ეპოქის ნაგებობათა ყაიდაზე მაინც არ არიან გამართულნი. ამიტომაც, ჩვენ მათ პირობითად ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევთა ტრანსფორმაციას ვუწოდებთ.

უკანასკნელი ტიპის შენობები ხასიათდება შემდეგი თვისებებით: 1) ისინი ისეთივე უზარმაზარი და ტლანქი ნაგებობანია, როგორც

[1] *Ատրպետ, Ճորոխի ավազանը, էջ* 14—15, 79, *ծան.* 2.

„მეგალითები"; 2) ისინი ისევე უკიროთ და, საერთოდ, უდუღაბოთაა აგებული; მაგრამ, ამასთანავე, 3) ისინი ვეებართელა ქვებიდან კი არ არიან დაწყობილი, არამედ ხელოვნურად (ეგების ლითონის საშუალებით) ნამტვრევ ქვათაგან, რომლებიც, ბუნებრივ პირობებთან შეფარდებით, ან მსხვილ ფიქალთა სახითაა გამოყენებული, ან წვრილ-წვრილ ნატეხებად ქცეული ქვების სახით; დაბოლოს 4) ისინი შედარებით უფრო რთული გეგმისა არიან.

მაშასადამე, ასეთი ტიპის ნაგებობათ-ის საერთო რამ აქვთ ციკლოპურ ნაციხარ-ნაქალაქევებთან, რომ ისევე გრანდიოზულნი და ტლანქნი არიან და ყოველგვარი დუღაბის მოუხმარებლად აგებულნი; ხოლო ისინივე განსხვავდებიან ციკლოპურ ნაგებობათაგან მით, რომ მათი კონსტრუქტიული ხერხი შედარებით უფრო მაღალი ტექნიკისაა, ეგების ლითონის ნაწილობრივად გამოყენების გამო, და, ამასთანავე, საკმაოდ რთული გეგმისა არიან. და, რასაკვირველია, ცხადია, რომ ასეთი ტიპის შენობები იმავე ეპოქას ვერ მიეკუთვნება, სადაც ციკლოპურ ნაგებობათ ეთმობა ადგილი.

ასეთი, ციკლოპური ნაგებობის სისტემისაგან ცოტად-თუ-ბევრად დაშორებული და ფეოდალური არქიტექტურის სიმაღლემდე ჯერ კიდევ მიუღწეველი ნაციხარ-ნაქალაქევი საქართველოში ორია, ორივე ფარავნის ტბის რაიონში ანუ ძველს ჯავახეთში.

ორივე ეს ნაციხარ-ნაქალაქევი „ქოროღლი"-ს სახელწოდებითაა ცნობილი: ერთი—მცირე აბულის ერთ-ერთ მწვერვალთაგანზე, ხოლო მეორე—ამავე სახელწოდების მთაზე, რომელსაც ვ ა ხ უ შ ტ ი „შაორს" უწოდებს.

### 1. მცირე აბულის „ქოროღლი".

ამ ადგილზე ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი 1898 წელს სწერდა: „მცირე აბულზე აქამომდე დაცულა კარგა მოზრდილი ციხე, უქვიტკიროთ დიდი ლოდებით ნაშენი" [1].

ესევე ნაციხარ-ნაქალაქევი დაწვრილებით აღწერილია იმავე ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს რუსულ ნაშრომში შემდეგი სიტყვებით:

„На южном склоне Малого Абула доныне еще хорошо сохранилась старинная обширная крепость, совершенно отличная по виду постройки от всех крепостей, какие только мне приходилось видеть в остальных местах Грузии [2].

„Сложена она вся из огромных плитневых саженных камней и достигает высоты до 3-х саженей, при толщине

---

[1] ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, სალარო ცოდნისა. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, I, გვ. 14.

[2] ხაზგასმა ჩვენია. ლ. მ.ბ.

стен до 5—6 аршин. Крепость разделена продольной стеной на две неровные части: на северную—меньшую, и южную—большую. Южная часть внутри вся застроена множеством небольших комнат, или скорее логовищ, соединяющихся друг с другом узкими ходами, так что вся крепость представляет одну обширную башню со множеством комнаток внутри и с одною дверью снаружи. У самых же крепостных стен комнаты эти двухэтажные, а, может быть, были трехэтажны. Как стены крепости, так и стены самых домиков сложены без всякого цемента и глины. Крепость доныне стоит целой; свалилась только малая часть южной стены и средней. Кругом крепости, как о том свидетельствуют множество жилищ, искусно сложенных и крытых плоскими камнями, со множеством ходов, переходов и улиц, существовало обширное поселение. Не ошибусь, если скажу, что таких жилищ в бывшем здесь поселении насчитывается до тысячи, и по обширности оно может поспорить с любым уездным городом[1]. Следов каких-либо орудий, при постройке употреблявшихся, нет никаких: крепость и все находящиеся здесь постройки сложены голыми руками. Но стены и башни сложены весьма искусно и красиво[2]. Это поистине киклопическая постройка"[3].

ამ აღწერას დართული აქვს ნახაზი, სადაც წარმოდგენილია ზოგადი სახე ნაციხარ-ნაქალაქევისა ჩრდილოეთ-დასავლეთ მხრიდან (ტაბ. XXV).

თვით აღწერა, სამწუხაროდ, სავსებით არ შეეფერება სინამდვილეს. ჯერ ერთი, ციხე-სიმაგრე, რომელიც, მართლაც, ორი ძირითადი ნაწილისაგან შესდგება—სიმაგრისა და ციხე-დარბაზისაგან (შიდა-ციხისაგან), თვისი ძირითადი გეგმით სიმაგრის ნაწილში რვაწახნაგოვანია რვა ფორტპოსტით გარეშე კუთხეებთან, რომელთაგან ერთი (ჩრდილოეთ-დასავლეთისა) რკალისებრი გეგმისაა, დანარჩენები კი ოთხკუთხედი (ტაბ. XXIVв). მეორე, ციხე-სიმაგრეს ერთი შესავალი კი არა აქვს, არამედ სამი: 1. ჩრდილოეთ-დასავლეთით, 2. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, და 3. თვით ციხე-დარბაზში .(ტაბ. XXVI). მესამე, ციხე-სიმაგრე ისევე, როგორც მასში და მის გარეთ ნაშენი ბინები მხოლოდ ვეებართელა ლოდებით კი არ არის აგებული, არამედ ნატეხი ქვებითაც, რაიც მაინცა-და-მაინც ამ სადგომს ციკლოპურ ნაგებობათა სისტემას აშორებს.

---

[1] იგივე.

[2] იგივე.

[3] И. Ростомов, Ахалкалакский уезд, 24—25.

ამ ნაციხარ-ნაქალაქევიდან ს. აბულში დაბრუნების შემდეგ გავიგეთ, რომ აქ თითქოს ქვიდან გამოკვეთილი. აკვანი (*Люлька*) ყოფილიყოს დაცული ერთ-ერთ ბინაში, რომელიც ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ ვნახეთ.

სხვათა შორის, ეს ნაციხარ-ნაქალაქევია რომ იგულისხმება ცნობილ ბალადაში ფარავნის შესახებ, რომელიც ჩაწერილი და პოეტურად გაფორმებულია ო ჰ. თ უ მ ა ნ ი ა ნ ი ს მიერ, ხოლო რუსულად ნათარგმნი ს. ქ ა ფ ა ნ ა კ ი ა ნ ი ს ა და ქართულად ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ. სამწუხაროდ, თ უ მ ა ნ ი ა ნ ი ს ჩანაწერში (და, მაშასადამე, რუსულსა და ქართულ თარგმანებშიც) ამ კუთხის ტოპონიმიკა მთლად არეულ-დარეულია: კონტექსტში შეტანილია მითითება — „მთები მთინ-აბული" მაშინ, როდესაც უნდა ყოფილიყო „მთანი აბულნი", რამდენადაც აქ „მთინი" არაფერ შუაა; ასეთი სახელწოდებით ცნობილია მთა ო ჰ. თ უ მ ა ნ ი ა ნ ი ს სამშობლოს ლორეს მახლობლად, ძველი კანგარქის (აწ ყაზახის) რაიონში, რომელიც (მთინი) მას მოელანდა, ქართულის უცოდინარობის გამო, როდესაც ხალხში მოსმენილ თქმულებაში „მთანი აბულნი" გამოთქმას წააწყდა.

ესევე ნაციხარ-ნაქალაქევი თითქოს იგულისხმება ჯავახეთისა და კერძოდ ს. განძის მიდამოების იმ ობიექტებს შორის, რომელთაც თავის დროზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ სომეხ დიდ პოეტ, აწ განსვენებულ ვ ა ჰ ა ნ ტ ე რ ი ა ნ ზ ე და ზეგავლენაც კი დაუჩნევიათ მის შემოქმედებაზე.

### შაორის „ქოროღლი".

ეს სადგომი შესდგება ორი ძირითადი კომპლექსისაგან, რომლებიც მდებარეობენ ერთსადაიმავე მთის ორ მწვერვალზე: მათგან ერთი, შედარებით გრანდიოზული, მაღალზეა; ხოლო მეორე, მცირე, დაბალზე.

ამ ნაციხარ-ნაქალაქევს გაკვრით იხსენიებს 1898 წელს ზ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი[1], ხოლო იმავე წელს ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი დაწვრილებით აგვიწერს შემდეგი სიტყვებით:

„Гора Кор-оглы настолько крута и остроконечна, что подняться на вершину ее верхом нет никакой возможности, и с половины горы приходится оставлять лошадей на склоне, а самим подниматься пешком. Но замечательно, что выше, на самой горе, доныне сохранилась в целости искусно сделанная дорога, шириною в четыре аршина, вся ровно устланная плитневыми камнями; она ведет до самой вершины, и так и кажется, что по ней поднимались до самой крепости в экипажах (арбах)"[2].

[1] ზ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი, თრიალეთი, — „ივერია" 1898. 25. VIII № 182.
[2] И. Р о с т о м о в, op. cit., 26.

შემდეგ ი. როსტომაშვილი ეხება ამ ნაციხარ-ნაქალაქევის სახელწოდებას, რომელიც, მისი აზრით, არ შეიძლება დაკავშირებულიყოს „ქოროღლი“-სთანაო, ვინაიდან საეჭვოა, რომ იგი, ქოროღლი, „ოდესმე ამ ადგილებში ყოფილიყოს“ (не думаю, чтобы он когда-либо был в этих местах). როგორც თავის ადგილას ჩვენ უკვე დავინახეთ, არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ სახელწოდება „ქოროღლი“ ციხე-სიმაგრეს უთუოდ „ყაჩაღ ქოროღლი“-საგან მოეღოს, რადგანაც „ქოროღლი“ თურქული ექვივალენტია „ცალთვალა“, „თვალბრმა“, „ციკლოპ“-ისა.

რაც შეეხება ი. როსტომაშვილის მეორე განმარტებას, რომ ქოროღლის ციხე იგივე შარის ციხე უნდა იყოს ვახუშტის გეოგრაფიისა, რის გამოც უფრო სწორი იქნებოდა ამ ციხისათვის შარის-ციხე გვეწოდებიაო[1], ეს შეხედულება სწორია და მისაღებიც.

სახელწოდების განმარტების შემდეგ ი. როსტომაშვილი განაგრძობს ციხე-სიმაგრის აღწერას:

„Крепость Кор-оглы окружена была домиками, как и Ябульская; следы поселения видны и теперь, в виде множества домиков, или лучше логовищ, сложенных из плитневых камней, без глины, и имеющихся здесь же под рукой в изобилии; домики покрыты теми же плитами, огромных размеров. Крепость построена на самой вершине горы и имеет внутри до 40 шагов длины. Высота стены достигает до 2-х и более саженей, а толщина до 5—6 аршин. Внутри, кругом всей крепости у самой стены, до сих пор сохранилось до сорока помещений и столько же на сих последних, а всего около 80. Помещений в обоих этажах сохранилось в целости только несколько, а остальные разрушились. Длина, или что то же глубина сих помещений достигает до 4-х аршин, а ширина до 2—3-х аршин. Каждое из этих помещений имеет особый вход с площади крепости, но есть и такие, которые имеют ходы и из одного помещения в другое“[2].

ეს ნაციხარ-ნაქალაქევი ი. როსტომაშვილზე წინ აღწერილი იყო ე. ლალაიანის მიერ 1895 წელს, მაგრამ მის აღწერას, თუმცაღა დაწვრილებითს, არაფერი გააჩნია ისეთი, რაც დამახასიათებელი ყოფილიყო ამ ძეგლის „ციკლოპურ“-ობისა. საინტერესოა მხოლოდ ერთი მითითება, რომელიც აღნიშნულია გზამყოლის, მღვდ. ტერ-მარკოზ ტერ-ჰარუთიუნიანის ნაამბობის თანახმად,

[1] იქვე, 26—27.
[2] იქვე, 27.

რომ „ციხის სამხრეთ კედლის ერთ-ერთ კამაროვან უბეში, რომელსაც სიმაღლე ერთ არშინზე მეტი ჰქონდა, სიგანე კი ³/₄ არშ. და სიღრმე ¹/₄ არშ., მოთავსებული იყო ადამიანის ქანდაგებაო. იგი თავლია იყო, ტანსაცმელით მუხლებამდე და უიარაღოთ“ [1]. ამასთანავე, იგივე ე. ლ ა ლ ა ი ა ნ ი გადმოგვცემს, რომ ამ „ქანდაკებას ორსავე მხარეს ჰქონია წარწერა, რომელიც ვერც თითონ (ტერ-მარკოზს), ვერც მის გზამყოლ-ქართველს ვერ ამოუცვნიათ, თუ რა ასოებით ყოფილა დაწერილი“. შემდეგ იგივე ე. ლ ა ლ ა ი ა ნ ი აღნიშნავს რა, რომ ერთ-ერთი „სენაკის აღმოსავლეთ კედლის კუთხეში მოთავსებული იყო ორი ქვაჯვარა (*խաչքար*)“, დასძენს, რომ იგი „შეეცადა მოეძებნა წარწერა და ადამიანის ქანდაგების შემცველი ქვა, მაგრამ ამაოდ“-ო [2].

თვით ციხე-სიმაგრე მთავარი (ზედა) კომპლექსისა არსებითად ექვსწახნაგოვანი გეგმისაა (ტაბ. XXIVa); რომელთაგან დაცულია აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები (ტაბ. XXII), დანარჩენი კი ან ნახევრად დაქცეულია (სამხრეთ-აღმოსავლეთის), ანდა სრულიად განადგურებულია (ჩრდილოეთ-დასავლეთის). ასე რომ ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს განცხადება, ვითომც „ნაციხარის მხოლოდ ერთადერთი აღმოსავლეთ კედლის მცირეოდენ ნაწილსღა მოუღწევია“-ო, კორექტივს მოითხოვს.

ციხე-სიმაგრე შიგნით ამჟამად ქაოსს წარმოადგენს: სავსებით ანუ ნახევრად ჩამონგრეული ერთ ან ორსართულიანი ბინები ისეა დაგროვებული, რომ მათი ფიქსირება გეგმაზე შეუძლებელი იყო. შედარებით კარგადაა შენახული შესავალი კარი (ალაყაფი) აღმოსავლეთ კედელში (ტაბ. XXII), რომლითაც ქვეიდან ხევით ზიგზაგებით მიმავალი ქვაფენილი გზა თავდება, ხოლო გზის პირას, მარჯვნივ მონოლით-ობელისკი დგას, რომელიც ოთხწახნაგოვან და წვეტთავა ძეგლად მოსჩანს. თვით გზა კი, რომელიც unicum-ს წარმოადგენს, იშვიათია, ისევე როგორც ევროპაში ცნობილი allées couverts-ი [3]. დოლმენისებრი ბინებიდან, რომლებიც აქა-იქ მრავლად არიან მიმობნეული ციხე-სიმაგრის გალავნის გარეთ, ყველაზე უკეთესად შენახულია ალაყაფის მარჯვნივ, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ბინა (ტაბ. XXXV). იგი ფიქლით არის ნაშენი, რითაც არსებითად განსხვავდება გოხნარისა და ბედენის ლოღოვანის ანალოგიურ დოლმენთაგან (ტაბ. XXX—XXXIV).

რაც შეეხება ქვედა კომპლექსს, იგი პირველიდან შედარებით

---

[1] *Ե. Լալայեան, Զանգեզուր*. - «*Ազգ. Հանդէս*», I, 165—166, ცალკე ოტისკით 53—54.

[2] იქვე, 166 (54).

[3] შდრ. J. D é c h e l e t t e, Manuel. I, 373—429, განსაკუთრებით 396 (სურ. 140), 400.

მცირე ზომისაა. იგი შესდგება გალავნისაგან, რომლის არე 10×15 მეტრამდეა, და მთლად დაშლილ ცალკეულ შენობათაგან.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოაღწერილი ორივე სადგომი ერთმანეთზე ისეა დაკავშირებული, რომ, სახელწოდების გარდა, მათი სიახლოვე („ნათესაობა") შესაფერ ლეგენდაშიც კი არის ასახული, რაც „ყაჩაღ ქოროღლი"-ს სიმხნე-სიმამაცეს მიგვითხრობს [1].

ამასთანავე, დამაფიქრებელია ერთი ფრიად საგულისხმო გარემოება: რით აიხსნება, რომ არცერთი ამ გრანდიოზულ და არაჩვეულებრივ ნაციხარ-ნაქალაქევთაგანი არ იხსენიება ქართულ წყაროებში: ამის პასუხად, ჩვენის აზრით, შეიძლება ერთ-ერთი ამ მოსაზრებათაგანი გამოდგეს: 1) ეს სიმაგრე-ქალაქები თავიანთი დაფუძნებით, განვითარებითა და დაცემით წინ უსწრებენ ქართული საისტორიო მწერლობის ჩამოყალიბებისა და, კერძოდ, „წმ. ნინოს ცხორების" (ქართლის მოქცევის მეორე ნაწილის) ჩასახვის ხანას, უკიდურეს შემთხვევაში ერთი მათგანი, სახელდობრ აბულისა, მაინც იქნებოდა მოხსენებული იმ ქალაქთა მწკრივში, როგორიცაა ფოკა-ურბნის-მცხეთა. 2) ეს სიმაგრე-ქალაქები, რომლებიც მიუდგომელ სიმაღლეზეა აგებული,—და ამიტომაც ძნელი წარმოსადგენია, რომ იქ ხალხს ზამთარ-ზაფხულ ეცხოვროს,—შეიძლება წარმოშობილიყვნენ, თავისთავად იგულისხმება, ციკლოპურ **ნაციხართა საფუძველზე**, ადრინდელი ფეოდალიზმის ხანას, როდესაც ჯავახეთის ტერიტორიაზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებდა სახელმწიფოთა შორის, როდესაც სტრატეგიული მოსაზრებების გამო საჭიროდ შეიქნა ძველი სიმაგრეების გამოყენება-გაფართოება იქ დიდძალი ჯარის მოთავსების მიზნით. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს 2 სადგომიც თავის ნაგებობით ძირითადად განსხვავდება ბიზანტიური დროის ნაგებობათაგან დასავლეთ საქართველოში (V—VI ს. ს.), როგორიც არიან არქეოპოლის—ნოქალაქევი, ციხისძირი (პეტრა?), ანაკოპია-ნიკოფსია, როდოპოლის—ვარციხე, მარტიროპოლის, შორაპანი, სკანდე, ტოლები და სხვ.

ასეთ მოსაზრებას ჩვენ გამოვსთქვამთ მხოლოდ საკითხის დასმის წესით, რამდენადაც იმ მასალებს, რაც ჩვენს განკარგულებაშია, ვერ ძალუძს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა.

IV

## დოლმენ—ბლინდაჟები

დოლმენები ორი ძირითადი კატეგორიისაა: 1) როგორც „საარქაო" ბინა, და 2) „საიქაო" ბინა; ბლინდაჟები კი მხოლოდ „საარქაო" ბინებია. დოლმენები და ბლინდაჟები, ერთად აღებული, რო-

[1] იხ. ზევით, პირველი ნაკვეთის I თავი, გვ. 12—13.

გორც „სააქაო“ ბინები, გვხვდება მხოლოდ ციკლოპური ალნაგობის ნაციხარ-ნაქალაქევთა არემარეში,—მაშასადამე, დროითა და სივრცით შეპირობებულ გარკვეულ საზღვრებში,—მაშინ როდესაც იგი-



სურ. 5.

ვე დოლმენები, როგორც „საიქაო“ ბინები, დროისა და სივრცის ამ გარკვეულ საზღვრებს საკმაოდ სცილდებიან, და მათზე საუბარი მეგალითური კულტურის მიმოხილვაში მხოლოდ პირობითადღა შეიძლება.

## 1. დოლმენები

სიტყვა „დოლმენ“ (dolmen) კელტურია (ბრეტანეთში); იგი შესდგება 2 ფუძისაგან: 1) dol—მაგიდა, და 2) men—ქვა.

ამით აღინიშნება რამდენიმე ქვისაგან აგებული ყუთი, რომელიც არსებითად 3 ძირითადი ტიპისაა: 1) 5 ქვისაგან მიწის ზედაპირზე აგებული პარალელოპიპედისებრი ყუთი-კამერა, რომელიც ვერტიკალურად დადგმულ და კედლებად გამოყენებულ 4 ფიქალისაგან შესდგება,— ერთი მათგანი მორგვლო ხვრელით, რომელიც ქვისავე საცობით იკეტება; ხოლო მეხუთე ფიქალი ზევიდანაა წამოხურული; 2) ასევე 5 ქვისაგან (ფიქალისაგან) აგებული და მიწაში ჩამარხული პარალელოპიპედისებრი ყუთი-აკლდამა ანუ თაბუთი, რომელსაც არავითარი ხვრელი-საცობი არ ახლავს, და 3) რამდენიმე ქვისაგან მიწის ზედაპირზე აგებული კამერა-გალერეა უსწორმასწო-

რო გეგმისა და ფორმისა, რომელიც გამოქვაბულ-ღვიმეს წააგავს, წინახედიდან (ფასადიდან) სავსებით ღია.

სამსავე ტიპს ახასიათებს ერთი-და-იგივე თვისება, სახელდობრ ის, რომ ყველა წამოხურულია არქიტრავით, რომელიც ჩვეულებრივად უზარმაზარ ქვა-ფიქალს წარმოადგენს, და ისეთ შთაბეჭდილებას



სურ. 6.

ჰქმნის, თითქოს იგი, მართლაც, მაგიდა (dol—რუს. стол) იყოს.

პირველი ტიპი ჩვეულებრივად „საიქაო“ ბინას ანუ სამარხს წარმოადგენს. იგი მრავლად გვხვდება ევროპაში, რუსეთში, ჩრდილო კავკასიაში და შავი-ზღვის ნაპირას, კერძოდ აფხაზეთშიც[1] (სურ. 5,

---

[1] იხილე სპეციალური ლიტერატურა ამ საკითხზე:

J. Fergusson, Rude stone monuments in all countries, London 1872 (სურათებით მთელს წიგნში); J. Déchelette, Manuel d'archéologie pré'historique Celtique et Gallo-Romaine. t. I, p.p. 373—429, სურათებით: ფელიცინის, სისოევისა და უვაროვას წერილები Материалы по археологии Кавказа-ში, ტ. IX, M. 1904, სურათებით; Б. Лунин, Дольмены Черноморья [„Материалы по археологии Юго-Востока России“, кн. I, в. 1], Ростов-на-Дону 1924, სურათით; В. И. Стражев, К Азантскому дольмену (Археологическая разведка).—„Известия Абхазского Научного О-ва“, в. IV, Сухум 1926, стр. 125—127; M. M. Jvascenko, Beiträge zur Vorgeschichte Abchasiens. I. Eine neuentdeckte Dolmen-gruppe.—„Eurasia septentrionalis Antiqua“. VII, Helsinki, 1932. p.p. 102—112, იქვე 111—112 გვერდებზე დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია საგნისა; A. M. Tallgren, Dolmens of North Caucasia,—„Antiquity“, London, t. VII, 1933 № 26, june, p. 190—202; A. M. Tallgren, Sur les monuments mégalithiques du Caucase occidentale,—„Eurasia septenrionalis Antiqua“, IX, 1934, p. 4,9, სურათებით; М. М. Иващенко, Исследование архаических памятников мат. культуры в Абхазии, Тифлис 1935, стр. 9—11 et pass, სურათები 13 და 24 გვერდებზე; Абхазские дольмены,—„Вечерний Тбилиси“ 1937 г. № 249.

6 და 7). სომხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი ტიპი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. ხოლო ადრიბეჯანში ძველს თალიშშია (ლენქორანში) მოპოვებული ერთ ცალად, ისიც ორსართულიანი ნაგებობის სახით [1].

მეორე ტიპიც ჩვეულებრივ „სააქაო" ბინებია ანუ აკლდამა გინა თაბუთ-სამარხები, რომლებიც ყველგანაა გავრცელებული [2],



სურ. 7.

ხოლო საქართველოში დიდი სიმრავლით ბაიერნის გათხრებიდან ცნობილს ე.-წ. სამთავროს სასაფლაოზე მცხეთაში, სამხედრო გზის პირას, ნაცხორ-ბებრისციხემდე, სადაც ჩვენ სევსამორა-წიწამური გვევულება (აწინდელი წიწამურის გამოღმა) [3].

მესამე ტიპი კი ისაა, რაც „სააქაო" ბინებს ანუ სადგომებს წარმოადგენს, და გავრცელებულია როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიც, კერძოდ სომხეთ-ადრიბეჯან-საქართველოშიც.

დოლმენებს იხსენიებს ატრპეტი ჰორობის აუზის (პარხალისა და ბალჰის) აღწერაშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენად ბუნდოვნად, რომ მკითხველს არ ძალუძს გაარკვიოს, რომელი ტიპის დოლმენებია ეს [4].

---

[1] „Известия Азербайджанского Археологического Комитета", в. II, Баку, 1926, рис. X.

[2] შდრ., მაგ., J. De-Morgan, Mission scientifique au Caucase, I, Paris 1889 (მრავალ ადგილას)

[3] Л. Меликсет-Беков, В поисках Страбоновой Севсаморы (К вопросу о древне-грузинских местообитаниях), — „Известия Кавк. Отд. Рус. Геогр. О-ва", кн. XXV, № 2—3, 1917, стр. 248—259.

[4] *Ատրպետ, Ճորոխի ավազանը*, 14—15, 37.

დოლმენების სამ ძირითად ტიპად დაყოფა, როგორც ეტყობა, აზრად არ მოსვლიათ ჩვენს სპეციალისტ-არქეოლოგებს. ამიტომაც ისინი ამ ტიპებს ერთმანეთში ურევენ.

ბოლო ხანებში დოლმენებს ყურადღება მიაქცია მ. მ. ივაშჩენკომაც, აფხაზეთში აღმოჩენილ მიწის ზედა „სამარხ"-დოლმენებთან დაკავშირებით. თავისი დაკვირვება ამ საკითხის გამო მან გამოსთქვა შემდეგი სიტყვებით:

„На Кавказе дольмены известны в б. Кубанской области, в Черноморье, в Ленкоранском районе, Азербайджане. Есть, повидимому, дольмены и в Грузии, в Цалкинском районе, но данные о них еще не опубликованы[1]. К этому списку теперь следует добавить дольмены в Абхазии[2].

„Здесь я не упоминаю о дольменах-цистах и каменных ящиках, так как памятники эти хотя и близки к дольменам, но все же полной аналогии не представляют. Погребения в каменных ящиках распространены почти по всему Кавказу и относятся к разным эпохам—от медного века до феодальной"[3].

რაც უნდა მართალი იყოს მ. მ. ივაშჩენკო დოლმენებისა და ქვის ყუთების განსაზღვრაში, როგორც განსხვავებულ ტიპებისას, ერთში იგი მაინც სცდება, სახელდობრ: მას, ალბათ, სათანადო მასალის უქონლობის გამო, ვერ შეუმჩნევია ისეთი აშკარა მოვლენა, რომ ჩრდილო-კავკასიისა, შავი ზღვის სანაპიროსი და კერძოდ აფხაზეთის დოლმენები როგორც თავიანთი აგებულობის ტიპით, ისე ფუნქციით (სემანტიკით) ძირითადად განსხვავდებიან საქართველოში (და სომხეთში) აღმოჩენილი დოლმენებისაგან, რამდენადაც პირველნი „საიქაო" ბინა-სამარხებია (აკლდამა-თაბუთები), ხოლო მეორენი — „სააქაო" ბინა-სადგომები.

დოლმენებს ხალხი ჩვეულებრივ ბუმბერაზთა ნაგებობად სთვლის, ზოგან კი—ქონდრისკაცთა ნაგებობად. ამიტომაც სხვადასხვა ენაზე მათ უწოდებენ: საფრანგეთში—„დევთა სახლები" (maisons des Fées) || „დევთა საფლავები" (tombes des Fées) || „გოლიათთა საფლავები" (tombaux des Géants); გერმანიაში—„ჰუნთა საფლავები"; ესპანეთსა და პორტუგალიაში—„მავრების ქოხები", რუსეთში —„чертовы хаты", „дидовы хаты", „богатырские могилы"; ჩერქეზები და აფხაზები—„ქონდრისკაცთა სახლები" (სსუპუნ); ქართველები—„დევის ბინები", „დევის ნასახლარნი", და სხვ.

---

[1] მითითებაა ამ ჩვენს ნაშრომზე.

[2] მ. მ. ივაშჩენკოს, როგორც ჩანს, გამოჰპარვია სომხეთის დოლმენები, ალბათ, იმიტომ, რომ მათ შესახებ ცნობები სომხურადაა გამოქვეყნებული.

[3] ხაზგასმა ჩვენია. ლ. მ.-ბ. М. Иващенко, op. cit.

ახლა შევუდგეთ თვით დოლმენების აღწერას ზემოდაღნიშნული კლასიფიკაციის საფუძველზე.

რამდენადაც პირველი ტიპის დოლმენები საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მხოლოდ შავი ზღვის ნაპირას, სახელდობრ აფხაზეთში, გვხვდება, სადაც ისინი უკვე შესწავლილი არიან მ. მ. ივაშჩენკოს მიერ, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა მათი აღწერისათვის თვით ამ ივაშჩენკოსთვის მიგვეცა სიტყვა:

„Расположение абхазских дольменов. Как и дольмены Северного Кавказа и Черноморья, абхазские дольмены расположены группами или цепью. Все группы абхазских дольменов расположены недалеко от воды на горных склонах. В частности ближайшие дольмены Эшерской группы находятся всего в нескольких десятках метров р. Шицквара на южном склоне Абачагдара, Азантский—недалеко от оз. Ашткел на покатом взгорье.

„Лицевой фас дольменов с отверстием в первом и втором Эшерском и в первом Азантском обращен к югу, в третьем Эшерском к юго-востоку, в четвертом к юго-западу и только в третьем Азантском к северу.

„Таким образом, основное направление абхазских дольменов, как и у большинства северо-кавказских и черноморских, это на юг и на юго-восток.

„Материал. Азантские дольмены сделаны из песчаника, эшерские из известняка. В противоположность западно-европейским дольменам, плиты абхазских дольменов, за исключением верхних, хорошо и гладко обтесаны, боковые имеют пазы, а края передних и задних закругления.

„Форма дольменов. Как и большинство других кавказских дольменов, абхазские дольмены в плане представляют трапецию, причем передняя часть шире, чем тыловая“ [1].

დოლმენთა ამ პირველი ტიპის რთულ სახეს უნდა წარმოადგენდეს ის ორსართულიანი უნიკალური ცალი (სურ. 8), რომელიც აღმოჩენილია ძველი თალიშის (ლენქორანის) რაიონში, ადრიბეჟანში, სახელდობრ ს. გორიკდიში (რუკით ტაშქიურაზი), და რომლის ზოგად აღწერაც მოცემულია შემდეგი სიტყვებით: „Одна могила—двух этажная — двойной долмен, построена из десяти плит, каждый этаж состоит из почти квадрата в четыре плиты, покрытых пятой плитой. В передней плите каждого этажа есть круглое отверстие“ [2].

[1] М. М. Иващенко, op. cit., 33—34.

[2] „Изв. Азерб. Арх. Ком.“, II, 75.



სურ. 8.

მეორე ტიპის დოლმენებზე ანუ ქვის-ყუთებზე (აკლდამა-თაბუთებზე) ჩვენ ზედმეტად ვთვლით აქ საუბარს, ვინაიდან ეს ტიპი, ჯერ ერთი, საერთოდ, კარგადაა ცნობილი საარქეოლოგიო ლიტერატურაში, და მეორე — იგი არსებითად სცილდება მეგალითური კულტურის ძეგლთა განვითარების ჩარჩოებს, რამდენადაც ფეოდალურ ფორმაციაშიცაა კარგად გავრცელებული.

ამიტომ ჩვენ პირდაპირ მეხამე და უკანასკნელი ტიპის დოლმენთა დახასიათება-აღწერაზედა გადავდივართ.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენ მიერ აღმოჩენილი დოლმენები ენათესავებიან სომხეთის დოლმენებს, სახელდობრ ყურდუყულის (ძველი არმავირის) მიდამოს ს. ჰაჯი-ბაღრამსა (სურ.9)[1], ზანგეზურის სისიანის ს. ყარაქილისას ახლოს მდებარე ყო-

[1] И. Мещанинов, Циклопические сооружения в Закавказье, стр. 94 (рис. 25).

შუნ-დაშსა (სურ. 10)[1], არაგაწის მიდამოში და სხვაგან[2]; ენათესავებიან არა მხოლოდ გარეგანი ფორმით, რამდენადაც ორსავე მწკრივში მოცემულია წინახედიდან (ფასადიდან) სავსებით ღია კამერა-გალერეა, არამედ აგრეთვე ფუნქციითაც, ვინაიდან ეს ტიპი დოლმენისა „საა-



სურ. 9.

ქაო" ბინა-სადგომს წარმოადგენს და არა „საიქაო"-ს ანუ სამარხს (აკლდამა-თაბუკის). ამ, ჩვენ მიერ ჯერ კიდევ 1924 წელს წამოყენებულ, დებულებას საუცხოოდ ემთხვევა სტ. ლისიციანის მიერ, ჩვენგან დამოუკიდებლად ჩატარებული გამოკვლევა ზანგეზურის (სისიანის) ყოშუნ-დაშის მეგალითური სადგომის დოლმენზე: „В пользу того, что это были не погребальные склепы-долмены, а именно жилища, говорит то, что почти всегда перед ними имеются огороженные мелкими камнями неправильные участки, напоминающие крестьянские дворы[3].

ხოლო ამ გამოკვლევასთან დაკავშირებით, რომელსაც სავსებით ამართლებენ აღმოსავლეთ საქართველოში შემჩნეული მაგალითებიც, იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია

---

[1] Ст. Лисициан, Кошун-даш. Мегалитическое городище в Сисиане (Зангезуре).—Академия Наук СССР. XLV. Академику Н. Я. Марру, 1935, стр. 715 (рис. 2 и 3), стр. 718 (рис. 6 и 7).

[2] *Ստ. Լիսիցյան, Հուղարկավորության և դամբարաննե-րի զարգացումը Հայաստանում,—«Տեղեկագիր Հ.Ս.Խ.Հ. Գիտ. և Արվեստի Ինստիտուտի» № 3, 1928, էջ 89—90*; აქ ჩამოთვლილია: 1) აოავაწის, 2) ზანგეზურის ყოშუნ-დაშის, 3) ყარაბაღის სალსალანის „ყაჩალაკაქარ" წოდებულ მთის ფერდობზე და 4) მასტარის ახლობლად მდებარე დოლმენები.

[3] Ст. Лисициан, Кошун-даш, стр. 716.



სურ. 10.

იმ წრეთა კრომლეხებად აღიარება, რომლებიც შემჩნეულია დოლმენთა გარშემო, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთნი ადრიბეჟანის დოლმენ კრომლეხებზე საუბრისას[1].

ჩვენი პასუხი ამ საკითხზე ასეთია: ქვათა წრე ფორმითაც და ფუნქციითაც კრომლეხია, უკეთუ მით შემოფარგლულია დოლმენი—„საიქაო“ ბინა-სამარხი (აკლდამა-თაბუთი); ხოლო წრე ფორმით და

[1] „Изв. О-ва обсл. и изуч. Азербайджана“, № 3, стр. 118.

ფუნქციით უბრალო ზღუდეა, უკეთუ მით შემოფარგლულია დოლმენი—„საქარი" ბინა-სადგომი, ე.-ი. კამერა-გალერეა.

აღმოსავლეთ საქართველოში დოლმენები ფიქსირებულია შემდეგ ადგილებში: 1) გოხნარის Медвежья балка-ში, 2) ბედენის „ლოდოვან"-ში, 3) ბეშთაშენის „დაშლუხ"-ში, 4) შაორის „ქოროღლ"-ზე, აგრეთვე 5) ს. გუნია-ყალაში.

ეს დოლმენები წარმოადგენენ სადგომ-ბინებს, თავშესაფარს, ერთი ან რამდენიმე ადამიანისათვის, ჩვეულებრივ ადამიანის სიმაღლისა, ან მეტი და ან ნაკლები. მათგან ზოგი ორი ან სამ-სართულიანია, აგებული ისე, რომ მიწის ზევით მხოლოდ ერთი სართულია, დანარჩენი კი მიწაშია ჩამარხული ან ქვა-კლდეებშია მოქცეული. თვით სართულებიც სხვადასხვა ყაიდისაა; ზედა სართული თითქოს გამოქვაბულია, ხოლო ქვედა სართული უფრო სარდაფ-კატაკომბას ჰგავს. ერთი ამ დოლმენთაგანი, სახელდობრ შაორის „ქოროღლ"-ზე, უბრალო ქოხს წააგავს.

აქ დართულ სურათებში წარმოდგენილია 5 დოლმენი (ტაბ. XXX—XXXIVa) გოხნარის Медвежья балка-ს ნაციხარ-ნაქალაქევისა (იხ. რუკით №№ 9—14); მათში ყველაზე მეტად გასაოცარია № 11, რომლის სახურავის სიგრძე 2 მეტრზე მეტია, ხოლო სიგანე 1,5 მ. თითო სურათიც ლოდოვანის (ტაბ. XXXIVв) და შაორის „ქოროღლი"-ს (ტაბ. XXXV) დოლმენს გამოსახავს. რაც შეეხება გოხნარის „ლოდოვანი"-სა და ბეშთაშენის „დაშლუხ"-ის დოლმენებს, ისინი ემსგავსებიან გოხნარის ტიპებს.

ა. ნ. გ რ ე ნ ი ს თანახმად, ზემო-წალკის ს. გუნია-ყალაში ოდესღაც დაცული ყოფილა დოლმენისებრი ძეგლი, რომელსაც იგი აღწერს შემდეგი სიტყვებით: „Прямо среди селения (Гуниа-Кала. ლ. მ.-ბ.) возвышался любопытный мегалитический памятник из огромных плит или скорее камней. Он очень походил на дольмены, встречающиеся во Франции и Скандинавии: те же камни, те же размеры, только он был отовсюду засыпан землею"[1].

## 2. ბლინდაჟები

მეგალითების რთულ სახეს წარმოადგენს ის ტიპი, რომელიც ცნობილია საფრანგეთში allée couverte და dolmen à galerie-ს სახით. ასეთი ნაგებობანი ჩვენში ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. სამაგიეროდ, აღმოჩენილია ის ტიპი, რომელსაც blindage ბლინდაჟი ეწოდება[2], ე.-ი. გვირაბისებრი, მიწით ამოფარებული, კამერა.

---

[1] А. Грен, Отчет по археологической поездке в Цинцкаро,— „Изв. К. О. М. А. О", II, стр. 44 и рис. там-же.

[2] J. Fergusson, op. cit., p. 203 (fig. 64), p. 208 (fig. 69), p. 311 (fig. 115); J. Déchelette, op. cit., I, p. 396 (fig. 140), p. 399 (fig. 142), p. 406 (fig. 145), p. 418 (fig. 147), p. 420 (fig. 148).

ბლინდაჟი დოლმენისაგან განირჩევა მით, რომ იგი ზომით უფრო დიდია, უკეთ—უფრო მოგრძოა, და ამოხურულია ქვათა მწკრივით სიგრძეზე; ამასთანავე, არსაიდან იგი ღია არ არის, გარდა პატარა შესავალი კარისა, რომელიც უფრო სარკმელს წააგავს (ტაბ. XXVIII, XXIX). მასში შედარებით უფრო მეტ ადამიანს შეეძლო თავი შეეფარებინა.

ბლინდაჟები ჩვენ მიერ აღმოჩენილია შემდეგ ადგილებში: 1) გოხნარის Медвежья балка-ს ნაციხარ-ნაქალაქევში ოთხ ცალად, რომელდაგან 2 მთლად დაცულია, ხოლო 2 საკმაოდ დაშლილი (იხ. სათანადო რუკის №№ 4—7); 2) ს. აბულში, რამდენიმე ცალი, რომლებიც კარკნალ ქვეშ არიან მოქცეული, როგორც ეტყობა, მიწისძვრის გამო; და 3) ს. ავრანლუს ქვეშ (აწინდელი სოფელი აგებულია ძველ ნასოფლარზე).

რაც შეეხება ბლინდაჟთა ფუნქციას, ამაზე ორი აზრის ქონა შეუძლებელია: ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ისინი მხოლოდ-და-მხოლოდ „სააქაო“ ბინებია, ანუ, უკეთ, საგვარო სადგომ-თავშესაფარნი.

---

# ნაკვეთი მესამე

## საკულტო ობიექტები

### I

### მენჰირ—ვეშაპ-ვეშაპოიდ—ქალქვა-ქვაკაცნი

მენჰირ—ვეშაპ-ვეშაპოიდ—ქალქვა-ქვაკაცნი—ეს სხვადასხვა სახეა იმ მონოლით-სვეტებისა, რომელთაც ან სრულიად გაუფორმებლად (პრიმიტიულად), ანდა სხვადასხვა ყაიდის გაფორმებით (ზოომორფიზებული ან ანთროპომორფიზებული სახით) მოუღწევიათ ჩვენამდე, ნაირ-ნაირი ფუნქციონალური სემანტიკით აღჭურვილი, მეგალითური კულტურის ნაშთებ შორის.

ასეთი მონოლით-სვეტები, საერთოდ, გვხვდება განცალკევებულად, თითო-თითოდ წარმოდგენილი ამათუიმ ადგილას. მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ისინი მრავლად დაჯგუფებულადაც გვხვდებიან, როგორც, მაგალითად, სომხეთში ორ ადგილას: ზანგეზურის (სისიანის) ს. ყარაქილისას ახლოს მდებარე ე.-წ. „ლოშუნ-დაშ"-ში (სურ. 11) და ეჯმიაწინის მახლობლად მდებარე ს. შამირანში, რომელთაგან პირველი (ლოშუნ-დაში) უფრო გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს იმ მხრივ, რომ შორიდან ნამდვილ სასაფლაოს ემსგავსება, სადაც თითოეული მონოლითი-სტელა (მენჰირი) საფლავის ძეგლს ანუ ობელისკს წააგავს.

როგორც ეტყობა, ხელოვნური მონოლით-სვეტების ასეთი დაჯგუფება იმაზე კი არაა დამოკიდებული, რომ ისინი ნეკროპოლური ძეგლები ყოფილიყვენ, არამედ დამყარებულია რაღაც ძველის-ძველ ტრადიციაზე, ბუნების მოვლენებთან დაკავშირებით და მათი ანალოგიით.

და, მართლაც, საქართველოში მონოლით-სვეტებით (მენჰირებით) და, მათი ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებული, ქვაჯვრებით მდიდარი ალბულაღის რაიონი საშუალებას გვაძლევს იმის გასარკვევად, თუ რის ანალოგიითაა წარმომდგარი მონოლით-სვეტების (მენჰირების) ერთად დაჯგუფების პრაქტიკა.

ამხ. ამხ. ა. მ. აბრამიანმა და ვ. ზ. ზაალიშვილმა თავაზიანად გაგვაცნეს თავიანთი დაუბეჭდავი ნაშრომი რუსულ ენაზე,—Очерки Агбулагского района, სადაც ისინი, სხვათა შორის, ჩერდებიან ალბულაღის რაიონში ცნობილ ე.-წ. „კარაქას სვეტები"-ს აღწერაზე (ტაბ. LV). ისინი, აღნიშნავენ რა იმ მოვლენას, თუ როგორ при выветривании базальта получаются столбчатые отдельности в виде изящных колонн, გვიჩვენებენ შემდეგს: „Таковы, напр., столбы, стоящие, словно привидения, в лесу близ Гударе-

хи—«Гударехские балваны». Особенным изяществом формы отличаются знаменитые Каракские колонны (კარაქის სვეტები). Они стоят в несколько рядов на ровном пьедестале и име-



სურ. 11.

ют форму многогранных призм. Наибольшая из них достигает высоты 13 метров при 9 метрах в обхвате. В Хулутах столбы колоссальных размеров свалились на бок или скло-

нились о скалу, от которой откололись, образовав «тоннели». Одна из таких колонн, по нашим вычислениям, должна весить не менее 700 тонн".

ასეთივე სვეტები (*վիշապ քարեր*) ცნობილია, სხვათა შორის, ზანგეზურშიც.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მონოლით-სვეტებს (მენჰირებს), რომლებიც ცნობილია ევროპაში[1] და რომლებიც თავიანთი სიდიდით არ ჩამოუვარდებიან ე.-წ. „კარაქას სვეტებ"-ს, მაშინ ადვილი გასაგები გახდება მათი გენეზისის ამბავი, კერძოდ ის, თუ პირადად ჩვენ რატომ ვაკუთვნებთ ასეთ მნიშვნელობას ამ სვეტებს, რომლებშიც მონოლით-სვეტების (მენჰირების) პროტოტიპს ვხედავთ.

თვით მონოლით-სვეტები,— იმისდა მიხედვით, რომ მათ ჩვენამდე სრულიად დაუმუშავებელი ან ოდნავად დამუშავებული სახით მოუღწევიათ, გარკვეული ცხოველის სახედ, ანდა კიდევ ანთროპომორფიზებული ფორმით, და, გარდა ამისა, დეფორმირებულთ ფეოდალურს ეპოქაში,—შეიძლება დავყოთ ოთხ ძირითად კატეგორიად:

1) „მენჰირ"-ი (menhir), რაც კელტურად აზიდულ ქვა'ს აღნიშნავს: men—ქვა, hir—მაღალი, გრძელი, აზიდული, და რომლის ექვივალენტებია თურქული „თიქმა-ტაშ" || „თიქილ-ტაშ" და სომხური „თიქ-ქარ" (*Թիք-քար*), დაუმუშავებელი ან ოდნავად დამუშავებული მონოლითები.

2) „ვეშაპი" და „ვეშაპოიდი", აკად. ნ. მ ა რ ი ს ტერმინოლოგიით, თევზის სახისა ანდა მისი მაგვარი, თევზის კულტის ატრიბუტებით აღჭურვილი ობელისკები.

3) „ქალქვა" || „ქვათარძალი" ანუ, ვახტანგ VI-ის ტერმინოლოგიით, „ქვაკაცი" || „ქვაკაცა", რომლის ექვივალენტია მონღოლური „ბალბალ" და უკრაინულ-რუსული каменная баба, პრიმიტიული სტატუები.

4) „ქვაჯვარა"—ობელისკები, ე.-ი. დეფორმირებული (პირველი სამი კატეგორიიდან) მონოლითები.

## 1. მენჰირები

მენჰირები ცნობილია თითქმის მთელი დედამიწის ზურგზე, კერძოდ ამიერკავკასიაშიც, რომელთაგან სომხეთისა კარგა ხანია რაც აღმოჩენილი და გამოქვეყნებულიც არის, ადრიბეჯანისა და საქართველოსი კი მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გამოაშკარავდა.

საქართველოში ჩვენ აღნუსხული გვაქვს შემდეგი მენჰირები, ე.-ი. მონოლით-სვეტების ყველაზე პრიმიტიული ნიმუშები:

---

[1] J. F e r g u s s o n, op. cit., გვ. 57—60 (სურ. 13), გვ. 150 (სურ. 38), გვ. 99 (სურ. 279), გვ. 452 (სურ. 198); J. D é c h e l e t t e, op. cit., გვ. 432 (სურ. 157), გვ. 433 (სურ. 152), გვ. 434 (სურ. 153), გვ. 436 (სურ. 154), გვ. 440 (სურ. 155).

1. მენჰირი ციხისჯვარის ციკლოპური ნაქალაქევის ტერიტორიაზე, საკმაოდ სქელი და ტლანქი, კაცის სიმაღლისა. ლიტერატურაში უცნობია.

2. მენჰირი ალბულაღიდან სამშვილდისაკენ მიმავალი გზის მარცხნივ, პლატოზე, რომელიც სამშვილდეს დასცქერის, დაახლოვებით



სურ. 12.

ოთხწახნაგოვანი კონუსის ფორმისა, კაცის სიმაღლისა (ტაბ. XXXVI); ძალიან წააგავს იმ ეკზემპლარს, რომელიც ცნობილია სომხეთში, ზანგეზურის (სისიანის) ს. ახლათის მახლობლად (სურ. 12). ლიტერატურაში უცნობია.

3. მენჰირი ალბულაღის მახლობლად, 1 კილომეტრის მანძილზე, ს. ალექსეევკასაკენ მიმავალი გზის პირას და ე.-წ. Пьяный курган-ის არემარეში, ჯაგნარში, წაქცეულია (1933 წლიდან).

ლიტერატურაში ფიქსირებულია 1890 წელს ვ. ტეპცოვის მიერ, რომელიც მას შემდეგ სიტყვებში აგვიწერს:

„В версте от Белого-Ключа, к западу, около дороги стоит священный камень. Внизу у основания камень имеет форму цилиндра. Он как бы врыт в землю и, если это правда,—повидимому, на немалую глубину. Часть его над по-

верхностью—более сажени высотою; говорят, что и в глубину он врыт настолько же. Если предположить, что вглубину он врыт только на 1—2 аршина (такая глубина необходима для поддержания данного камня в вертикальном положении), то получится каменный столб в 4—5 арш. высотою, при 1½—аршинном диаметре.

„Камень окружен оградою из булыжника, ничем еще не сцементированного, от чего она часто разрушается, а возобновляется богомольцами. Против входа в ограду на кам-



სურ. 13.

не заметны следы выбитого лика (камень из местной породы андезида).

„Никто доподлинно не знает, откуда взялся этот камень, и почему он здесь стоит уединенно в лесу. Вокруг него не замечается никаких развалин, никакого следа рук человеческих. Предполагали здесь чью-либо могилу, что очень вероятно, но—чья бы это могла быть могила, никто не знает“ [1].

4. მენჰირი წალკის ს. ბურნაშეთის ეკლესიის გალავანში, სიმაღლით 3, სიგანით 0,27×0,57 მეტრამდე, რომელსაც ადგილობრივი სომხები *Սուրբ Գեորգ* სურფ-გეორგ წმინდა გიორგი'ს უწოდებენ (ტაბ. XXXVII a, в); en face-ში წვეტიან ობელისკს წააგავს, ხოლო პროფილში ყპალია ცხოველს. ლიტერატურაში უცნობია.

[1] В. Тепцов. Агбулахские легенды.—„Сборник мат. для опис. м. и п. Кавказа“ IX, 1890, стр. I, стр. 131—136.

5. და 6. მენჰირები წყვილად წარმოდგენილი წალკისავე ს. ყიზილქილისას იალაღზე. რომლებსაც ადგილობრივი სომხები *Ցլլոյին խաչքար* ცლოს ნანგრევებ'ს უწოდებენ, ხოლო თურქები და ბერძნები „საპიტახში"-ს, რაიც ვ ა ხ უ შ ტ ი ს „საპიტიახშო"-ს გადამახინჯება უნდა იყოს[1]. ამათგან პირველის რულიად დაუმუშავებელია და კუთხეში გახვრეტილი (ტაბ. XXXVIII a, в); მეორე კი ცოტად გათლილი, მაგრამ წვერში მოტეხილი, და შემოზღუდულია (ტაბ. XXXIXa, в); ამასთანავე, ეს უკანასკნელი სომხეთის ს. შამირანის ერთ-ერთ მენჰირს წააგავს (სურ. 13). პირველზე გადმოგვცემენ, თითქოს იგი ცხენების დასაბმელად იყო გამოყენებული, ხოლო მეორე ხატად ყოფილა მიჩნეული. ორივე გაქვავებული დაძმაარ; მათგან მეორე *Սուրբ Գէորգ* სურფ-გეორგ წმინდა-გიორგისა. მათი ზომაა: პირველისა—სიმაღლე 1,42 || 1,55 მ., სისქე ზემოდ 0,30×0,62 მ., ქვემოდ 0,54×0,65 მ., სატე (обхват) ზემოდ 1,87, ქვემოდ 2,09 მ. მეორისა: სიმაღლე 2,33, წახნაგი ზევით 0,56, ქვემოდ 0,70, სატე ზემოდ 2,63, ქვემოდ 3,33 მ. ლიტერატურაში უცნობია.

ამ მენჰირთა არემარეში სხვა არავითარი სიძველე არ მოიპოვება, გარდა პატარა ეკლესიისა ქართული ასომთავრული წარწერით აღმოსავლეთ კედელზე, რაც იკითხება ასე: ქ·ე შ-ე ე-ა-ე კთ-ლძე", ე.-ი. „ქრისტე, შეიწყალე ე—ა—ე (ეგნატე, ერასტე?) კეთილაძე". იგი შეიძლება XII—XIII საუკუნისა იყოს.

7. მენჰირი წალკიდან ფარავნის ტბისკენ მიმავალი გზის მარცხნივ, ქეჩუთის მთის ფერდობზე, თიულუდალის გასწვრივ, ე.-წ. „თათართა სასაფლაო"-ს (татарское кладбище) ზემოდ (ტაბ. XL). ადგილობრივ „თიქმა-ტაშ"-ს უწოდებენ. იგი ცილინდრული ფორმისაა, და ძალიან წააგავს ერთ-ერთ იმ ეკზემპლართაგანს, რომელიც შამირანშია დაცული (სურ. 14). ხოლო მისი ზომაა: სიმაღლე 3,5 მ., სატე 3 მ.., გარედან ზევრგან ტყვია აქვს მოხვედრილი: თითქოს ნიშნად ყოფილა გამოყენებული.

ცნობილია სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკებზე, როგორც Столб Тикма-таш.

8. მენჰირი წალკის ს. ს. სანომერ-შიპიაკის მახლობლად, იმავე მინდორზე, სადაც ე.-წ. „თიქილ-ტაშ"-ია (ჩვენს მიერ 1936 წ. აღმოჩენილი). მას დაახლოებით 1 მ. სიმაღლე აქვს (მიწის ზედაპირიდან) და თითქოს ამდენივე უნდა იყოს მიწაში ჩამარხული. ლიტერატურაში უცნობია.

9. მენჰირი ნაქალაქევ სამშვილდის ტერიტორიაზე, მიძინების სახელობის სომეხთა ეკლესიაში ჩრდილოეთ კედელთან (ტაბ. LIV);

---

[1] ამის შესახებ იხ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის,—„მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის", 1934, გვ. 37.



სურ. 14.

ეკლესია, რასაკვირველია, მერმინდელი დროის აშენებულია, ასე ვთქვათ, XI საუკუნის შემდეგ, ხოლო ამ საუკუნით თარიღდება მენჰირის ფასადის შემკობა ჯვარის გამოსახულობითა და სომხური წარწერით (ე.-ი. როდესაც სამშვილდე კვირიკაანთ დედაქალაქად იქცა—1064 წლამდე) [1]; წარწერაში მოხსენებულია „სუმბატ ერის-თავთ - ერისთავი“ (Սմբատ իշխանաց իշխան) [2]. შედარებით მოგვიანო დროში ეს ქვა ფალუსადაა აღიარებული: ეს იქიდან ჩანს, რომ აქ სალოცავად დაიარებიან უშვილო და გასათხოვარი ქალები შესავედრებლად, რათა მათი ნატვრა ასრულდეს, აგრეთვე „მიდგო-მილი“ დედაკაცები მშვიდობიანი მშობიერობისათვის; მეტადრე კი ასეთი ხატობა მიძინების დღეს არის ხოლმე.

ამ მენჰირს 1890 წელს ვ. ტეპცოვი შემდეგ სიტყვებით აგვიწერს:

„В развалинах крепости «Самшвильды», в 3-х верстах от Белого Ключа к югу, есть древняя армянская церковь, в которой раз в год, 15 августа [3], совершается богослужение. В этой церкви около северной стены стоит... громадный камень, украшенный надписями и рисунками. Говорят, что эти надписи нельзя прочитать; оне, будто бы, составлены из букв многих языков. Камень этот, по преданию, в том виде, как он есть, вышел сам из недр земли во времена глубокой древности. Думают, что письмена начертаны ангелом...“ [4].

შემდეგ იგივე ავტორი აღნიშნავს:

„Такой-же формы каменный столб стоит при входе в развалины древнего города и крепости Самшвильды. Ему не поклоняются, но и про него говорят, что он вырос из земли“ [5].

10. მენჰირი წალკის ს. ჩოლაყის მახლობლად მდებარე ხატის—„აღ-კონსტანტინ“-ის ეკლესიაში (ტაბ. LII, LIII), რომელიც, რასა-

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, ტფ. 1928. გვ. 27—28.

[3] იხ. M. Brosset,—„Mélanges Asiatiques“, t. II, 1856, p.p. 96—98. *Ս. Ջալալեանց, Ճանապարհորդութիւն ի Մեծն Հայաստան,* II, *1858, եջ 79. Ղ. Ալիշան, Նշմարք հայկականք, Ա. պրակ, եջ* 18. ლ. მელიქსეთ-ბეგი, op. cit., გვ. 28, შენ. 5; *Լ. Մելիքսեթ-Բեկ, Վրաց աղբյուրները Հայաստանի և հայերի մասին,* I, *Երևան* 1934, *էջ* 212, *ծան.* 28.

[3] უნდა იყოს: приблизительно около 15 августа по подвижному армянскому календарю, в день успения. ლ. მ.-ბ.

[4] В. Тепцов, Агбулахские легенды, ц. изд., стр. 136—137.

[5] იქვე, 137.

კვირველია, მერმინდელი დროის აშენებულია, როდესაც, შესაძლებელია, თვით ქვაზე ფასადით გამოუსახავთ ვეებართელა ჯვარი უწარწეროთ. როგორც ეტყობა, მენჰირი ეკლესიის აშენებამდე კრომლეხით ყო-



სურ. 15—17.

ფილა შემოზღუდული, რომლის ნაშთს დღემდე მოუღწევია ეკლესიის გარედან, ჩრდილოეთ-დასავლეთ მხრიდან, ხოლო მეორე ნაშთი წარმოდგინილია თვით იმ ტრადიციაში, რომლის თანახმადაც მერმინდელი დროის „ციკლოპურ“ ზღუდეს ახლავს ორი კარი: აღმოსავლეთით და დასავლეთით. მენჰირი ჩარჭობილია ვეებართელა ქვაკლდეში; ზომა მონოლითისა: სიმაღლე 3,90 მ.; სიგანე 1,12, შუაში 1,15, ქვევით 1,00, ფუძეში 0,85; სატე ზევით 3,10, შუაში 3,05, ქვევით 2,90, ფუძეში 2,55; სისქე 0,50. ლიტერატურაში უცნობია.

## 2. ვეშაპ-ვეშაპოიდები

მონოლითს, რომელიც თევზის გამოსახულობისაა, ნ. მარი პირობითად „ვეშაპ“-ს უწოდებს, იმის გამო, რომ თვით ის ადგილი, სადაც ასეთი მონოლითები (სურ. 15—17) პირველად აღმოჩნდა, ცნობილია სომხური სახელწოდებით Վիշապներ ვიშაპნერ, რაიც ვეშაპებ'ს ნიშნავს, ხოლო თურქულად „აჟდაჰა-იურტ“, რაც უკავშირდება

მოსე ხორენელის ისტორიაში წარმოდგენილ პერსონაჟს—ვაჰაგნ ვიშაპაქაღ'ის, ე.-ი. ვეშაპთ-მებრძოლისა, და აჟდაჰაკის სახით[1]. ამიტომაც აკად. ი. სმირნოვი ამბობს: „Исходя из современного названия этих каменных рыб «драконами», т.-е. аждагак'ами, у тюрок, и вишап'ами у армян, он (Н. Я. Марр) дал сопоставление разного рода литературных и лингвистических данных о последнем слове и соединенных с ним народных представлениях“ [2]. ხოლო თვით ნ. მარის დასკვნა ამ საკითხში ასეთია: „В рыбах-чудовищах намечаются местные боги «вишапы», сказания о которых, в виде переживаний, сохранялись в армянском народном эпосе до VIII-го—XI-го века по р. хр. и позднее“ [3].

თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ მონოლითების „ვეშაპებ“-ად წოდება, ჩანს იქიდან, რომ თქმულებები ვეშაპთა შესახებ, საერთოდ, ძალიანაა გავრცელებული სომხურ ფოლკლორში, ისევე როგორც გველაშაპთა შესახებ ქართულში, რის გამოც შესაძლებელი ხდება ამ ორი ცნების გათანასწორება.

მაგრამ ამ თევზ-მონოლითებით სრულიადაც არ ამოიწურება ნივთიერი კულტურის ის ობიექტები, რომლებიც თევზ-ღვთაებასთან არიან დაკავშირებულნი: აღმოჩნდა ისეთი მონოლითები, რომლებიც, თუმცა თევზის გამოსახულობისა არ არიან, მაგრამ თევზის კულტის ატრიბუტებს კი შეიცავენ, ხშირად თევზის თვალის, ყბის და ლაყუჩების გამოსახულობას. მონოლითთა ამ კატეგორიას ნ. მარმა აგრეთვე პირობითად (და, რასაკვირველია, სამართლიანად) „ვეშაპოიდი“ უწოდა.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ გამოვუდგებით იმის აღნუსხვას, თუ თვით ნ. მარის მრავალ ნაშრომებში, 1912 წლიდან მოყოლებული 1931 წლამდე, თანდათანობით როგორ ირკვევოდა პრობლემა

---

[1] Н. Марр и Я. Смирнов, Вишапы, 66. შდრ. გრიგოლ მაგისტროსის ცნობა X ს. (*Գրիգոր Մագիստրոսի Թղթերը, հրատ. Կ. Կոստանեանց, Ալեքսանդրապոլ 1910, էջ 216*): *Ձուկն Աժդահակ կոչեցեալ*—„აჟდაჰაკად წოდებული თევზი“.

[2] იქვე, 66.

[3] Н. Марр, Кавказ и памятники духовной культуры, 1912, стр. 77 = 1919, стр. 15.

ვეშაპ-ვეშაპოიდებისა[1], რომლებიც თევზ-ღმერთებად (ტოტემებად) იქნენ აღიარებულნი და, აქავე დროს, პროტოტიპებად „ვეშაპ-მებრძოლთა“: წმ. გიორგისა საქართველოში და წმ. სარგისისა სომხეთში[2]. მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ამ ძეგლების აღმოჩენით და მათი

---

[1] იხ. ლიტერატურა: Н. Марр—Из поездок в Сванию,—„Христ. Восток“, т. II. в. 1, 1913, стр. 6; О религиозных верованиях абхазов,—იქვე, т. IV, 1915. стр. 120; Кавказский культурный мир и Армения,—„Журнал Мин. Нар. Просв.“. 1915, стр. 11. Описание дворцовой церкви в Ани [Анийская серия I], Пгр. 1916. стр. 25; Записка... о Кавказском Историко-Археологическом Институте,—„Известия Акад. Наук“, 1917, стр. 985, ср. 990; Ossetica-Japhetica, I,—იქვე, 1918, стр. 2091; Книжная легенда об основании Киева на Руси и Куара в Армении,—Изв. Гос. Акад. ист. мат. культуры, т. III, 1924, стр. 278 = „Избранные работы“, т. V, 1935. стр. 59; *Հայկական մշակույթը, նրա արմատները և նախապատմական կապերը ըստ լեզվաբանության, Փարիզ* 1925, *էջ* 20-21; Армянская культура, ее корни и доисторические связи по данным языкознания,—„Язык и история“, I, Лнгр. 1936, стр. 82; Яфетические зори на украинском хуторе (Бабушкины сказки о Свинье-Красном Солнышке),—„Ученые Зап. Института этн. и нац. культур народов Востока“, I, М., 1930, стр. 75; და სხვ. И. А. Орбели, Армянское искусство.—„Новый Энциклопедический Словарь Брокгауз-Ефрона“, т. III. столб. 664; В. В. Бартольд и Я. И. Смирнов, Отзыв о трудах Н. Я. Марра по исследованию древностей Ани,—„Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, т. XXIII, стр. 409—410. по отд. оттиску 37—38; *Վ. Բրյուսով, Սֆինքսներ և վիշապներ,—«Գործ» (Բաքու)* 1917, № 5—6, *էջ* 120—126; И. И. Мещанинов, Каменные статуи рыб—вишапы на Кавказе и Северной Монголии,—„Записки Коллегии Востоковедов“, т. I, 1925, стр. 401—409; *Վիշապները (ըստ Ն. Մառի),—«Հայ մշակույթի օրը» (Փարիզ)*, 1932, *էջ* 64—75; Franz Hančar, Probleme des kaukasischen Tierstils (Sonderabdruck aus den Mitteilungen der Anthropologischen Gesellschaft in Wien, B. LXV, Wien 1935. etc.

[2] Н. Марр, Описание дворцовой церкви в Ани, стр. 25; მისივე Книжные легенды об основании Киева на Руси и Куара в Армении, ц. м..—აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ. აღვნიშნოთ სათანადო ლიტერატურა „ვეშაპთ-მებრძოლის“ წმ. გიორგის შესახებ: Кирпичников, Св. Георгий и Егорий Храбрый,—„Журн. Мин. Нар. Просв.“, 1878, декабрь—1879, январь; А. Веселовский, Разыскания в области русских сюжетов. II. Св. Георгий в легенде, песне и обряде (Приложение к т. 37 „Зап. И. Акад. Наук“ 1880 г. № 3); В. Рыстенко, Легенда о св. Георгии и драконе в византийской и славяно-русской литературах, Одесса 1909; მისივე. Новогреческая обработка легенды о св. Георгии и драконе, Одесса 1909; K. Krumbacher, Der heilige Georg in der griechischen Überlieferung, München 1911; А. С. Хаханов, Грузинский извод сказания о св. Георгии, Москва 1892; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. I. 3, ტფ. 1928. გვ. 43—54: Л. Меликсет-Беков, Страна св. Георгия, — „Изв. Кавк. Отд. Рус. Геогр. О-ва“, т. XXII, 1916, № 2, стр. 222—228; *Ա. Մատիկյան, Դիցաբանական շունը յարաբերութեամբ Միքայէլ-Գաբրիէլ հրեշտակներու և Ս. Սարգիսի,—«Հանդէս Ամսօրեայ» 1927, էջ 43—55*; იგივე, *Արայ գեղեցիկ [«Ազգային Մատենադարան» 126], Վիեննա 1930, էջ 147—170*; „Большая Советская Энциклопедия“, т. XV, стр. 400; და სხვ.

სემანტიკის გარკვევით საბოლოოდ დაიმსხვრა სომხურს ლიტერატურაში ოდესღაც გამოთქმული მოსაზრება, თითქოს სომხეთში, როგორც ზღვებს დაშორებულ ქვეყანაში, თევზის კულტს ადგილი არ ჰქონდათ[1]. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ, როგორც თავის დროზე ი. ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ მ ა ც სამართლიანად აღიარა, ამის სასარგებლოდ მოწმობს ეპიგრაფიკული ძეგლები, ქალდური წარწერები, რომლის თანახმადაც მრავალ საუკუნეთა წინ ქ—მდე სომხეთში თევზ-ღმერთის, ვეშაპთა ღვთის, ტეიშბას ბომონიც (ტაძარიც) კი ყოფილა[2].

ვეშაპ ვეშაპოიდების პრობლემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეთაგანია მათი დათარიღების საკითხი, რის შესახებაც ნ. მ ა რ ი ს მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული იყო შემდეგი მოსაზრებანი:

ა) „Судя по всему, наши вишапы предшествуют появлению арийцев не только в Армении, но и вообще в Передней Азии, они предшествуют, по всей видимости, и эпохе клинообразных надписей во всяком случае Армении. Важнее отсутствия надписи то, что ни на одном памятнике нет ни малейшего намека на изображение человеческой или хотя бы получеловеческой фигуры. Если правильна наша догадка, что в головах животных имеем тотемическое изображение известных племен, то вне спора может стоять принадлежность наших вишапов и неразлучных с ними звериных камней к сравнительно более простым видам памятников первобытной религии“ (1910)[3].

ბ) „С вишапами мы достигаем предела культурно-исторической перспективы Кавказа, открываемой его вещественными памятниками. Дальше не идут и древнейшие кавказские могильники. Это, казалось бы, дно. До этих глубин не доходят и памятники языческой письменности, клинообразной, во всяком случае местной ванской системы. На них, на вишапах, не указать разнообразных влияний

---

[1] მაგალითად, ხ. ს ა მ უ ე ლ ი ა ნ ი ს მ ი ე რ (*Տոտեմիզմը հայոց մէջ,—«Բանբեր Հայ. Գրակ. Ինստիտուտի»*, I—II, *1921—22, էջ 16*): *«Շատ քիչ, գրեթէ ոչինչ չենք գտնում [Հայաստանում] ձկնակերպ պաշտամունքից, որովհետև չկային ծովեր իրենց բազմատեսակ ու խոշոր ձկնային ներկայացուցիչներով, որոնք ազդէին նրա մտապատկերներին։ Հայը ապրել է ծովերից հեռու, իսկ Հայաստանի լճերի ու գետերի ձկները չէին ներկայացրել բնութեան մէջ այն ույժը, որ հաշվի առնէր նախնական հայը»*.

[2] И. Мещанинов, Каменные статуи рыб—вишапы на Кавказе и в Северной Монголии, стр. 401—409.

[3] Н. Марр и Я. Смирнов, Вишапы, стр. 103.

извне, осложняющих все позднейшие культурноисторические вопросы о Кавказе“ (1912)[1].

გ) ვეშაპები არიან—„археологические памятники с давностью не менее одного тысячелетия до Р. Хр.“ (1915)[2].

დ) ვეშაპები, როგორც არქაიკული კულტურის ნაწარმოებნი („ვეშაპთა“ ეპოქის), მოთავსებულნი არიან „პრექრისტიანულ არქაიკულ სიძველეთა ჯგუფში, რომელიც ქრონოლოგიურად უნდა განისაზღვროს „с V тысячелетия до Р. Хр. до V столетия до Р. Хр.“ (1917)[3].

ე) თევზი მონოლითი, წყლის ღვთაება, ე.-ი. არქაიკული ვეშაპი, დამოწმებულიაო циклом скульптурных произведений с датой многих веков до Р. Хр.“ (1918)[4].

ვ) მოხსენებულია „каменные исполинские рыбы, сделанные за четыре-пять тысячелетий до н. э. вишапы“ || „статуи вишапов, или каменных рыб, памятники по крайней мере пятого тысячелетия до н. э.“ (1925)[5].

ვეშაპ-ვეშაპოიდების დათარიღების ჩარჩოებს შედარებით აზუსტებს ი. მეშჩანინოვი, როდესაც არკვევს საკითხს მათი (ვეშაპ-ვეშაპოიდების) დამოკიდებულებისას ქალდურ კულტურასთან.

„Творцами этих каменных рыб не могли быть халды,— ამბობს ი. მეშჩანინოვი,—потому, что первые ванские цари, проникшие в интересующий нас район [Севана], были Сардур и сын его Руса, из которых первый упоминает о стране Удури-Этиуни[6], а второй говорит про храм бога вишапа (Теишбы), но не про построение им такого храма, а про восстановление древнего культового места... «бога Теишбы этот храм разрушенный я восстановил»[7]. Следовательно, Руса сын Сардура, в VIII веке до н. э., уже застал здесь храм вишапов, очевидно существовавший до его прихода в в пределы Этиуни“[8].

„Таким образом,—დაასკვნის იგივე მკვლევარი,—с большим основанием можно приписать каменных рыб местному в то время населению, а не пришлым ванским завоевателям,

---

[1] Н. Марр, Кавказ и пам. дух. культ., 1912, стр. 77=1919, стр. 15

[2] Н. Марр, Кавказский культурный мир и Армения, стр. 11.

[3] Н. Марр, Записка... о Кавк. Ист.-Арх. Инст., стр. 985, ср. 990.

[4] Н. Марр, Ossetica-Japhetica, I, 2091.

[5] *Ն. Մառ, Հայկական մշակույթը* = Н. Марр, Армянская культура,—„Язык и история“, I, 69, 82.

[6] შენიშვნა: „Атамханская надпись, МАК, V, 115, стр. 7“.

[7] შენიშვნა: „Севанская надпись из Кёлана-Кирланы, МАК V, 124, 130, стр. 17“.

[8] И. Мещанинов, ц. с., стр. 402—403.

воздвигавшим храмы своему богу Халду и имевшим Теишбу не на первом, а на втором месте своей божественной троицы"[1].

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რანაირ—ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ—მდგომარეობაში იყვნენ ვეშაპ-ვეშაპოიდები, ამის შესახებ ი. სმირნოვის მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ „вертикальное, обычное для разного рода менгирообразных мегалитических памятников, положение исключается..., как не свойственное рыбе"[2], რაც, როგორც ჩვენ გვგონია, მცდარია, რადგანაც ამას ეწინააღმდეგება ამ ვეშაპ-ვეშაპოიდებზე გამოსახული ფიგურების მოყვანილობა, რომელიც, საერთოდ, ვერტიკალურ იიმართულებაშია მოცემული ხოლმე. ასევე ფიქრობს ი. მეშჩანინოვი, რომელსაც ამბობს: „Самая схема орнамента вполне подтверждает предположения... о стоячем положении вишапа головою кверху, так как рисунок идет не в горизонтальном, а вертикальном положении"[3].

დასასრულ, სანამ საქართველოს ვეშაპ-ვეშაპოიდების აღწერაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ასეთი ძეგლები აღმოჩენილია სხვადასხვა ქვეყნებში, პირველ ყოვლისა სომხეთსა და საქართველოში, აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში, ჩრდილო მონღოლეთში (ენისეის სათავეში)[4] და სხვაგან. უკანასკნელ ხანს ჩვენში ხილგებულ იქნა ცნობა, თითქოს ასეთი ძეგლები ირანშიც იყოს აღმოჩენილი.

სომხეთის შემდეგ ჯერ საქართველოს, ხოლო უკანასკნელად ჩრდილო კავკასიასა და სხვა ქვეყნებში ვეშაპ-ვეშაპოიდების აღმოჩენით, სხვათა შორის, მოპოვებულ იქნა სწორი მეთოდოლოგიური ხერხები ამ ძეგლების შესწავლისათვის, კერძოდ, ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა მათი იმთავითვე ვერტიკალურად თუ ჰორიზონტალურად დგომა. და სწორედ ის ფაქტი, რომ საქართველოს ვეშაპ-ვეშაპოიდები, მხოლოდ ერთის გამოკლებით, ვერტიკალურს პოზიციაში არიან აღმოჩენილი, ამაგრებს იმ დებულებას, რომ სომხეთის ვეშაპ-ვეშაპოიდებიც გარკვეულ დრომდე ვერტიკალურად უნდა მდგარიყვნენ, ხოლო შემდეგ მათ კატასტროფა მოევ-

---

[1] იქვე, 403.

[2] Н. Марр и Я. Смирнов, Вишапы, стр. 61.

[3] И. Мещанинов, ц. с., стр. 402.

[4] იქვე, გვ. 407—409. სხვათა შორის, 408 გვერდზე ნაჩვენებია სათანადო ლიტერატურა (რადლოვი, პოზდნეევი, გრანო). შდრ. აგრეთვე: А. П. Окладников, Каменные рыбы,—„Советская Археология" № 1, стр. 15—245.

ლინათ „ვეშაპთმებრძოლთა" (*Վիշապաքաղ*)[1] წყალობით, რომლებიც ახალი იდეოლოგიის (სარწმუნოების) მისიონერები ან აგენტები იყვნენ იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რითაც ეს ახალი იდეოლოგია (ასე ვთქვათ, მნათობთ ან ცეცხლთაყვანისმცემლობის სახით) გზას იკაფავდა გამარჯვებისა და გაბატონებისათვის.

1 და 2. ორი ვეშაპ-ვეშაპოიდი, ერთიმეორისაგან 1 კილომეტრის დაშორებით, ს. მურჯახეთსა და მის მახლობლად მინდორში,—რომელთაგან ერთი ახლაც დგას, ხოლო მეორე წაქცეულია.

ერთი ამ მონოლითთაგანი ლიტერატურაში პირველად ფიქსირებულია ჯერ კიდევ 1892 წელს ე. ლალაიანის მიერ, რომელმაც სომხურ ენაზე დაწერილ სათანადო ნაშრომში ჯავახეთის ფოლკლორის შესახებ წარმოადგინა როგორც ამ ძეგლის შესახებ არსებული ლეგენდის შინაარსი, ისე (შენიშვნაში) მისი ზოგადი აღწერა და მასთან დაკავშირებული წესების მოკლე აღნუსხვაც. მონოლითს იგი, ე. ლალაიანი, იხსენიებს *կաթ-քար* კათ-ქარ რძის-ქვა'ს სახელწოდებით[2]. შემდეგში ამავე ე. ლალაიანმა ეს თვისი აღწერა გაიმეორა 1931 წელს[3]. ხოლო ამ მონოლითს, ე. ლალაიანის 1892 წლის მითითების გავლენით, იხსენიებს ხ. სამუელიანიც 1927 და 1931 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებში[4]. ორსავე სომეხ მკვლევარს ეს ძეგლი „რძის-ქვა"-დ მიაჩნდათ და მათ ისინი ფალუსის კულტს დაუკავშირეს.

ე. ლალაიანის შემდეგ როგორც ეს მონოლითი, ისე მეორე—წაქცეულიც, აღწერილი იყო ივ. როსტომაშვილის მიერ, ჯერ (1898) რუსულად, შემდეგ კი (1901) ქართულადაც. ი. როსტომაშვილის ცნობით, პირველ მათგანს ადგილობრივი ქართველები „ძუძუს-ქვა"-ს უწოდებენ. ამ ძუძუს ქვაზე ამობურთულად ამოჭრილია მამაკაცის ასო—ფალუსიო, რომელსაც სასწაულებრივ ძალას აწიჭებენ ძუძუს რძის მოცემა-მოპატებაში; ამიტომ ქალები მას თაყვანსა სცემენ, საკმელს უკმევენ და ზედ ქონს ან ზეთს სცხებენო. რაც შეეხება მეორე ქვას, ის ი. როსტომაშვილის დროსაც წაქცეული და ნახევრად მიწაში ჩაფლული ყოფილა, და მას იგი ხელის

---

[1] შდრ. Н. Эмин, Вахаги Вишапаках,—„Труды Вост. Отд. Рус. Арх. О-ва", ч. XVII, стр. 93—129, отт. Спб. 1873, стр. 1—37 (=Исследования и статьи Н. О. Эмина по армянской мифологии, археологии и истории литературы (за 1858—1884 г.), М. 1896, стр. 61--84.

[2] *Ե. Լալայեան, Ջաւախքի բուրմունք, Թ. 1892, էջ 53 և ծանոթ. 1.*

[3] *Ե. Լալայան, Դամբանների պեղումները Խորհրդային Հայաստանում, էջ 202—203.*

[4] *Խ. Սամուէլեան, Ֆալի պաշտամունքը հայերի մէջ, —«Հանդէս Ամսօրեայ» 1927 № 9, էջ 524. Խ. Սամուելյան, Հայաստանի հին կուլտուրան, I, 1931, էջ 319—320.*

შეყოფით გაუსინჯავს, და ქვას თურმე ორი ჩაღრმავებული ადგილი ჰქონია. მეორე სვეტს ჯავახელნი პირველის ძმას უწოდებენ[1].

ხალხური გადმოცემით, ერთხელ მურჯახეთს მტერი შემოესია და ერთი ახალგაზრდა ვაჟი ტყვედ ჩაიგდოო. როდესაც მიჰყავდათ, მას დაი დასდევნებია და უთქვამს: ღმერთო, გამაქვავეო! ორივე—და-ძმა გაქვავებულან იმავე ადგილას, სადაც ისინი მაშინ მოჰყვენ[2].

იმავე გადმოცემით, რაც ჩვენ პირადად მოვისმინეთ ადგილობრივ 1923 და 1929 წ.წ., ქალს თურმე მარინე ჰრქმევია. ამიტომაც პირველ ქვას „მარინე“ ეწოდება, ძმის სახელი კი უცნობია. კერძოდ, ამ მეორე მონოლითზე (ძმისაზე) ი. როსტომაშვილი 1898 და 1901 წ.წ. სწერდა: „იგი წაქცეულია და ამიტომ თქმა რისამე მის შესახებ, სანამ ააყენებდნენ, შეუძლებელია. ურიგო კი არ იქნებოდა, რომ ვისმე გაემეტნა საამისო ხარჯი და სვეტი აეყენებინათ და აეწერათ, მით უმეტეს, რომ ამ საქმეს დიდი ფული და მუშა არ დასჭირდება“[3].

ამ მონოლითების ნახვა ე. თაყაიშვილსაც მოუხდა 1902 წელს; ხოლო მისი აღწერა გამოქვეყნდა 1909 წელს, როდესაც, სხვათა შორის, აგრეთვე გამოქვეყნდა პირველად „დის“ (მარინეს) სურათი ფასადით[4]. ამასთანავე, ამ პირველი მონოლითის რელიეფის შეფასებაში ე. თაყაიშვილი იმეორებდა იმას, რაც მასზე წინ გამოთქმული იყო ი. როსტომაშვილის მიერ, რომელიც ამ ძეგლში ხედავდა ობელისკს с выпуклым изображением фалла, свидетельствующим о старинном культе в этих местах производительной силы в природе“[5]. ასევეა ე. თაყაიშვილით: „Камни эти служат доказательством того, что культ Фаллуса был распространен и на Кавказе“[6].

საკმარისი იყო, ე. თაყაიშვილს გამოექვეყნებია პირველი მონოლითის სურათი, რომ ნივთიერი კულტურის სპეციალისტებს (პირველ ყოვლისა, აკად. ი. სმირნოვს) ეჭვი შეეტანათ მისი სემანტიკის შეფასებაში, რამდენადაც იგი წინა მკვლევართა მიერ ფალუსად იყო მიჩნეული და რამდენადაც ამ ხანებშივე (1909—1910) უკვე აღმოჩენილი იყო გელამის ვეშაპები.

მურჯახეთის მონოლითის სემანტიკის გადაფასებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ხწ განსვენებულმა სილიბისტრო ლომიამ,

---

[1] И. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, стр. 93—94=მურჯახეთისა და განძის სვეტები,—„მოგზაური“ 1901 წ. № 1, გვ. 32.

[2] იქვე.

[3] იქვე, 94 (32).

[4] Е. Такайшвили,—„Материалы по археологии Кавказа“, т. XII, М. 1909, стр. 28, там-же, рис. 13.

[5] И. Ростомов, ц. с., ц. м.

[6] Е. Такайшвили, ц. м.

რომელსაც თავისი აზრი მიუწოდებია აკად. ნ. მ ა რ ი ს ა თ ვ ი ს ჯერ კიდევ 1917 წლამდე: „Еще в первых попутных своих наблюдениях,—სწერდა ნ. მ а რ ი,—Л о м и е ю было обращено внимание на Мурджахетскую стелу близ Ахалкалака, в описании Р о с т о м о в а и в определении Е. С. Т а к а й ш в и л и (как фалл), вызывавшую сомнение покойного Я. И. С м и р н о в а и подозрение, не имеем ли в ней вишапа. Совершенно ясно описанные и сопровожденные рисунком ее детали в первом, еще устном, докладе о личной его, Л о м и и, поездке меня убедили, что в памятнике мы действительно должны иметь дело с вишапом. В дальнейшем это подтвердилось при личном осмотре (стел оказалось пара), и, таким образом, благодаря покойному Л о м и и днем раньше установлено, что район распространения вишаповидных стел не ограничивается Гехамскими горами в Эриванской губернии, доходя на северо-запад до верхнего течения Куры, до Ахалкалака“ [1].

ასეთივეა დაახლოებით ამავე ნ. მ ა რ ი ს შეფასება მურჯახეთის მონოლითებისა, როდესაც იგი ერთი სხვა შემთხვევის გამო გაკვრით აღნიშნავდა, რომ „значительно севернее [от Даш-Керпи], в сел. Мурджахете близ г. Ахалкалака, имеются стелы, обыкновенно встречающиеся с «вишапами» или каменными рыбами-великанами“ [2].

ახლა სრულიად გასაგებია ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ს განცხადებაც 1922 წლის თარიღით: „Если столь ярко выраженные рыбы-вишапы действительно обнаружены пока только у Севанского озера, то все же круг их распространения не может ограничиться даже одним Закавказьем. Дело в том, что не только вишапы с. Мурджахета Ахалкалакского уезда Тифлисской губернии, но и часть вишапов Гехамских гор отделяется от другой их части, от тех, в которых ярко выражены рыбьи формы. Мы имеем две разновидности: вишапов и вишапоидов, то-есть пережиточных вишапов, сохранивших тот же орнамент, но уже со стилизованным глазом и жабрами на верхнем крае четырехугольного каменного обелиска. Однако, совместное нахождение последних с реальными рыбами-вишапами на Гехамских горах и одина-

[1] Н. Марр, Памяти И. Ч. и Д. А. Кипшидзе и С. Ломия,—„Христ. Восток“, т. VI (1917—1920), в. 3, Пгр. 1922, стр. 335.

[2] Н. М а р р и И. О р б е л и, Археологическая экспедиция 1916 года в Ван, Пгр. 1922, стр. 41 (ნ. მ ა რ ი ს სტატია).

и все в природе, понимали человеческую речь и могли сами передвигаться. Когда люди захотели построить Зильде Машиг, они пригласили к себе в гости камни и попросили их, каждый особо, стать на указанное им людьми место. Так был построен Зильде Машиг" [1].

შენიშვნაში იგივე მკვლევარი მიგვითითებს, რომ Легенда имеет общее с греческой легендой о построении стен города Трои [2].

ქართულ ტერმინ „გმირ"-ისა და ოსურ „ვაჲგ"-ის ექვივალენტად სომხეთსა და ადრიბეჯანში ცნობილია „ოღუზ"-ი [3].

„გმირთ ნასახლარი"-ს ნაცვლად ზოგჯერ „დევის-ნასახლარ"-საც ხმარობენ, რომელთანაც, რასაკვირველია, არავითარი კავშირი არა აქვს „დევის-ხვრელს" შორაპნის მახლობლად [4], „დევის ნამუხლს" მცხეთის მიდამოში [5] და „დევის-პინებ"-ს ფასანაურის ახლოს [6].

მთელ რიგ ნაშრომებში აკად. ნ. მარს ის დებულება აქვს წამოყენებული, რომ ქართული ტერმინი „გმირი", რომელიც ოსურში გამოითქმის „გუმირ"-ის სახით, ტოტემური სახელწოდებაა, სწორედ ისე, როგორც, მაგალითად, სომხური հսկայ, რაც აგრეთვე გმირ-ს ნიშნავს, sk—> skuϑ || sk-ol-ot-ს უკავშირდება. ამ „გმირ" || „გუმირ" ანუ, რაც იგივეა, „გომერ"-ის საკითხს იგი ეხებარუსულ кумир-ის საკითხთან დაკავშირებით, და ამბობს: „По преданиям, раньше Нартов в Осетии жили Уäiгута и Гумиріта. Вероятно, в последнем названии скрывается собственное имя древнего народа киммерийцев, библейск. Gomer' ассир. Gimirrai, греч. Κιμμέριοι, как и в нашем кумир"; ამასთანავე დასძენს: „Известно, что имена древних народов, иногда автохтонов, нередко принимают значение великанов", აგრეთვე: „весь кавказский мир пропитан этим „гумир"-измом" [7].

---

[1] იქვე, 88.

[2] იქვე, 96, შენ. 15.

[3] იხ. Л. Берже, Кавказ в археологическом отношении,—„Записки О-ва Люб. Кавк. Археологии", I, 1875, стр. 8.

[4] „დროშა" 1929 წ. № 3, გვ. 14—15.

[5] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გამ. მ. ჯანაშვილისა, 76.

[6] Л. Меликсет-Беков, Предварительный отчет о поездке в Гудамакарское ущелье и в Юго-Ос[ет]ию летом 1925 г.,—„Известия Кавк. Ист.-Арх. Института", т. IV, Тфл. 1926, стр. 133—134. შდრ. ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ. 1930, გვ. 14, შენ. 1.

[7] Н. Марр, О числительных,—„Языковедные проблемы по числительным", Лнгр. 1927, стр. 23 и прим. 2 там-же = Избранные работы, т. III, 1934, стр. 260 и прим. 1 там-же; Н. Марр, К вопросу об историческом процессе с точки зрения яфетической теории,—„Труды 1-й Всесоюзной Конференции историков-марксистов", т. II, стр. 284= Избранные работы, т. III, 165—166.

ковая их орнаментовка об'единяет обе разновидности в общую массу культовых памятников одного значения"[1].

მურჯახეთის მონოლითის გამოცნობა მისი რელიეფების მიხედვით რომ არც იმდენად ადვილი საქმე იყო, ჩანს იქიდან, რომ აკად. ი. სმირნოვსაც კი თავის დროს (1910 წ.), როდესაც იაფეტური პალეონთოლოგია არამცთუ ჩამოყალიბებული არ იყო, ჯერ არც კი არსებობდა, სავსებით ნათელი წარმოდგენა არ ქონდა ამაზე, და, თუ მკაცრად არ იქნება ნათქვამი, დაცოცავდა გაურკვევლობაში, ისევე, როგორც მას შემდგომაც მრავალ წელთა განმავლობაში აკად. ნ. მარი და ი. მეშჩანინოვი: აღიარებდა რა ამ მონოლითს ანალოგიად იმ „უცნაური მეგალითური ძეგლისა", რომელიც მას გელამის მთებში ენახა, ი. სმირნოვი აცხადებდა, რომ „იმ დიდი შავი ქვის გაურკვეველ სურათზე", რომელიც გამოქვეყნებულია Материалы по археологии Кавказа-შიო, „я усматриваю, в верхней по крайней мере части камня, бычью голову и лапы, подобные стеле Аждага-юрта". ამას იგივე მეცნიერი დასძენდა: „К сожалению, Е. С. Такайшвили, видевший камень в натуре, об'ясняет изображение совсем иначе"[2].

სანამ ჩვენ გამოვსთქვამდეთ ჩვენს პირად შეხედულებას ამ მონოლითისა და მისი რელიეფის სემანტიკის შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ დოც. ს. მაკალათიას გამოსვლა 1926 წელს ამ საკითხის გასარკვევად, რომელიც მისთვის საბოლოოდ მაინც გაურკვეველი დარჩა. აღწერს რა მოკლედ მონოლითს ი. როსტომაშვილისა (1898) და ე. თაყაიშვილის პუბლიკაციების თანახმად, თანაც ი. სმირნოვისა, როსტომაშვილისა (1898), ს. ლომიას და ნ. მარის დასახელებით,—ს. მაკალათია დაბოლოს აცხადებს: „სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ გვქონია საშუალება მურჯახეთის ძუძუს ქვა დაგვეთვალიერებია, რომ საკუთარი აზრი შეგვედგინა მისი ფალუსობისა და ვეშაპობის შესახებ"[3].

ასეთი განცხადება, ჩვენის აზრით, არც მეტი და არც ნაკლები, დეზორიენტირების შედეგია: თითქოს შეუძლებელი იყოს, რომ ერთიდაიგივე ქვა არსებითად ვეშაპი ყოფილიყოს, ხოლო შემდეგში იგი აღექურვათ ფალუსის სემანტიკით, რამდენადაც ამათუიმ ქვების დაკავშირება ფალუსის კულტთან, როგორც დოკუმენტალურად ირკვევა, შედარებით გვიანდელი დროის ამბავია და იგი ვეშაპ-ვეშაპოიდების მიმართ ჰომოქრონიულ ასპექტში უნდა იყოს განხილული და არა სინქრონიულში.

---

[1] И. Мещанинов, Каменные статуи рыб—вишапы etc., стр. 405

[2] Н. Марр и Я. Смирнов, Вишапы, 63—64.

[3] ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში,—„მიმომხილველი" I, ტფ. 1926, გვ. 126—127.

და მართლაც, მურჯახეთის მონოლითის „ძუძუს-ქვა“-დ ანდა „რძის ქვა“-დ (*կաթ-քար*) გადაქცევა რომ მერმინდელი დროის ამბავია, ფალუსის კულტთან დაკავშირებით, იქიდან ჩანს, რომ მას არ ახლავს არავითარი ატრიბუტი ამ კულტისა, მაშინ, როდესაც იგი თავიდან ბოლომდე „ვეშაპობით“ არის გამსჭვალული.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს მონოლითი, რომელსაც სიმაღლით 2,90 მეტრი აქვს, სისქით 0,70 მ., სატე 2,55 მ., და მიმართულია დასავლეთისაკენ (ტაბ. XLVIIa), თავიდან ბოლომდე ორივე (ჩრდილოეთ და სამხრეთ) მხრიდან თევზის სახისაა (ტაბ. XLVIII a, в). ხოლო რაც შეეხება მის რელიეფს ფასადის პირზე, აქ არც ფალუსის გამოსახულებაა[1], როგორც ი. როსტომაშვილსა და ე. თაყაიშვილს ეჩვენათ, არც თევზის თვალისა და ლაყუჩისა, როგორც აკად. ნ. მარსა და ი. მეშჩანინოვს ეგონათ, დაბოლოს არც ხარის თავფეხისა, როგორც ი. სმირნოვი ფიქრობდა.



სურ. 18.



სურ. 19.

ჩვენის აზრით, აქ გარკვევით წარმოდგენილია ის სემანტიკური კონა, რომელიც აღნიშნავს, ტოტემისტური ხანის ადამიანის აზროვნების თანახმად, სამ სამყაროს, მათი დამახასიათებელი ტოტემცხოველებითურთ (ზოომორფიზაციის სტადიისაა): პირველ (ზედა) საფეხურში—ზეცას ანუ ზეყანას 2 ფრინველითურთ (რომლებიც თით-

---

[1] შდრ. ფალუსის რელიეფი არტამეტში: *Ց. Ն. Հալայան, Դամ-բարանների պեղումները Խ. Հայաստանում, էջ 206 (նկար 202); Ա. Խաչատրյան, Հայաստանի սեպագրական շրջանի քննական պատմություն, էջ 277 (նկար 58).*

ქოს ყარყატოები არიან), ე.-ი. როგორც გელამის მთის (სურ. 18, 19) და ენისეის ვეშაპებზეა; მეორეში (საშუალოში)—ქვეყანას ძაღლითურთ ანუ, უკეთ, ძაღლის თავითურთ; და მესამეში (ქვედა საფეხურში)—ქვესკნელს გველითურთ, რომელიც თითქოს ორთავაა (ტაბ. XLVIIa, в).

და ასეთი განმარტება თევზ-მონოლითის რელიეფისა მით უმეტეს შესაწყნარებელია, რომ მათი ვარიაციები ნივთიერი კულტურის ძეგლებში კარგადაა ცნობილი, როდესაც ხან ძაღლი გვხვდება კომბინაციაში გველთან ერთად, ხან ფრინველი თევზთან (გველთან) და სხვ.[1].

რაც შეეხება მეორე მონოლითს, იგი, როგორც ზევით უკვე აღნიშნული იყო, წაქცეულია (ტაბ. XLIX), სიგრძით 2,72 მ., სატე 2 მ. (შუაში), მხოლოდ ფორმით ცილინდრულია და ზევზევით უფრო სქელდება. წვერი ცოტად შესწორებული აქვს, და სწორედ იქ პატარა ხვრელია, რომელიც, რამდენადაც ჩვენ გვგონია, ფეოდალური (ქრისტიანული) ეპოქისა უნდა იყოს, როდესაც ეს მონოლითი ჯვარიან სვეტად გადაუქცევიათ, ე.-ი. თავში ჯვარი ჩაუსვამთ, როგორც, მაგალითად, ბარალეთის ე.-წ. „ამაღლების სვეტ“-შია ((ტაბ. LVIII a), ანდა როგორც კუმურდოს (ტაბ. LVIII в), აბულის ბუზავრეთის და ქსოვრისის სვეტებში უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ი. როსტომაშვილის მიერ აღნიშნულ დეტალს, სახელდობრ, რომ მონოლითს ერთს მხარეზე ორი ჩაღრმავებული ადგილი აქვს, ეს შეეფერება სიმართლეს, და, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ე.-წ. „ერატიპა“-ს ფუნქციის მაჩვენებელია, რის შესახებ საუბარი გვექნება ამ ნაკვეთის IV,2, თავში.

3. ვეშაპი, ანუ ყბალია თევზი (ტაბ. XLIV, XLVI), ს. განძის მახლობლად, ფარავნის ტბიდან „საღამოს“ ტბისაკენ ანუ თუმანგიოლისაკენ მიმავალი გზის მარჯვნივ, მინდორში, ადგილობრივ სომხები მას ხან *կաթ-քար* კათ-ქარ რძის ქვა'ს უწოდებენ, ხან *Սուրբ Սարգիս* სურბ-სარგის წმიდა სარგის'ს, რაიც ფრიად დამახასიათებელია, რამდენადაც უკანასკნელი, წმ. გიორგისთან ერთად, ე.-წ. „ვეშაპთმებრძოლთა“ მწკრივს ეკუთვნის. იგი წარმოადგენს ბრტყელ ქვას. ამ მონოლითის აღწერა პირველად ლიტერატურაში მოგვცა ი. როსტომაშვილმა 1898 წელს (იგივე ქართულად 1901

---

[1] И. Мещанинов, Змея и собака на вещевых памятниках Кавказа,—„Записки Коллегии Востоковедов“, I, 1925, стр. 241—256; მისივე, Закавказские поясные бляхи (Опыт яфетидологического подхода к анализу памятников материальной культуры),—„Сборник мат. для опис. м. и. п. Кавказа“ в. XLV, Махач-Кала 1926, стр. 195—232; შდრ. *Ա. Մատիկեան, Դիցաբանական շունը յարաբերութեամբ Միքայէլ Գաբրիէլ հրեշտակներու և Ս. Սարգիս,—«Հանդէս Ամսօրեայ» 1927, էջ 43—55.*

წელს)[1], ხოლო მეორედ და უკანასკნელად ე. ლ ა ლ ა ი ა ნ მ ა 1931 წელს[2]. ივ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი სწერდა: „В Гандзе замечателен высокий каменный столб высотою в 5 аршин, шириною в 1½ аршина... В верхней части столба, обращенной к западу, находится барельефный рисунок, отчасти напоминающий таковой же на Мурджахетском камне“. კერძოდ, აქ აღნიშნულ барельефный рисунок-ი იმავე ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს წერილის ქართულს რედაქციაში მოხსენებულია როგორც „სიცოცხლის მომცემის ემბლემის ქანდაკი... დასავლეთის მხარეზე“, რაც, ჩვენის აზრით, სწორია. მაგრამ, „სიცოცხლის მომცემის ემპლემის ქანდაკი“-ს გარდა, ამ მონოლითზე გამოსახულია თევზის თვალი, თავი და ლაყუჩები, ხოლო მის ქვევით ორი ფრინველი, თითქოს წერო (ტაბ. XLV). ამრიგად, შეხვედრა ამ მონოლითსა და მურჯახეთისაში მხოლოდ მასშია, რომ ორსავეში წყვილ-წყვილი ფრინველებია გამოსახული, რაც გელამის და ენისეის ვეშაპებზედაც გვხვდება[3].

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ამ ვეშაპს ადგილობრივი სომხები უკავშირებენ ისეთ წესებს, რომლებიც საერთოდ ფალუსის კულტის გამოძახილს წარმოადგენენ. მაგრამ ამ ვეშაპის ფალუსობაც, ჩვენის აზრით, ისეთივე ღირსებისაა, როგორც მურჯახეთის ვეშაპისა, ანდა სამშვილდის მენჰირისა.

4. ვეშაპი წალკის ს. ს. შიპიაკსა და სანომერს შუა, მინდორში, გზის მარჯვნივ. ადგილობრივი მოსახლეობა მას თიქმა-ტაშ'ს უწოდებს. იგი 1936 წლის შემოდგომაზე ამოთხრილ იქნა, ხოლო გათხრების წინასწარ შესწავლილი და გაზომილი იყო (ტაბ. XLIa, в); ამის შედეგი გამოქვეყნებულია ცალკე სტატიის სახით, ფოტოსურათის დართვით[4]. ამ მონოლითის ზომა გათხრებამდე: სიმაღლე სამხრეთით 1,40 მ., ჩრდილოეთით 1,35 მ., სატე (обхват) ზემო ნაწილში 1,97, ქვემოში 2,82. ამ მონოლითზე მაშინ ჩვენ ვწერდით: „თვით ქვა საიდგანღაც წამოთრეულ ბაზალტს წარმოადგენს და მეტისმეტად პრიმიტიულადაა დამუშავებული, ნაწილობრივ დაზიანებულიცაა, ატმოსფერულ მოვლენათა წყალობით, რის გამოც მის

---

[1] И. Ростомов, Ахалкалакский уезд, стр. 53=„მოგზაური“ 1901 წ. № 1, გვ. 32.

[2] *Ե. Լալայան, Դամբարանների պեղումները Խ. Հայաստանում, 203.*

[3] ხევსურული ლეგენდის თანახმად, „წმ. გიორგი, როგორც ფრინველი, სომხეთიდან მოფრენილა“-ო (В. Бардавелидзе, Опыт социологического изучения хевсурских верований, Тфл. 1932, стр. 42).

[4] ლ. მელიქსეთ-ბეგი, თიქმატაშ, —„ხრამჰესის დამკვრელი“ 1935 წ. № 33.

წვერზე ოდნავადღა იჩჩნევა ყოფილი პრიმიტიული ქანდაკება, რომლის სახე და შინაარსი ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება. ყოველ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა, რომ ეს ძეგლი ერთერთი უძველესი ნაწარმოებთაგანია, რომელსაც, წმინდა არქეოლოგიურ მნიშვნელობასთან ერთად, გარკვეული ხელოვნებათმცოდნეობითი მნიშვნელობაც აქვს".

ეს მონოლითი ჩვენ მიერ ამოთხრილ იქნა 1936 წ. 26. VIII. სანამ გათხრას შევუდგებოდით, გარშემო გავასუფთავეთ ქვებისა და ბალახ ჯეჯილებისაგან და კვლავ გავზომეთ, რის შედეგიც ასეთია: სიმაღლე სამხრეთით 1,45 მ., ჩრდილოეთით 1,40 მ., სატე ზემო ნაწილში 2 მ., ქვემოში 3 მ. ამავე ძეგლის ზომა მთლად ამოთხრის შემდეგ: სიმაღლე სამხრეთით 2,85 მ., ჩრდილოეთით 2,80, დიამეტრი ძირში 1,15, სატე ძირში 3,40 მ.

მონოლითი ნამდვილ თევზად აღმოჩნდა შემდეგი დამახასიათებელი დეტალებით: თვალი ზემო ნაწილში და ლაყუჩები გვერდზე (ტაბ. XLII, XLIII).

ა. ვეშაპი—ფიქალისებრი, ცოტად ამობურთული, ბრტყელი და განიერი ქვისა, წალკის ს. გიუმბათში, სადაც იგი დატანებულია ეკლესიის გალავნის შესავალ კარებში (ალაყაფში) მარჯვენა ჩრდილოეთ მხარეზე (ტაბ. L). როგორც ადგილობრივ გადმოგვცეს, ეს ქვა წინად სოფლის გარედ ყოფილა და ნიაღვარს წამოუთრევია ხევში; ხოლო ხალხს იგი მოუთავსებია ეკლესიის გალავანში. ქვაზე გამოქანდაკებულია ვეებართელა თევზის ხერხემალი, თითქოს ორაგულისა, რომლის ზევიდან გამოსახულია ორი გველი, ერთმანეთში ჩახვეული. ქანდაკებას აქვს, გველებისა და თვალის გამოსახულობათა შორის, მერმინდელი დროის ქართული ასომთავრული წარწერა (უკუღმართი), რომელიც ასე იკითხება: „ქ ტე შ-ე ს-ლი ე-ესი", ე.-ი. „ქრისტე, შეიწყალე სული ე-ესი (ეგნატესი, ერასტესი?)". იგი თითქოს შეესაბამება იმ წარწერას, რომელიც ამოჭრილია საპიტახჩის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე, სადაც აგრეთვე იხსენიება „ე-აე" გვარად „კეთილაძე". რადგანაც ასოების მოყვანილობა ორსავე წარწერაში ერთიდაიგივეა, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე წარწერა ერთისადაიმავე დროისაა, ასე ვთქვათ, XII—XIII ს. ს.; ამასთანავე, ორთავეში ერთიდაიგივე პირია მოხსენებული.

ეს ვეშაპი ყველა ვეშაპებისაგან იმით განირჩევა, რომ იგი ვერ იდგებოდა ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურ პოზიციაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული. თვით ქვა შემდეგი ზომისაა: სიგრძე 2,05 მ., სიგანე თავში 0,75, შუაში 0,95, ქვემო ნაწილში 0,75; თავის სიგრძე 0,45, ცხვირისა 0,30, ტანისა (თავიდან ბოლომდე) 1,45, ბოლოსი 0,15, სისქე ქვისა 0,30—0,40; თითო გველის სიგრძე 1,05 მ. (თითქმის თევზის ნახევარი სიგრძისა).

ზემოდ აღწერილ ვეშაპ-ვეშაპოიდებთან შედარებით, ეს ვეშაპი,

რასაკვირველია, ცოტად-თუ-ბევრად ნაგვიანევი ხანისაა, რამდენადაც მას ახლავს სწორედ ისეთი დეტალი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მისი დათარიღებისათვის, ყოველ შემთხვევაში, არა ტოტემური ანუ კოსმიური აზროვნების პერიოდეპით. თვით დეტალი მოგვაგონებს იმას, რაც ირანულ თქმულებებში დაკავშირებულია ზოჰაკ ბიურასპ-თან; ხოლო ამ თქმულებების თანახმად, უკანასკნელი მეფობდა 1000 წელს, და მას აჰრიმანის კოცნისაგან მხრებზე გველები ამოსვლოდა, ხოლო ეს გველები ყოველდღე მისი ტვინით იკვებებოდნენო[1]. ეს თქმულება განმეორებულია მოსე ხორენელის „ისტორია“-შიც (I, დამ. I), სახელდობრ იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია „ბივრასპ აჟდაჰაკისათვის“, რომელსაც, ძველი ისტორიკოსის სიტყვით, დევები ემსახურებოდნენ და რომლის მხრებიდანაც, კოცნის შედეგად, ვეშაპები იშვებოდნენო (*անդրուստ վիշապացն ծնունդ*)[2]. და თითქოს ამის ზეგავლენითაა, რომ ლეონტი მროველიც, როდესაც ირანელებზე (სპარსელებზე) ლაპარაკობს, გადმოგვცემს: „მიერითაგან განძლიერდეს სპარსნი, მზისა აღმოსავლეთითგან, ნათესავნი ენებროთისნი, და გამოჩნდა ნათესავთა შორის ენებროთისთა კაცი ერთი გმირი, აფრიდონ, რომელმან შეკრაო ჯაჭვითა ბევრასფ, გველთა უფალიო, და დასხა მთასა ზედა, რომელს არს კაცთ შეუალიო». ესევითარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“[3].

ამიტომაც, სრულიად გასაგებია ზარნაკალმას ხსენება ოსურ თქმულებებში აბრანზე, რომელიც (ზარნაკალმა) „ზარნიის ვეშაპ“-ად განიმარტება მკვლევართა მიერ[4], თუმცა თვით სახელწოდება „ზარნაკალმა“ თავისი მეორე ნაწილით მოგვაგონებს ქართულ სიტყვას „კალმახ“-ს, რაც თავს იჩენს ამირანის თქმულების ქართულ ვერსიაშიც, სადაც ამირანის მამა სუკალამახად არის წოდებული (სუ წყალი+კალმახ თევზი)[5].

ხოლო ჩვენი ვეშაპის დეტალი, ორი გველი რომ ერთმანეთს ეხვევა, რამოდენადმე მოგვაგონებს იმ ციკლის თქმულებათა გარკვე-

---

[1] К. Патканов, Ванские надписи и значение их для истории Передней Азии,—„Журн. Мин. Нар. Просв.“, 1883, декабрь. стр. 247—246; Н. Марр и Я. Смирнов, Вишапы, стр. 17.

[2] *Մովսիսի Խորենացւոյ Պատմութիւն հայոց, Տփղիս 1913, եջ 89.*

[3] ქ. ც., I, ბროსეს (=მარის) გამ., 23; ქ. ც., მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამ., 9—10.

[4] Н. Марр и Я. Смирнов, Вишапы, стр. 17—19; ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის, 33.

[5] Л. Меликсет-Беков, К вопросу об обычае кувады на Кавказе, в связи с языковыми пережитками матриархата,—„Академия Наук СССР. XLV. Академику Н. Я. Марру“, Л. 1935, стр. 735.

ულ დეტალებს, რომელსაც, ერთის მხრივ „ტრისტანი და იზოლდა“ ეკუთვნის, ხოლო მეორეს მხრივ „აბესალომ და ეთერი“; ამათგან პირველში ნათქვამია, რომ „ტრისტანის საფლავზე ამოსული მწვანე ტოტი, ხშირი ფოთლებითა და სურნელოვანი ყვავილებით სამლოცველოს ზევით გადაევლო და იზოლდას საფლავში ჩაეშვაო“[1]; ხოლო მეორეში—რომ აბესალომ და ეთერის საფლავებზე ყვავილები ამოდის, რომლებიც ცდილობენ ერთმანეთს გადაეხვიონო[2].

6. ვეშაპ-ვეშაპოიდები ჭოროხის აუზში, ზიარეთის ტბის ირგვლივ, ფიქსირებულია სომეხი მწერლის ა ტ რ პ ე ტ ი ს მიერ. მისი სიტყვით, „ამ ტბის ნაპირებზე შემჩნეულია“ ადამიანის ხელით გამოკვეთილი 25—30-მდე ვეშაპთა ცილინდრული ძეგლები, რომლებიც ერთ დროს ვერტიკალურად მდგარან ტბის ნაპირზე, წყალში, და რომლებიც დღეს მიწაზე არიან წაქცეული. ამ ძეგლთ სიმაღლე აქვთ 5—7 მ., სისქე დიამეტრში 0,80—1 მ.; ძეგლები გამოთლილია, ტლანქად გამოსწორებული და მათზე გამოქანდაკებულია გველის, ხვლიკის, ხარ-კამეჩისა და სხვა ცხოველთა თავები; ხოლო „ზიარეთის ტბის ამ ძეგლებისაგან არც იმდენად დაშორებით, 5—6 კილომეტრზე, მოიპოვება წმინდა წყლის რუის სათავე თვისი ჰაობებითა და ვეშაპთა ძეგლებით“-ო[3].

რამდენად შეეფერება ა ტ რ პ ე ტ ი ს ეს სიტყვები სინამდვილეს, ამაზე ვერას ვიტყვით რა.

## 3. ქალქვა-ქვაკაცნი

თუ პრიმიტიული, სრულიად დაუმუშავებელი, ან ოდნავად დამუშავებული მონოლითების გვერდით ვეშაპ-ვეშაპოიდები, როგორც თევზის ღვთაებები, შედარებით უფრო მაღალი საფეხურის საზოგადოებრიობის ნაწარმოებებად გამოიყურებიან, მაშინ ანთროპომორფიზებული ძეგლები კიდევ უფრო შემდგომი სტადიის ნაწარმოებებად უნდა მივიჩნიოთ, და ეს სტადია კი უკვე კერპთთაყვანისმცემლობას ემიჯნება. იმის გამორკვევა, თუ სახელდობრ რა პირობებში, როგორ და როდის შემოიჭრა ეს ჟანრი ადგილობრივ ხელოვნებაში, ჯერჯერობით, რასაკვირველია, ძნელია. მაგრამ, როდესაც ნ. მ ა რ ი ვეშაპვეშაპოიდების დათარიღების გამო იმ მოსაზრებას გამოსთქვამდა, რომ ეს ძეგლები მეტად უძველესნი არიან რა, იგი საამისოდ, სხვათა შორის, იყენებდა იმ ფაქტს, რომ მათგან არცერთზე არაა „ни малейшего намека на изображение человече-

---

[1] წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, ტფ. 1934, გვ. 179—180.

[2] К. Д. Дондуа, Абесалом и Этери,—„Тристан и Исольда“ [Труды Института Языка и Мышления II], Лигр. 1932, стр. 182.

[3] *Ատրպետ, Ճորոխի աւազանը, 55.*

ской или хотя бы получеловеческой фигуры"[1]; „появление [же] человеческих фигур,—მისი სიტყვით,—нас переносит, по-видимому, в другую стадию, именно позднейшую стадию антропоморфизации"[2]. და აი, სწორედ ამასთან დაკავშირებითაა, რომ მას გამოთქმული აქვს შემდეგი მოსაზრება, ქრონოლოგიური ჩარჩოების მოსანახავად: „В сложных композициях видим уже VIII веке до р. хр. в Греции переживания влияния наших или тождественных с нашими памятников с их примитивною символикою"[3].

ანთროპომორფიზებულ მონოლითებს ქართულად ჩვეულებრივ „ქალქვა" || „ქვათარძალი", ან „ქვაკაცა" || „ქვაკაცი" ეწოდება, მონღოლეთში (ორხონის წარწერებში) „ბალბალ", ხოლო უკრაინა-რუსეთში каменная баба.

თუ უკრაინა-რუსეთსა და მონღოლეთში დაცული ასეთი ძეგლები ადამიანის ნამდვილ სახედ არიან გამოკვეთილი[4], ჩვენში (ვგულისხმობ საქართველოს) ისინი ადამიანის მეტისმეტად პრიმიტიულ ქანდაკებას ჰგვანან, რის გამოცნობაც მხოლოდ მიხვედრით შეიძლება.

„ქალქვა" || „ქვათარძალი"-ს არსებობაზე საქართველოში ჩვენ უმთავრესად ფოლკლორული წყაროები მიგვითითებენ; ხოლო „ქვაკაცა" || „ქვაკაცი"-ს შესახებ გარკვეული ცნობები გვაქვს საისტორიო მწერლობაში.

თუ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალ"-ს, რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილია, განზე დავტოვებთ, ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მ ო ს ე  ხ ო რ ე ნ ე ლ ი ს მითითება (I, 31) ვაჰაგნ ვეშაპთმებრძოლზე (*Վահագն Վիշապաքաղ*), რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ „მისი [ქანდაკება] იმ სიმაღლისა, რა ტანისაც თითონ იყო, აღმართული იყო ქართლის ქვეყანაში, და მას მსხვერპლს შესწირავდენ ხოლმე" (*անդրի ի Վրաց աշխարհին զորոյ չափ հասակին կանգնեալ՝ պատուեին զոհիւք*[5].

---

[1] Н. Марр и Смирнов, Вишапы, 93—94.

[2] იქვე, 10.

[3] იქვე, 103—104.

[4] Н. Веселовский, Мнимые каменные бабы,—„Вестник Археологии и Истории", в XVII, Спб. 1905, отд. отт., стр. 27. А. И. Соболевский, Русско-Скифские этюды [Изв. Отд. рус. яз. и сл. Р. Акад. Наук, т. XXVI], 1913, стр. 16. შდრ. „Мат. по арх. Кавказа", III, 1893, стр. 119—126;, VII, 1898; стр. 137—138; „Eurasia Septentrionalis Antiqua", IV, 1929, p.p. 290—311; VIII, 1933, p.p. 28—30; С. Я. Малов, Новые памятники с турецкими рунами,—„Язык и мышление", VI—VII, 1936, стр. 253 (рис. 1, 2), стр. 257 (рис. 3).

[5] *Մովսիսի Խորենացւոյ Պատմութիւն Հայոց, 86.*

თითქოს ასეთ ქანდაკებას ანუ „კერპ“-ს გულისხმობდა ე. ლ ა ლ ა ი ა ნ ი, როდესაც ჯავახელი ტერ-მარგარ ტერ-ჰარუთიუნიანის ნაამბობს იმეორებდა, ვითომც ფარავნის მიდამოს ქოროღლის (შაორის) „ციხის სამხრეთ კედლის ერთერთ კამაროვან უბეში, რომელსაც სიმაღლე ერთ არშინზე მეტი ჰქონდა, სიგანე ³/₄ არშ. და სიღრმე ¹/₄ არშ., მოთავსებული იყოო ქანდაკება თავლია და უიარაღო ადამიანისა ტანსაცმლით მუხლებამდე“ [1].

ახლა შევუდგეთ ჩვენ მიერ აღრიცხული ასეთი ძეგლების აღწერას.

1. „ქალქვა“ || „ქვაკაცა“ წალკის ს. ს. ავრანლუ'ა და ყიზილქილისას შორის, მინდორ'ში (ტაბ. LI a,в). ადგილობრივ „თიქილტაშ“ || *Թիք-քար* უწოდებენ. თვით ქვა თავისი მოყვანილობით ცილინდრული ფორმისაა, ხოლო ზემო ნაწილი წვეტიანია (კონუსებრი). ქვა მიმართულია სამხრეთისაკენ. მისი ზომაა: სიმაღლე 2,15 მ., სატე 2,83. იგი გარკვეულად მოგვაგონებს უკრაინის каменная баба-ს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეტისმეტად პრიმიტიულია: იგი თითქოს თავდახრილსა და ხელებ გულზე დაკრეფილ ქალს წარმოადგენს. უდავოა, რომ ეს ძეგლი ერთერთი იმ მრავალ „ქვაკაცა“-თაგანია, რომელსაც ვახტანგ VI იხსენიებს თავის „დასტურლამალ“-ში თრიალეთის აღწერისას.

2. „ქალქვა“ ს. გურჯაანში; ოდესღაც ეგდო გზის პირას; ახლა მისი ადგილმდებარეობა უცნობია. ამ ძეგლთან დაკავშირებული იყო ლეგენდა, რომელიც ძალიან მოგვაგონებს ბიბლიურ ლეგენდას სოდომ-გომორის დაღუპვისა და ლოტის მეუღლის მარილის სვეტად გადაქცევის შესახებ: ფერისცვალების დღეს ერთ ხუცესს კალო გაელეწაო; ამიტომ ღმერთმა დასწყევლა იგი; ამ დროს მასთან სტუმრად ყოფილა მოსული ნათესავი ქალი, რომელსაც ხუცესმა უბრძანა მალე გაიპარეო; მიმავალმა ქალმა თავისი პატარა ბავშვით (ვარიანტით—ძმით) უკან მოიხედა, რათა ენახა რა დაემართა ხუცესს, და იმ წამსვე გაქვავდაო. ხოლო ხუცესის სახლკარი ჩაიძირა და მის ადგილზე ტალახმა ამოხეთქაო (ვითომდა ახლანდელი ახტალა). ქალის გაქვავების ამბავი სათანადო ლექსში ასე იკითხება:

გასწი, ქალო, გაიარე,
უკან აღარ მოიხედო,
ძმით შეიქმენ განაწყვეტი!
მობრუნდა, იქვე გაქვავდა,
ჯერაც მოდის დანაშრეტი [2].

---

[1] *Ս. Լալայեան, Ջաւախք, 165—166,* ამონ. 53—54.

[2] იხ. ტ ა რ ა ს ი, ლეგენდა ახტალის შესახებ,—„ივერია“ 1891 წ. № 13, შდრ. Г. Ф. Ч у р с и н, Народные обычаи и верования Кахетии [„Записки Кавк. Отд. Рус. Геогр. О-ва“, кн. XXV. в 2]. 1905, стр. 47; Л. М е л и к с е т-Б е к о в, Ахтальские грязи как бальнеологический пункт,—„Известия Кавк. Отд. Рус. Геогр. О-ва“.т. XXIII № 1. 1915, стр. 17—18=„Целебный Кавказ“, 1915, № 3—4, стр. 21. საერთოდ გაქვავებულ ადამიანთა შესახებ: Г. Ф. Ч у р с и н, Очерки по этнологии Кавказа, Тфл. 1913, стр. 75—80.

ამ ქვასთან დაკავშირებული იყო უ.-წ. „ლაზარობა“ და სხვა ამგვარი წესები.

3. „ქვათარძალი“ გურიაში, აჰის-წყლის ხეობაში, ლეხაურის მახლობლად: ძეგლი თითქოს „ქალის ფორმისა“-ა და „გაცხოველება-გაცოცხლების მნიშვნელობით აღჭურვილი“ (დოც. მ ე გ რ ე ლ ი ძ ი თ).

4. „ქვათარძალი“ || „каменная невеста“ უ.-წ. ყვითელ მთაზე, მანგლისის პირდაპირ, ალგეთის გაღმა. ამ ძეგლზე საუბარი შემდეგ პარაგრაფში გვექნება.

## 4. „ქვაჯვარა“—ობელისკები.

ეს—იგივე მონოლითებია, დეფორმირებული პირველი სამი კატეგორიიდან: ან მენჰირები, ან ვეშაპ-ვეშაპოიდები, ან ქალქვა-ქვაკაცები. ზოგი მონოლითი „ქვაჯვარა“-დაა გადაქცეული, ზოგი კი ობელისკად.

ამ კატეგორიას, ჩვენის აზრით, შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი ძეგლები:

1. ქვაჯვარა ქეჩუთის მთის კალთაზე, ფარავნის ტბის შიდაშოებში, ს. როდიონოვკას (თავ-ფარავნის) ზემოდ (ტაბ. LVI). მისი სიმაღლეა 2,50 მ.; ჩასმულია ქვა-კლდეში, რომელიც უსწორმასწორო ფორმისაა, დაახლოებით 2.50 მ. სიგრძით და 1.50 მ. სიგანით; სახით ნამდვილი ჯვარია, მაგრამ სიგრძეზე მეტად გაჭიმული, ასე რომ მისი ფრთები ნაკლები სიგრძისაა, ვიდრე ზემო (თავის) ნაწილი. ამიტომაც ეს ქვა ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს იგი თავიდანვე კი არაა ჯვრად გამოკვეთილი, არამედ ჯვრად გამოყენებულია წინანდელი მენჰირისაგან (ცილინდრული მოყვანილობისა): მენჰირის დეფორმაცია „ქვაჯვარა“-დ მომხდარა ისეთ პირობებში, რომ მისთვის გამოუყენებიათ ქვის მთელი სიგრძე; ხოლო რადგანაც მონოლით-სვეტის სიგანე საშუალებას არ იძლეოდა, რომ ფრთები და ზემო ნაწილი ერთ ზომაზე გამოეჭრათ და გაეშალათ, ამიტომ მოხდა ერთგვარი დისპროპორცია ჯვრის ცალკეულ ნაწილებს შორის.

ამ ქვაჯვარას მოეპოვება ზოგიერთი დეტალი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გამოვარკვიოთ, თუ როდის უნდა მომხდარიყო მისი მენჰირისაგან გამოკვეთა. ჯვრის ცენტრში მოთავსებულია ამობურთული დისკო, რომელიც „ნაყოფიერების“ ემბლემაა. მის ქვეშ მეორე ემბლემაა, სწორედ ისეთი, რომელიც ჩვენ ჩვეულებრივ გვხვდება თამარისა და დავით სოსლანის დროს 1200—1208 წ.წ. მოჭრილ ფულებზე[1], აგრეთვე ერთს უწარწერო ქვა-ფიქალზე (რომელზედაც

---

[1] М. Б а р а т а е в, Нумизматические факты Грузинского царства, Спб. 1844, разд. III, стр. 37—40, 154, табл. Ш; V. L a n g l o i s, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, Paris 1860, p. 65; E. A. П а х о м о в, Монеты Грузии, I (Домонгольский период), Спб. 1910, стр. 101—104, табл. VIII (рис. 132—135); თ. ლ ო მ ო უ რ ი, თამარის ფულების განძი,—„ტფილისის უნივერსიტეტის შრომები“, I, 1936, გვ. 282—284 და 2 სურათი იქვე, შენ. 4 გვ. 282; მ ი ს ი ვ ე, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში,—«შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა», თბ. 1938, გვ. 289, სურ. 10, 11. А. Б ы к о в, Грузинские монеты XII—XIII вв.,—„Памятники эпохи Руставели“, Лнгр. 1938, стр. 84—85 и табл. 3.

გამოხატულია ჯვარი, ხელი და სწორედ ეს ემბლემა) ჩხიკვთის სამეზის კალთაზე, გზის პირას მდებარე „ღვთისმშობლის“ ნამონასტრალის ეზოში. ხოლო ამ ემბლემის ქვეშ იმჩნევა ქართული ასომთავრული წარწერის კვალი 7 სტრიქონად, სადაც ძლივძლიობით იკითხება მხოლოდ ცალკეული სიტყვები ან ასოები. თუმცა წარწერა მთლიანად ვერ იკითხება, მაინც თამამად შეიძლება იგი მიეკუთვნოს XIII საუკუნის დასაწყისს. ამას, სხვათა შორის, ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სწორედ ამ მხარეში მოიპოვება ნიშანდობლივ თამარის დროს აშენებული ქარვასლა, რომელზედაც ვახუშტი სწერს: „აქა არს ფუნდუკი[1] თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათჳს[2]. მართალია, ვახუშტის მიერ ნაგულისხმევი „ფუნდუკი“ არსებითად ყარაბულაღის ანუ ქვემო-წალკის სალამალეიკს[3] ემთხვევა, სადაც ქარვასლის ნაშთი ახლაც იმჩნევა, მაგრამ მეორე „ფუნდუკი“ ხომ აწინდელ ს. როდიონოვკაშია (თავ-ფარავანში), რომელიც (ფუნდუკი), პირველთან შედარებით, უკეთ არის დაცული, და რომელიც აღწერილია ი. როსტომაშვილის მიერ[4]. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ორივე „ფუნდუკი“ ერთსადაიმავე ყაიდაზე (მასალით, გეგმითა და ზომით) არის აშენებული და ერთსადაიმავე დროსვე, რასაც სავსებით ეთანხმება შემდეგი გადმოცემა: ქენჭუთის მთის ორსავე მხრიდან (ე.-ი. ფარავნის ტბისა და ქვემო-წალკისა), აგებული იყო წყვილი ქარვასლა იმ მოსაზრებით, რომ ქარავანს ადვილად შესძლებოდა ერთიდან მეორეში გადასვლ-გადმოსვლა ერთი დღის განმავლობაში, დილით-საღამომდე. ხოლო ჯვარი მთის ფერდობზე იმ მიზნით იყო აღმართული, რათა მით გამოეკვლიათ გზის მიმართულებაო.

ყველა ეს ცნობა, გვგონია, საკმაო საბუთს გვაძლევს იმ დებულების ნათელსაყოფად, რომ მენჰირის „ქვაჯვარა“-დ გადაკეთება უნდა მომხდარიყო XIII საუკუნის დასაწყისში, თამარისა და დავით სოსლანის მეფობის დროს, იმ აღმშენებლობასთან დაკავშირებით, რაც გზების გაყვანასა და ქარვასლების აგებაში გამოიხატა, სხვათა შორის, მეგალითური კულტურის ნაშთებით ისეთ მდიდარ მხარეში, როგორიცაა ფარვანის ტბის არემარე[5].

---

[1] ბერძნული სიტყვაა: to pandokion (=სომხ. *պանդոկ*).

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გამ. მ. ჯანაშვილისა, გვ. 51.

[3] „სალამალეიკ“ თურქულად გამარჯობა'ს, ხალამ'ს აღნიშნავს.

[4] И. Ростомов, Ахалкалакский уезд, 58.

[5] გზის მაჩვენებელი ჯვარია, სხვათა შორის, ის ჯვარიც, რომელიც აღმართულია გუდარეხის მონასტრისაკენ მიმავალი გზის პირას, მარჯვნივ, ტყეში, აღბულაღ—ვაკე—მანგლისის გზის გასახვევთან. შედარებით უფრო ძველ დროში ჯვარი გამოყენებული იყო აგრეთვე როგორც ამულეტი, ე.-ი. მფარველი, მაგ. ტფილისში აველაბრის ხიდზე, როგორც მოთხრობილია აბო ტფილელის ცხოვრებაში (წმინდა მოწამე აბო ტფილელი, გამ. [პ. კარბელოვის რედ.], ტფ. 1899. გვ. 32 = ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვეთი პირველი. I. იოანე საბანისძე. II. ბასილ ზარზმელი, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, ტფ. 1935, გვ. 75). ხოლო ჯვარი, როგორც სამანის ნიშანი ანუ საზღვრების მაჩვენებელი, რომელიც მრავლადაა წარმოდგენილი თრიალეთ-წალკაში, სულ სხვაა (პატარა ზომისაა).

ეს „ქვაჯვარა“ ცნობილია სამხედრო-ტოპოგრაფიულ რუკებზე როგორც камен. крест.

2. „მარიამჯვარი“—მანგლისის პირდაპირ მდებარე ე.-წ. ყვითელ მთაზე (Желтая гора), ალგეთის გაღმა. მას რუსები უწოდებენ каменная невеста-ს (= ქვათარძალი), ხოლო ოსები „მამიდა“-ს (ტაბ. LVIIa,в). როგორც ჯერ კიდევ 1924 წელს გვქონდა გამოთქმული, ეს მონოლითი შეიძლება იყოს ან ის ჯვარი, ან ერთერთი ჯვარი იმ ციკლიდან, რომლის თაყვანისსაცემლად საერთოდ ხალხი მიდიოდა არა მარტო ქართლიდან, არამედ აგრეთვე სომხეთიდანაც, როგორც გვიმტკიცებს VII საუკუნის დასაწყისის სათანადო სომხური ეპისტოლოგრაფიული დოკუმენტი[1]. და ამიტომაცაა, რომ აბრაამ სომეხთა კათალიკოზი 606 || 609 წელს დაწერილ ენციკლიკაში, რომლითაც დადასტურებულია სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილება, უბრძანებდა თავის სამწყსოს არ ევლო მცხეთისა და მანგლისის ჯვრებზე სალოცავად (*Հրամայեմք... ամենեքին հաւատալ ընդ նմա... մի՛ պաշտեսցեն երկիրպագել ի խաչն որ ի Մցխեթայ ուխտաւորն համբուրել, մի՛ ի Մանգլեաց խաչն*)[2]. ხოლო ანალოგია აქ მანგლისსა და მცხეთას შორის საუცხოოა: როგორც მცხეთის ჯვრად პორცვის ჯვარი, ე.-ი. ჯვარის მონასტერი, იგულისხმება ძველ მცხეთასა და არაგვს გაღმა[3], ისე მანგლისის ჯვრად იგულისხმება მარიამჯვარი, ძველ მანგლისსა და ალგეთის გაღმა.

ეს ჯვარი რომ, მართლაც, ძველი წარმართული ღვთაების დეფორმირებული ობიექტია, სავსებით მტკიცდება მისი გარემოთი, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევებია, რაც „ნაწილობრივ თითქოს ციკლოპიური ხასიათის შენობას მოგვაგონებდეს (დიდრონ ლოდებითაა აგებული უკიროთ)“, აგრეთვე ორი სხვა პატარა ჯვარი, რომელთაგან ერთი „ვეებართელა მომრგვალო გუნდისებრ ქვაზე“ არის დაყრდნობილი დიამეტრით 2 მეტრამდე, ხოლო მეორე—„შედარებით პატარა ბაზისზე“. ამათაც, როგორც თვით მარიამჯვარსაც: ამობურთული დისკო ახასიათებს. საინტერესოა აგრეთვე, რომ მარიამჯვარის ანუ ყვითელი მთის სამხრეთითაა გოხნარის ციკლოპური

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი, 80.

[2] *Գիրք Թղթոց, Թ. 1901, էջ 194.*

[3] მცხეთის ჯვარი რომ, მართლაც, ძველი წარმართული დროის ბომონის ადგილზეა აგებული, ამას ადასტურებს ეკლესიის შიგნით, შუაში, მოქცეული „ბემა“, რომელიც რეალური ჯვრის ბაზისი უნდა ყოფილიყო პრექრისტიანული „ბომონის“ ნაცვლად. იხ. Л. Меликсет-Беков, К вопросу об устройстве алтаря в древней Грузии,—„Христ. Восток“, т. IV, в. 3. 1915, стр. 310—312. შდრ. Prof. Dr. Georg Tschubinaschwili, Untersuhungen fur Geschichte der Georgischen Baukunst. Erster Band. Erster Heft. Die kleine Kirche des heiligen Kreuzes von Mzchetha, Tiflis 1921, S. S. 1—6 = გ. ჩუბინაშვილი, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი,—„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, II, 1922, გვ. 22—26.

ნაციხარ-ნაქალაქევი და ბედენის ლოდოვანიც, ხოლო ჩრდილოეთით — ასეთივე. ციკლოპური სადგომის ნაშთი, დაბლა კი, მთის წვერის პლატოზე — „ერატიპა".

ჯვრის ზომაა: სიგრძე 2,50 მ., სიგანე 1,35, სისქე 0,40, დისკო ორი წრით შემოფარგლული დიამეტრით 0,15 მ.; ასვენია რამდენსამე ქვაზე; მაგრამ ძველად აღმართული უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მის ქვედა ნაწილს ახასიათებს „ტარი", რომელიც თუმცა თეეზის ბოლოს ჰგავს, მაგრამ ქვაში ჩასარჭობი ნაწილია.

ამ ჯვართან დაკავშირებული იყო ე.-წ. „ლაზარობა" და სხვა ამგვარი წესები. ხოლო ეს წესები ძალიან მოგვაგონებს იმას, რაც ვახუშტსა აქვს შენიშნული პატივანის მიმართ: „პატივანს ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გარდააბრუნო, იქმნების უწვიმობა"[1].

თვით ქვის „წარმოშობის" შესახებაც არსებული ლეგენდები ძალიან მოგვაგონებენ იმას, რაც ცნობილია მურჯახეთის „ძუძუს-ქვისა" და გურჯაანის „ქალქვას" ირგვლივ: „თამარ მეფის დროს, ლეკიანობის (sic) გამო, ქალი გაიქცა სახლიდან და გზაზე შიშისაგან გაქვავდა"-ო. ესევე მეორდება „მანგლისი რო ააშენეს" ლექსად წყობილს ვერსიაში[2].

„მარიამჯვარი" რომ დეფორმირებული ძველის-ძველი ძეგლია, ასეთი აზრი, ჩვენს გარდა, გამოსთქვა ვ. ა. გურკო-კრიაჟინმაც: „Что это не христианский памятник, — ვკითხულობთ მის სათანადო წერილში, — доказывает тщательно вырезанный на груди «невесты» солнечный диск, обведенный двумя концентрическими кругами. Что форма креста была придана камню позднее, обнаруживает его закругленное подножие, не дающее возможности поставить его в вертикальном положении, как это полагается всякому кресту. Еще любопытнее форма «невесты» сбоку. Она имеет определенный вид рыбы, и, несомненно, именно это сходство с какой-то фигурой заставило дать камню имя «каменной невесты», а не «каменного креста»"[3].

**3. ობელისკი** შორის „ქოროღლი"-ს ზედა ციხის გარეთ, ქვეიდან მიმავალი გზის პირას, მარჯვნივ. ოთხწახნაგოვანი წვეტთავა ფორმისაა, დაახლოებით კაცის სიმაღლისა, თუ ცოტა მეტი. ეტყობა, რომ მენჰირისაგანაა გადაკეთებული.

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, 60.

[2] ხალხური სიტყვიერება, I, 265—266.

[3] В. А. Гурко-Кряжин, Циклопические сооружения в Закавказье, — „Новый Восток" № 15, 1926, стр. 216; მისივე, Город циклопов, — „Заря Востока" 1926 г. № 1271 (= „Советское Закавказье", 1927, стр. 221).

## II

# მენჰირების ტრანსფორმაცია ქრისტიანულ ძეგლებში

აკად. ნ. მ ა რ ი, ეხება რა სომხეთში მეტად გავრცელებულ „ჯვარიან-ქვათა“ (*խաչքար*) გენეზისის საკითხს, დაასკვნის, რომ „это исключительным образом характеризующий армянское искусство «памятник предков» (*յուշիկ նախնեաց*), четвертое переоформление древнейшего скульптурного памятника Армении: первое—найденные на первобытных Гехамских горах каменные исполинские рыбы, сделанные за четыре-пять тысячелетий до н. э. вишапы, второе—плоские колонны или стелы ванских царей, третье—колонны, украшенные ранне-христианскими скульптурными изображениями до X века, и затем «хачкары»“ [1].

ამ პასუხში საუცხოოდაა გათვალისწინებული სურათი იმ დეფორმაცია-ტრანსფორმაციისა, რომელიც განიცადა ე.-წ. „ვეშაპ“-მა სომხეთში, სანამ იგი „ჯვარიანი ქვის“ საფეხურამდე მიაღწევდა.

გელამის მთებზე აღმოჩენილ „ვეშაპ“-ებზე თავის ადგილას უკვე ვთქვით.

ვანის მეფეების დროინდელი ბრტყელი ქვები ლურსმული წარწერებით, რომლებიც მრავლადაა ნაპოვნი ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე, ამჟამად დაცულია სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში, აგრეთვე სხვაგან, და საზღვარგარეთაც [2].

სვეტები-კოლონები ძველი ქრისტიანული ქანდაკებებით აგრეთვე მრავლადაა დაცული სომხეთში, როგორც ძველის, ისე დეფორმირებული სახით: თალინში, დსეღში, ოშაკანში და სხვ. [3].

---

[1] Н. Марр, Армянская культура, ее корни и доисторические связи, 69.

[2] საუკეთესო ნიმუშების პუბლიკაციები იხ.: Н. Марр и И. Орбели, Археологическая экспедиция 1916 года в Ван, Пгр. 1922, табл. VII—X; И. Мещанинов, Халдоведение. История города Вана, Баку 1927, рис. XXII; და სხვ.

[3] *Ե. Լալայեան, Բորչալուի գաւառ,—«Ազգ. Հանդ.»*, VII—VIII, *եջ* 348—349, *նկար* [დსეღი]; მ ი ს ი კ ე, *Հուշարձանների և գերեզմանների դարձացումը Հայաստանում,—«ՀՍԽՀ Գիտ. և Արվ. Ինստ. Տեղ», № 3,1928, եջ 39* (*նկար* 7) [დსეღი]; J. Strzygowski, Die Baukunst der Armenier und Europa, Wien 1918, B. I, S.S. 321 [ოშაკანი], 716—720 [თალინი]; *«Խորհրդային Հայաստան»* 1936. 1.IV № 75 [ოშაკანი]; და სხვ.

დაბოლოს, ხაჩქარები მრავლადაა მოფენილი მთელს სომხეთში [1].

აქ დასახელებული ტიპების განვითარების ერთგვარ ვარიაციას უნდა წარმოადგენდეს ისეთი ძეგლები, რომლებიც არაა გათვალისწინებული ნ. მარის სქემაში. ეს არის, ერთის მხრივ, ე.-წ. „მოძრავი სვეტები“ (*սիւն գաւազան* = pierres tremblantes) ტათევისა და ოროტანის მონასტრებში [2], რომლებიც შემდგომ ფალუსის კულტთან დაუკავშირებიათ [3], და მეორეს მხრივ—ჯვარის გამოსახულობით შემკული ობელისკები-საფლავის ქვები ბასარგეჩარის რაიონში, რომელთაგან 2 ამჟამად საქართველოს მუზეუმშია დაცული.

ასეთივე სვეტები, ფალუსის კულტთან დაკავშირებული, საგზაო (მანძილის მაჩვენებელ) სვეტებადაცაა გადაქცეული, მაგ., საბერძნეთში [4].

რაც შეეხება საქართველოს, აქ ვანის მეფეების დროინდელი ბრტყელი ქვები ლურსმული წარწერებითურთ ჯერჯერობით მოპოვებული არ არის, თუმცა არსებულ ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია აზრი ქალდების მტკვრის აუზამდე გადმოსვლის შესაძლებლობის შესახებ [5].

„სვეტები-კოლონები ძველი ქრისტიანული ქანდაკებებით“ საქართველოშიცაა მოპოვებული, მაგ. ე.-წ. გრიგოლ ჰპატოსის ძეგლი, რომელიც ახლა მეტეხის მუზეუმშია დაცული [6].

---

[1] J. Strzygowski, op. cit., I, 256—259, 720 [სხვადასხვა ადგილების]; ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი etc., 184 [სანაინი]; С. В. Тер-Аветисян, Город Джуга etc., Тбилиси 1937, стр. 211—221 (рис. 35—47). და მრავალი სხვა.

[2] J. Strzygowski, op. cit., S. 695 [Abl. 664. Kloster Tathev: Denksäule. Jermakoff 13506]; შდრ. *Ղ. Ալիշան, Սիսական, 1893, էջ 218, 234* [ტათევი და ოროტანი]; *Ս. Լալայեան, Զանգեզուրի գաւառ,—«Ազգ. Հանդէս», III, 1898, էջ 140—141, 152—153* [ტათევი და ოროტანი?]; უკანასკნელ ორში სურათები ხელითაა ნახატი.

[3] შდრ. И. Петрушевский, О дохристианских верованиях крестьян нагорного Карабаха [Изв. Аз. ГНИИ], Баку 1930, стр. 31. თუმცა, კერძოდ, ტათევის სვეტში ი. პეტრუშევსკი არსებითად ფალუსის კულტის ობიექტის გადანაშთს ხედავს.

[4] Н. Марр, О лингвистической поездке в восточное Средиземноморье [Изв. ГАИМК, 89], Л. 1934. стр. 69 (рис. 6), 71 (рис. 7) и 73 (рис. 9).

[5] Müller-Simonis, Vom Kaukasus zum Persischen Meerbusen. Durch Armenien, Kurdistan und Mesopotamien. Autorisierte Übersetzung aus dem Französischen, Mainz 1897, S. 29. Н. Марр и И. Орбели, Археологическая экспедиция 1916 года в Ван, стр. 58 (ნ. მარი); Л. Меликсет-Беков, К археологии и этнологии Туальской Осии, стр. стр. 267—268.

[6] ამის შესახებ: იხ.: Г. Чубинашвили, Вновь открытый памятник древней культуры,—„Рабочая Правда“ 1924. 12.VIII.

ამავე ტიპის შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ მაღალი, კოხტად გამოთლილი მონოლით-სვეტები, ქანდაკებითა, კუბისებრ გამოქანდაკებულ ბაზისზე დაყრდნობილი და პატარა ქვისავე ჯვრით დაგვირგვინებული, რომლებიც საერთოდ ჯავახეთში (და ნაწილობრივ ალბულაღის რაიონში) არიან გავრცელებულნი, სახელდობრ:

1) ე.-წ. „ამაღლების სვეტი", ს. ბარალეთიდან 2 კილომეტრის დაშორებით (ტაბ. LVIIIa).

2) ორი ასეთივე სვეტის ნაშთი კუმურდოს კათედრალის სამხრეთ კედელთან, გარეთ, რომელთაგან ერთი მხოლოდ ბაზისითაა წარმოდგენილი, მეორე კი ბაზისით-სვეტითურთ, ხოლო უჯვროთ; მაშასადამე, პირველისათვის სვეტი ჯვარითურთ ამოუცლიათ, ხოლო მეორესათვის მარტო ჯვარი (ტაბ. LVIIIв).

3) სამი ასეთივე სვეტის ნაშთი ს. აბულში წყაროსთან, რომლებიც მხოლოდ ბაზისებით არიან წარმოდგენილი (და, მაშასადამე, აქაც ჯვრით დაგვირგვინებული სვეტები ამოუცლიათ); ამ ნაშთებს ადგილობრივი სომხეში უწოდებენ: *աղբյուրին քովին խաչեր* წყაროს გვერდითი ჯვრები.

4) ერთი ასეთი სვეტი ს. ბზავეთშია, და მას ადგილობრივი სომხები უწოდებენ: *ոխտն ախպար* შვიდი ძმა [1].

5) სამი სვეტის ნაშთი ქსოვრეთში, ალბულაღსა და გუდარეხს შორის, რომლებიც მხოლოდ ბაზისებით არიან წარმოდგენილი.

ამ სვეტებ შორის საუსებით დაცული და კარგად შენახული ბარალეთის „ამაღლების" სვეტია, რომლის შესახებ ლეგენდაც კი არსებობს, თითქოს იგი წინად ს. კოთელიაში მდგარიყოს [2], რაც ფრიად საყურადღებოა, თუ, რასაკვირველია, გამართლდა ჩვენი მოსაზრება, რომ ეს კოთელია იყო ძველი სავაჭრო გზის უტევანთაგანი (სადგომთაგანი). შესაძლებელია, რომ სვეტი ნეკროპოლური მნიშვნელობისა იყოს, ე.-ი. რომელიმე „ძმათა საფლავ"-ზე აღმართული ძეგლი, ვთქვათ 1046 წლის სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით დაღუპულთა სახსენებლად, ანდა რომელიმე ისტორიული მნიშვნელობის მქონე ფაქტისა, ვთქვათ ღრტილაში (=იხტილაში) იმავე წლის ახლოს მოწვეული საეკლესიო კრების ადგილზე.

რაც შეეხება კუმურდოს სვეტებს, ისინი შეიძლება ნეკროპოლური მნიშვნელობისა იყვნენ, რამდენადაც სწორედ ამ სვეტებს გვერდით ტაძრის კედელზე ამოჭრილ ქართულ ასომთავრულ წარწერებში მოხსენებული არიან იოანე და გაბრიელ კუმურდოელნი, რომელთაგან პირველი კუმურდოს ერთერთი აღმაშენებელთაგანია; აგრეთვე—ერთის მხრივ, გაბრიელი და ეფრემია მოხსენებული, ხოლო

---

[1] შდრ. *Եօթն աղբօր աղբիւր* შვიდი ძმის წყარო სომხეთში (Н. Марр и Я. Смирнов, Вишапы, стр. 81).

[2] სოფელი ბარალეთი,—„მოგზაური" 1901 წ. № 1, გვ. 30—31, იქვე სურ. 29 გვ.; И. Ростомов, Ахалкалакский уезд, стр. 43—45, იქვე სურ. 41 გვ.

მეორეს მხრივ, ვაჩე ერისთავი[1]. ამიტომ საფიქრებელია, რომ სვეტები ხსენებული იოანესი და გაბრიელ კუმურდოელის, საფლავისა იყოს, ანდა იმავე გაბრიელისა და ეფრემისა, ანდა ვაჩე ერისთავისა და მისი მეუღლისა, რომელსაც წარწერა არ იხსენიებს.

საერთოდ, ამ სვეტების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი თითქმის ერთისადაიმავე ზომისა, მოყვანილობისა და ფორმისა არიან; და თუ მათ შორის რაიმე განსხვავება არსებობს, მხოლოდ დეტალებში, მაგალითად, ქანდაკებაში ანდა ჯვრის გამოსახულობის მოტივებში.

ყველა აქ დასახელებულ სვეტებს გარდა, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრესად ჯავახეთშია აღმოჩენილი, იმავე ჯავახეთში მოიპოვება აგრეთვე ძეგლი, რომელიც ცნობილია „სვინაქტი“-ს სახელწოდებით[2], (თითქოს სომხური სიტყვიდან *սյուն* სივნ ხვეტი), როგორც თვით მის ქართულ წარწერაშია ნათქვამი. ეს არის მონოლითი ს.ს. ვაჩიანსა და კუმურდოს შორის.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა იმ მონოლითის შესახებ, რომელიც ოდესღაც დიდი აბულის წვერზე, ე.-ი. 3.299 მეტრის სიმაღლეზე იყო აღმართული და უკანასკნელ წლებში ჩამოუგორებიათ იქიდან.

ამ მონოლითის აღწერას იძლევა ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი შემდეგი სიტყვებით (1901):

„На вершине Большого Абула местные жители доныне поклоняются большому камню в сажень длины. Но обычай этот, мне кажется, чисто армянского происхождения.

„Мне рассказывали, что одна женщина из селения Абул видела во сне св. Хачатура (армянское имя)[3], который открыл ей, что он погребен на Большом Абуле, под таким-то большим камнем и, вот, с того времени армяне поклоняются воображаемой могиле св. Хачатура. Существовал ли этот обычай поклонения до поселения в 1830-х годах армян, я не мог узнать, хотя отец Гварамадзе, бытописатель месхов, уверяет, что на Абуле когда-то стоял идол бога Аполлона—Абулона—грузин“[4].

დადასტურება იმისა, თუ რას წარმოადგენდა ეს ქვა, რომელსაც „ერთი საჟენი“ სიგრძე ჰქონდა, მას შემდეგ, რაც ქვა ჩამოგდებულია და მისი ადგილმდებარეობა უცნობი, რაღა თქმა უნდა, ძნელია. მაგრამ ს. კარტიკამის სომხები მარწმუნებდნენ, რომ ქვას ჯვრის გამოსახულობა ჰქონდაო.

---

[1] Е. Т а к а й ш в и л и,—„Мат. по арх. Кавказа“, XII, стр. 28, იქვე სურათი 13.

[2] თანახმად დოც. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ინფორმაციისა.

[3] იგივე ბერძნულ-ქართული ქრისტეფორე-ა.

[4] И. Р о с т о м о в, ц. с., 23—24.

III

# კრომლეხები

სიტყვა „კრომლეხ“ (cromlech) კელტურია; იგი შესდგება 2 ფუძისაგან: 1) crom—წრე, და 2) lech—ქვა.

ამით აღინიშნება დიდი ქვებისაგან გაწყობილი წრე, რომელიც წინაკლასობრივ საზოგადოებაში, კოსმიური სტადიის აზროვნებასთან შეფარდებით, მზის კულტთან იყო დაკავშირებული[1], და ამნაირად მას რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა.

ასეთი „ქვათა წრე“ გაირჩევა „ქვათა მწკრივი“-საგან (les alignements), რომელიც არსებითად ერთ ხაზზეა გაქიმული[2], და მას, როგორც ეტყობა, არავითარი რიტუალური მნიშვნელობა არ გააჩნია.

„ქვათა წრე“-ებს ადრიბეჟანში შეიხების საფლავებად სთვლიან. ამ წრეების ტრადიციაზეა, სხვათა შორის, დამყარებული ამავე ადრიბეჟანში გავრცელებული ისეთი წრეებიც, რომელნიც სულ ახალ დროში არიან აგებულნი სახალხო ცეკვისათვის[3], ხოლო ასეთი ცეკვაობა წრის ირგვლივ ან შიგნით იმას მოგვაგონებს, რაც დღესაც ცოცხალია არა მხოლოდ ადრიბეჟანში, არამედ აგრეთვე სომხეთსა და საქართველოშიც. უფრო მეტიც. ასეთი წრის პროტოტიპად ჩვენ პირადად მიგვაჩნია ჩვეულებრივი კალოს წრეები, ხოლო ტრანსფორმაციად'ის, წრედ შემოფარგლული, თხრილი, რომლის მაგალითიც მოცემულია გევუთის ერთერთი ეკლესიის მახლობლად.

ამასთან დაკავშირებით, ფრიად საინტერესოა აკად. ი. ი. მეშჩანინოვის აზრი კრომლეხების სემანტიკის შესახებ, რაც მის მიერ გამოთქმულია შემდეგი სიტყვებით: „Каменные круги-кромлехи отражают в себе культ солнца, и прекрасным подтверждением этому служит Усатовский курган[4], в котором перекрытый им парный кромлех имеет выходы на восток и на запад, т. е. в сторону нарождающегося (воскрешающего) и умирающего солнца. Соединение обоих типов, кургана и кромлеха, дает скрещение двух миропредставле-

---

[1] შდრ. J. Déchelette, Le culte du Soleil aux temps préhistoriques (Extrait de la Revue Archéologique, 4-e série, tome XIII), Paris 1909.

[2] I. Déchelette, Manuel d'archéologie préhistorique Celtique et Gallo-Romaine, I, 376 და 442 (სურ. 156).

[3] И. Мещанинов, Ассирийская вотивная бусина из Азербайджана,—„Изв. О-ва обсл. и изуч. Азербайджана“, № 2, 1926, стр. 49—50; მისივე, Кромлехи [Изв. ГАИМК, VI, в. 3], Лнг. 1930, стр. 7—11; მისივე, Циклопические сооружения Закавказья [Изв. ГАИМК, т. XIII, в. 4—7], Лнгр. 1933, стр. 49, рис. 13.

[4] ოდესის მახლობლად.

ний, выразившихся в культе солнца и культе горы неба, скрещение солярного круга с ураническим"[1]; აგრეთვე: „Кромлехи, отразившие собою определенную стадию, повидимому, земледельческого культа солнца, пережиточно переходили по стадиальным ступеням и, может быть, являются одним из опорных пунктов для постановки вообще стадиальных исследований. Кромлехи, несомненно, получили различное использование в различных стадиях и в связи с этим различное внешнее оформление и различные соответствующие им обряды погребений"[2].

კრომლეხები ორი ძირითადი კატეგორიისაა: ერთი—სადა, მეორე კი—რთული. სადაა ის, რომლის კონცენტრში არაფერია მოთავსებული ან, უკეთ რომ ვთქვათ, „ქვათა წრე" არაფერს ჰფარგლავს. რთული კი ისაა, რომელიც თვით ატრიბუტია რომელიმე ობიექტისა: ან ყორღან-ქვაყუთისა, ან დოლმენ-სადგომისა, ანდა მენჰირისა[3].

კრომლეხები მრავლადაა შენახული ამიერკავკასიაში. ასე, აზერბეჯანში ისინი ცნობილი არიან შემდეგ პუნქტებში: ყარალაჩს (ასქერანთან), კიროვაბადთან და ხოჯალუს (ყარაბაღში); სომხეთში კი —არაგაწის კალთებზე და ზანგეზურში (სისიანში), და სხვ.; საქართველოს კრომლეხებზე საკუთრივ ქვემოდ გვექნება საუბარი.

კერძოდ, ყველა ამათგან უკეთ არის დაცული ზანგეზურის (სისიანის) ს. ყარაქილისას ე.-წ. „ლოშუნ-დაშ"-ი (სურ. 11), რაც ჯარისკაცთა საფლავებს აღნიშნავს და რაც ყველაზე უკეთ არის შესწავლილი[4].

---

[1] И. Мещанинов, Кромлехи, 20.

[2] იქვე, 26—27.

[3] J. Fergusson, Rude stone monuments in all countries, 10 (სურ. 49), 42 (158), 54 (177), 101 (282), 102 (284), 103 (288), 107 (305), 109 (307), 110 (308), 111 (309), 197 (451), 224 (491); И. Мещанинов, Кромлехи, 8—9; აგრეთვე გვ. 2. შენ. ** ნაჩვენები ლიტერატურა.

[4] იხ. სპეციალური ლიტერატურა: Е. Мелик-Шахназаров, Кошун-даг,—СМОМПК, XIII, 129—127, და სურ. 9 და 10 იქვე; *Ե. Լալայեան, Զանգեզուրի գաւառ. I. Սիսիան,—«Ազգ. Հանդ.», III, 174—175*; მისივე, *Հուղարկավորության և գերեզմանների զարգացումը Հայաստանում,—«Տեղ. ՀՍԽՀ Գիտ. և Արվ. Ինստ.», № 3, էջ 87, 89 (նկ. 4)*; მისივე, *Դամբարանների պեղումները Խ. Հայաստանում, 63 (նկ. 14)*; *Խ. Սամուելյան, Հին Հայաստանի կուլտուրան, I, 152—155, նկ. 59 (տախտ. XXXIV)*; *Աս. Խաչատրյան, Հայաստանի սոց. շրջանի քննական պատմություն, 70, նկ. 10*; Ст. Лисициан, Кошун-даш etc. и. изд. стр. 713 и рис 4—5 на стр. 717 (ამ უკანასკნელში, გვ. 713, შენ. 1, წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია სრული არაა).

ოსურ თქმულებათა თანახმად, ასეთი წრეები ბუმბერაზ-გმირების (ვაჲგუთების) მიერ არის აგებული[1].

აფხაზები ასეთ წრეებს უწოდებენ აცან-გუარა (ცანი-გვარ), რაც „ქონდრისკაცთა (ჯუჯაკაცთა) ზღუდეს“ აღნიშნავს. ასეთი ძეგლები, მ. მ. ივაშჩენკოს ცნობით, მოიპოვება უმთავრესად გაგრას, გუდაუთისა და სოხუმის რაიონებში, კოდორისაში ნაკლებად; ხოლო გალის რაიონში ისინი სულ ცნობილი არ არიანო[2], ამასთანავე ისინი გვხვდებიან იმ მაღლობებზე, სადაც საძოვრებიაო (на высокогорных лугах)[3].

ამავე მ. მ. ივაშჩენკოს აღწერით, აცან-გუარა (ცანი-გვარი) შემდეგ სურათს წარმოადგენს:

„По внешнему виду ацан-гуара это небольшое круглое сооружение, сложенное из плотно пригнанных камней без всякого цемента. Сооружение это имеет вход, расположенный всегда с востока в виде узкого прохода. Против входа, у противоположной стены обычно лежит большая каменная плита. Высота сооружения около 1 м., диаметр около 5 м. Вокруг центрального сооружения имеется круг из камней, расставленных с промежутками диаметром около 20 м. От центральной постройки к внешнему кругу по радиусам идет еще 2—3 ряда камней.

„Меньшие ацан-гуары имеют более простое устройство и иногда вовсе не имеют внешнего круга камней.

„Ацан-гуары с большей вероятностью можно приравнять к кромлехам...

„Абхазские ацан-гуары своеобразны, и своими двумя концентрическими кругами, сравнительно сложным устройством, входом центрального сооружения, всегда обращены к востоку, более напоминают кромлехи, найденные Болтенко в Усатове[4], чем кромлехи Армении и Азербайджана. Главное различие с усатовскими кромлехами то, что эти последние скрыты под землей, а ацан-гуары находятся на поверхности“[5].

ამ აღწერას იგივე მკვლევარი ურთავს შემდეგ დასკვნას:

„Если кромлехи в соединении с курганами являются сочетанием культа солнца с культом горы-неба, то у абхазских кромлехов курган заменяется самой горой. Возмож-

---

[1] Ф. Миллер, Осетинские этюды, ч. 1, М. 1881, стр. 93.

[2] М. М. Иващенко, Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, Тфл. 1935, стр. 80, აგრეთვე 81—83.

[3] იქვე, 79.

[4] იხ. შენ. 4 გვ. 118.

[5] М. М. Иващенко, op. cit., 79—80.

но, потому они и располагаются всегда на склонах и вершинах гор в высокогорных областях"[1].

საქართველოს ფარგლებში ჩვენ მიერ პირადად ნანახი კრომლეხები შემდეგია:

1. ციხისჯვარის ყოფილი „ფერმის“ ტერიტორიაზე ნაძვნარის გვერდით კრომლეხის ნაშთი, რომელიც ჩვენი იქ ყოფნის დროს 1926 წ. შემოდგომით უკვე თითქმის განადგურებული იყო.

2. წალკის საპიტახჩის მეორე მენჰირის ირგვლივ შემორტყმული ზღუდე, რომელიც ძველი კრომლეხის ტრანსფორმაცია უნდა იყოს (ტაბ. XXXIX a, в).

3. წალკის ს. ჩოლაყის მახლობლად მდებარე ნასაყდრევის „აჲ-კონსტანტინე“-ის გარშემო კრომლეხის ნაშთი, რომელიც ჩაჭრილია ციკლოპური აგებულობის გალავანში, ეკლესიის ჩრდილოეთ-დასავლეთ მხრიდან (ტაბ. XVII). კრომლეხის ნაშთი სულ 4 ქვას შეიცავს, რომელთაგან ერთი, ყველაზე დიდი, ცხოველს წააგავს. ამ ქვების ზომაა (ჩრდილოეთით დასავლეთისკენ): ა) სიგრძე 2 მ., სიგანე 1,50, სისქე 0,30; ბ) სიგრძე 1,45, სიგანე 1,10, სისქე 0,30; გ) სიგრძე 1,45, სიგანე 1,05, სისქე 0,30; დ) სიგრძე 2,10, სიგანე 1,45, სისქე 0,10—0,30 (ეს უკანასკნელია, ცხოველს რომ წააგავს). შედარებით უფრო უზარმაზარი ქვა, უკვე გათლილი, დატანებულია თვით ეკლესიის კარიბჭის დასავლეთ კედელში, რომელიც არსებითად ამ ერთი ქვისგან შესდგება, სიგრძით 3,40 მ., სიმაღლით კი 1,50. გალავანს ორი შესავალი აქვს: ერთი—აღმოსავლეთით, ხოლო მეორე—დასავლეთით. პირველის ზომაა: სიმაღლე 1,90 მ., სიგანე 1,25, სისქე 0,95, სახურავის სიგრძე 2,10, სიგანე 1,30; მეორის ზომაა: სიმაღლე 1,80, სიგანე 1,05, სისქე 1,20; სახურავის სიგრძე 1,75, სიგანე 1,25. ამ ორი კარის არსებობა, ერთისა აღმოსავლეთით, მეორისა დასავლეთით, მოგვაგონებს იმ ტრადიციას, რომელიც კრომლეხებს ახასიათებს. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ეს ზღუდე ყოფილი კრომლეხის დეფორმაცია-ტრანსფორმაციად უნდა მივიღოთ, სადაც ერთი კარი, აღმოსავლეთისა, აღმომავალი მზის სიმბოლოა, ხოლო მეორე, დასავლეთისა, ჩამავალ ანუ მომაკვდავი მზისა.

4. ასეთივეა წალკის ს. ოზნი—ჰუნიას ზემოდ, მთაზე მდებარე „ხატი“-ს ირგვლივ ოდნავადღა შესამჩნევი ნაშთი ყოფილი კრომლეხისა, რომელიც ჩვენი იქ ყოფნის დროს 1924 წლის შემოდგომით თითქმის უკვე განადგურების გზაზე იყო[2].

5. კრომლეხებისავე ციკლს შეიძლება მიეკუთვნოს ალბულაღიდან ს. ალექსეევკასკენ მიმავალი გზის მარჯვნივ მდებარე ე.-წ. Пьяный курган-ი. იგი წარმოადგენს ცილინდრული მოყვანილობის ქვათა გროვას, რომელიც არსებითად მრგვალ ნაგებობას შუა

[1] იქვე, 80.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში, 223.

ძაბრისებრი ორმოა. კედლის სიმაღლეა 2—4 მ., ყველაზე მეტი სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 მ., სისქე კედლისა 3—9 მ., ორმოს (воронка) დიამეტრი 8—10 მ., ხოლო მთელი წრისა 25 მ.[1]. გარეგნულად თითქოს წარმართული ტაძრის ნანგრევებს წარმოადგენდეს.

რადგანაც ასეთი ყაიდის ყორღანი არსად საქართველოში, არც მის გარეთ, საერთოდ, არა გვხვდება, იმიტომ ძნელია მისი დანიშნულებაზე რაიმე აზრის გამოთქმა. საკითხის გამორკვევას შეიძლება ცოტად-თუ-ბევრად ხელი შეუწყოს ერთმა მითითებამ არაგაწის ქვათა გროვის შესახებ, რომელიც გამოთქმული იყო აკად. ი. სმირნოვის მიერ: „Немалочисленные упоминания о громадных камнях так называемых могил огузов на Алагезе и вообще на Армянском плоскогорье, которые мне приходилось читать,—ამბობს ი. სმირნოვი,—не говорят, однако, ничего о каких-либо на камнях этих изображениях. Раскопки могил этого рода показали, что они относятся к древнейшему периоду... Эти самые каменные насыпи на древнейших могилах имел в виду, очевидно, и Фауст Византийский в рассказе о поражении северных варваров, дошедших до Вагаршапата (кн. III, гл. 7) при царе Хосрое (316—325), говоря, что над трупами варваров, чтобы предохранить страну от заразы, навалили груды больших камней“[2].

## IV

## დიოლით-ტეტრალითი, ქვახვრელ-ერატიპა

მონოლით-სვეტებისა და ქვათა მწკრივების გარდა, საკულტო ობიექტების კატეგორიას, უთუოდ, უნდა მიეკუთვნოს ისეთი იშვიათი ძეგლებიც, როგორიცაა, ერთის მხრივ, დიოლით-ტრილით-ტეტრალითი etc., და, მეორეს მხრივ, ქვახვრელ-ერატიპა.

### 1. დიოლით-ტეტრალითი

დიოლითი და ტეტრალითი ევროპაში ცნობილი არ არის. იქ, სამაგიეროდ, ცნობილია მხოლოდ ტრილითი, რომლის დახასიათებასაც J. Déchelette იძლევა შემდეგნაირად: „Les trilithes, appelés jadis lichavens. Ils se composent de deux pierres, en forme de menhirs, supportant une troisième pierre qui constitue un linteau“[3]. შემდეგ კი, შენიშვნაში, დასძენს: „Le

---

[1] ვ. ზაალიშვილის გაზომვით.

[2] Н. Марр и Я. Смирнов, Вишапы, 64. შდრ. Н. Марр, Отчет И. Арх. Комиссии за 1893 год, Спб. 1895, стр. 36.

[3] J. Déchelette, Manuel d'archéologie préhistorique Celtique et Gallo-Romaine, I, 376.

trilithe est rare tous les pays"[1], რაიც, რასაკვირველია, სავსებით არ შეეფერება სინამდვილეს.

ასე თუ ისე, „ტრილით"-ი ეწოდება სამ-ქვა'ს, ერთმანეთზე აღმართულს ერთს ვერტიკალურ ხაზზე, რომლის მაგალითი ჩვენში, ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში, ჯერ მოპოვებული არ არის.

სამაგიეროდ, ჩვენში ცნობილია ორ-ქვა და ოთხ-ქვა, რომელთაც ჩვენ, სამ-ქვა—„ტრილით"-ის ანალოგიით, ვუწოდებთ: „დიოლითი" და „ტეტრალითი".

„დიოლითი", პირველ ყოვლისა, შემჩნეულია ნაქალაქევ ანისიდან მალასბერდისაკენ მიმავალ გზაზე (მაშასადამე, ახლანდელი თურქეთის საზღვრებში); იგი არსებულს ლიტერატურაში, სამწუხაროდ, აღწერილი არ არის[2].

უთუოდ, ამ „დიოლით"-ის ტრანსფორმაციას წარმოადგენს სვანური ე.-წ. „ბაჩი გვიგვ" (ბაჩი გვგვ) ქვის გული, რომლის სემანტიკა გაურკვეველი რჩება მეგალითების სამყაროს გარეშე.

რაც შეეხება „ტეტრალით"-ს, იგი ცნობილია მხოლოდ ერთ ცალად.

ასეთ ძეგლად ჩვენ ვგულისხმობთ ნაქალაქევ სამშვილდის ტერიტორიაზე, ვენახებში, მდებარე ოთხქვა'ს (ტაბ. LIX), რომელიც, ჩვენის აზრით, ძველის-ძველი საკულტო ობიექტია ადამიანის აზროვნების კოსმიურ სტადიისა, დაკავშირებული ერთერთ ზოდიაქოსთან, სახელდობრ მშვილდოსანთან, რის გამოც თვით ადგილს „სამშვილდე" ეწოდა[3].

ეს ძეგლი წინადაც იყო ცნობილი ლიტერატურაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი სემანტიკის გაურკვევლად და უსახელწოდებოთ.

ასე, 1890 წელს ვ. ტეპცოვი სწერდა: „... в Самшвильде, на выступе скалы, к реке Храму, положены 3[4] больших камня, в 500—600 пуд. весом каждый[5], совершенно неправильной формы: они образуют гигантский столб, грозящий ежеминутно упасть и задавить прохожего"[6].

---

[1] იქვე, 376. გვ. 4.

[2] ცნობა ამ ძეგლის შესახებ ჩვენ თავაზიანად მოგვაწოდა პროფ. გ. ჩუბინაშვილმა, რომელსაც უნახავს იგი განსვენებულ აკად. ი. სმირნოვთან ერთად ანისიდან მალასბერდამდე გასეირნების დროს იმპერიალისტურ ომამდე. უკანასკნელის მიერ გადაღებული სურათი მის საქმეებში (რაც ГАИМК-შია დაცული), სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა.

[3] მაშასადამე, სახელწოდებაში „სამშვილდე" მშვილდი, როგორც ასეთი, არაფერ შუაა, ისევე როგორც „მანგლის"-ში ნამგალი.

[4] sic. უნდა იყოს: 4. ლ. მ.-ბ.

[5] sic. ლ. მ.-ბ. შდრ. ქვეით.

[6] В. Тепцов, Агбулахские легенды,—СМОМПК, IX, стр. 137.

შედარებით უფრო ვრცლად ესევე ძეგლი აღწერილია 1892 წელს ს. მაჟნიკოვის მიერ:

